სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 29 აპრილი 1999 №77 (850) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. V ტური

საქართველო 1:4 ნორვეგია

28 აპრილი. თბილისი. ეროვნული. 20 000 მაყურებელი

ეს არ არის მარტო წაგება!
ეს არ არის მარტო დიდი ანგარიშით წაგება!
ეს არ არის მარტო შერცხვენა!
ეს არ არის დიაგნოზი:
ქართულ ფეხბურთს დამბლა დაეცა!

ბადრი კეთილაძის ფოტო

ქართველთაგან ისევ მხოლოდ ზაზა ჯანაშიამ (№10) გაიტანა და მშრალად წაგებას გადაგვარჩინა

ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

საქართველო — ნორვეგია 1:4. ტორე ანდრე ფლომ მამუკა წერეთელს (№5) გადააბიჯა და კახა კალაძესაც (№2) ებრძვის

გუცაევი: წავედი!

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი გუშინდელ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადებულა. „სარბიელს“ კი ეს უთხრა: ყველას დიდი მადლობა, მე ეროვნული ნაკრების მწვრთნელი აღარ ვარ. ფეხბურთის ფედერაციამ ჩემი შემცვლელი ეძიოს. მაშ ასე: 28 აპრილი. 23 საათი. საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. ახალი მწვრთნელი კი სავარაუდოდ 5 მაისს დაინიშნება.

ნუ ესვრით მასხარას!

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. V ტური
28 აპრილი. თბილისი. ეროვნული. 21 საათი. 20 000 მაყურებელი

საქართველო 1:4 ნორვეგია

0:1 ივერსენი (17), 0:2 ფლო (27), 0:3 სოლსკიაერი (36),
0:4 ფლო (38), 1:4 ჯანაშია (58)



შეცვლა: სოლსკიაერი — 14. სტრანდი (46), შეყილაძე — 13. ფოფხაძე (46), ქეცბაია — 16. დემეტრაძე (46), რეხვიაშვილი — 14. კიკნაძე (81), რუდი — 18. რისეტი (83), ფლო — 16. კარეუ (87)

მსაჯები: შ. პული; ბ. მეცო, ტ. დიარმატი; ა. იუჰოსი (ყველა უნგრეთი)

უეფას დელეგატი: ტ. ლანეზე (იტალია)

ეტყობა, ხუმრობდა ვლადიმერ გუცაევი, ნორვეგიის ნაკრებთან თამაშით კარის გაჯახუნებას რომ აპირებდა.

ეტყობა, ხუმრობდნენ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, როცა ამბობდნენ, სკანდინავიელებს მოვუგებთო.

ეტყობა, ვხუმრობდით ჩვენც, ჟურნალისტები, როცა ამ ფეხბურთზე, ქართულ ფეხბურთზე ვწერდით და გვეგონა, საქმეს ვაკეთებდით.

ფედერაციის ახალი შემადგენლობაც ხუმრობდა, ეტყობა, როცა სათავეში მოსვლის შემდეგ ქართულ ფეხბურთში საქმიან-ფულიანი ხალხის მოზიდვას და მის უეცარ აღორძინებას გვპირდებოდა.

ქომაგი? რა თქმა უნდა, ქომაგიც ხუმრობს, როცა ეროვნული ნაკრების მატჩის საყურებლად 10 ლარს იხდის.

ამიტომაა, მასხარებით გაივსო ქართული ფეხბურთი და უცხოელებსაც სამასხროდ გაუხდიათ მისი დონე.

ერთი სიტყვით, ხუმრობს ყველა.

ჰოდა, ნუ ესვრით მასხარას, ხუმრობს, როგორც შეუძლია.

რეჟვიემი ქართულად

აუუჰ! გასულა გაღმა. სად გაღმა? სად და მარილზე. რომელ მარილზე? რომელზე და აღზევანისაზე. ვერ გაიგეთ, მოკვდა ეს საცოდავი, მოკვდა!

აფსუს? ჩვენო ნუგეშო და სიხარულო, სიმაღლევ და სიამაყევ — როგორ დაგვხარჯე?! ვალები? ვალებიც უმრავი დაგვიტოვა — ვალი პაიჭაძის და ღოღობერიძის, იამანიძის და დარასელიასი, მესხისა და მეტრეველის — იქნებ დავანგრიოთ მისი ბინა, აღვწეროთ მისი სარჩო-საბადებელი და...

დედალი ვიყიდოთ, უფრო სწორად, ბევრი დედალი, შავი, ჯიშიანი, კვერცხისმდებელი... ჰო-ჰო, რამდენ კვერცხს დადებენ?

და, როგორ ფიქრობთ, ის კვერცხები არ სჯობს ამათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები რომ უგორებს მეტოქეებს?

მოლდოვას, ლატვიას, ლიბანს, აზერბაიჯანს...

დაკვირდით ჩამონათვალს, უეფას ტერიტორიაა თუ სათნოების სახლი?

და ჩვენი ნაკრები რა, ვაუკაცთა საკრებულოა, თუ კეთილშობილ ქალთა პანსიონატი?

აბა, ამდენი დანებება შეიძლება?!

იქნებ ნაკრების თავკაცობაა დედათა მონასტრის წინამძღვარივით მოწყალე? აქამდე ჭურში ვმსხდარვართ. ჭკვიანი კაცი მიატოვებდა ყველაფერს, დაავლებდა ხელს, რაც გააჩნდა და ხალხში გაერეოდა — კარგ, წესიერ, მოწესრიგებულ ხალხში და თუ სხვას ვერაფერს, მათთან ჭურში ჩაჯდომას მაინც მოახლაფორთებდა.

მაგრამ იმ ჭურშიც რომ დასწრებაზეა ყველაფერი?

სამუდამოდ დაკარგეთ ალფა, ის ალფა, რომელიც უკვე დაგვავიწყდა კიდეც სად არის, დრომ წაგვიშალა მეხსიერებიდან და ურომლისოდაც ვერ გავფრინდებით.

ფრენას კი ცოდნა უნდა. რომ იფრინო, ფრთები უნდა გქონდეს.

ის კი, ვინც უფრთოდ აპირებს ფრენას, ვერ იფრენს — ის უფრო აფრენს.

ვიKINGS

მართლა მეფეები ყოფილან. მერე რა, რომ ათიოდე წელია, ისწავლეს ფეხბურთის თამაში, მერე რა, რომ მაროკოსთან კინაღამ და ლატვიასთან მართლა წააგეს. იტალიამ გამოაგდო მსოფლიოს ჩემპიონატის რომელიღაც ფინალიდან.

სამაგიეროდ, ბრაზილიას მოუგეს, სადაც შეხვდნენ, რომ დასჭირდათ, საბერძნეთსაც მოუგეს და იტალიამ კი სხვა ბევრიც გამოაგდო.

მართლა მეფეები ყოფილან. ინტერვიუებსაც როგორს იძლეოდნენ — გულუხვად, დიდებულად...

ნეტა გენახათ, როგორ ჩამოეწკაპნენ სკამებზე „შერატონ პალასის“ სპრესკონფერენციაში. ისხდნენ ფლო, სოლსკიაერი, ივერსენი, მიუკლანდი, სხვებიც, ყველა — მეფიზხელა ხალხი და თვალებში შესციცინებდნენ დამსწრეებს — ღიმილით, უშურველად, მეფურად.

კარგია, რომ ვiking-ებმა მოიგეს. კარგია, რომ მათ ჩაგვახედეს სარკეში. სასაცილო სარკეში კი არა — აქამდე რომ ვიყურებოდით, ნამდვილ სარკეში.

სარკეში, რომელიც მრუდე არ არის.

მინდორზე

იქ არ იყო ბრძოლა, იქ არ უშიშვლიათ ვiking-ებს მეფური მახვილი, არც როქი დასჭირვებიათ — მათ „დეტსკი მატი“ გაუკეთეს ქართველებს და მეორე ტაიმი მეფურად, ვiking-ურად უწყალობეს საქართველოს ნაკრებს.

ნაკრებს, რომელიც იბრძოდა, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი ბრძოლა. ბრძოლას შნო უნდა და თუ ბრძოლაში თერმომეტი კაცი მონაწილეობს, თერმომეტივემ ერთად უნდა იბრძოლოს.

ცალ-ცალკე აღარავინ იბრძვის.

ცალკე და მარტო ვერც ჯანაშია გაიმარჯვებს, ვერც ჯამარაული, ვერც კალაძე და კობიაშვილი.

რადგან, ჰემინგუეისა არ იყოს, ადამიანი კუნძული არ არის, მარტო იყოს, იგი მატერიკის ნაწილია.

კეთილი ტყუილი თუ მწარე სიმართლე?

მწარე სიმართლეს კეთილი ტყუილი სჯობსო, ხატია ამბობდა. ხომ გახსოვთ, უსინათლო ხატია.

მაგრამ ხატია კეთილი იყო, უსინათლო და იმიტომაც სჯეროდა ტყუილისა, რომ ვერ უყურებდა იმ სიბინძურეს, რაც ქვეყანაზე ხდებოდა.

ხდებოდა მაშინ, ხდება ახლაც. ხდება წიგნშიც და ხდება სინამდვილეშიც.

ხატიამ არ იცოდა, რომ ტყუილს, რაოდენ კეთილიც უნდა იყოს იგი, მოკლე ფეხები აქვს. თავის მოტყუებას არავისთვის დაუყრია ხეირი.

არც ჩვენ მოგვიტანა სიკეთე.

ჩვენ, ყველას, ერსაც, ბერსაც — რადგან ახლა ყველა ერთ მდგომარეობაში ვართ.

შერცხვენილნი და თავლაფდასხმულნი.

სასაცილოა, ფეხბურთელს პატრიოტი არა ხარო უკიჟინო იმიტომ, რომ იგი თავით „პადკატს“ ვერ აკეთებს.

სასაცილოა, როცა ვიღაცას ჰგონია, რომ მარტო ფეხბურთელმა, მარტო მწვრთნელმა, მარტო ჟურნალისტმა დალუპა ქართული ფეხბურთი.

ის კი არ არის სასაცილო, რომ ქართველი ქომაგი ირონიული გახდა, ნიჰილისტი, ქართველი ქომაგი ქართული ფეხბურთის დაფასებას გადაეჩვია (გადააჩვიეს) და იგი ხუმრობს, მასხრობს ქართულ ფეხბურთზე.

ფეხბურთზე, რომელიც ერთ-ერთ სიწმინდედ მიაჩნდათ ჩვენში.

წმინდა საგნებზე კი არ ხუმრობენ.

შეიძლება დასცინო ვიღაცას კონკრეტულად. აგინო ვინმე, ბოთლი, ქვა, „რაგატკა“ ესროლო, მაგრამ ყველაფერზე სიცილი არ შეიძლება.

ვინც ყველაფერზე იცინის, მასხარას ეძახიან. ის იცინის ყველაფერზე, მაგრამ არ იცის ყველაფერი.

ამიტომ, ნუ ესვრით მასხარას!

კონსტანტინე გოგიშვილი

ბადრი ჯეიფარიძის ფოტო

ოლე გუნარ სოლსკიაერის (№10) ამ დარტყმას ქართველთა კარში მეორე გოლი მოჰყვა

მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. ერიკ მიუკლანდმა ბურთი ქართველთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სტალე სოლბაკენმა მცველებს დაასწრო და იგი თავით სოლსკიაერს დაუგდო, ნორვეგიელმაც დაუფიქრებლად, უძლიერესად დაარტყა, ტოგონიძემ ნახტომში ბურთი კუთხურზე კარსზევით გადააგდო.

12. ჯარიმისას კობიაშვილმა ქეცბაიას დაუგორა, მის დარტყმულს ტომას მირე იოლად დაეუფლა.

15. შეყილაძემ ვერ მოზომა და ტოგონიძეს ბურთი ფეხით ძლიერად დაუბრუნა. მას სოლბაკენი გაჰყვა, მაგრამ ნიკამ ჯერ ბურთი მკერდით გაიჩერა, შემდეგ კი ძლიერი დარტყმით აუტში გადააგდო.

17. ვიკინგებმა აუტი მოაწოდეს, საჯარიმოში ქართველები მეკარიანად შეცდნენ, რითაც უმალ ისარგებლა სტეფან ივერსენმა, ბურთს ფეხი წაჰკრა და... 0:1

18. ტორე ანდრე ფლომ წერეთელს ბრძოლაში აართვა ბურთი, საჯარიმოში შესული კი რუდის აწვდიდა, კალაძე მიუხვდა ჩანაფიქრს და თავით კუთხურზე გადააგდო.

20. დიდავამ მარჯვენა ფლანგიდან ნორვეგიელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სოლბაკენის შეცდომისას ჯამარაულმა მოიგდო ბურთი და უძლიერესად დაარტყა, ნორვეგიელთა კარი ძელმა იხსნა.

23. ჯამარაულმა ნემსაძეს გააყოლა ბურთი. კაპიტანმა საჯარიმოში მყოფ ჯანაშიასთვის პასის მიცემა განიზრახა, მირემ კარი დატოვა და ბურთიც ხელთ იგდო.

27. ქართველთა დაცვა უკვე მერამდენედ გაბითურდა, რითაც ტორე ანდრე ფლომ ისარგებლა და ტოგონიძესთან პირისპირ მყოფმა უძლიერესი დარტყმით ლამის კარის ბადე გაგლიჯა 0:2.

36. მანჩესტერ იუნაიტედელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ისევ ჩვენი მცველების ბედოვლათობით ისარგებლა, საჯარიმოში ცრუმოძრაობა გააკეთა და ტოგონიძეს მესამე ბურთი გამოატანინა კარის ბადიდან 0:3.

38. საქართველოს ნაკრების დაცვის თამაში ვერანაირ კრიტიკას უძლებს, რითაც ჩელსელი ფლო თავისი მეორე და გუნდისთვის მეოთხე ბურთის გატანას ზეიმობს 0:4.

43. საჯარიმოში მყოფ კობიაშვილს ხელს არავინ უშლიდა, მან კი სუსტად დაარტყა. ბურთი მირეს იოლი ნადავლი გახდა.

50. შეცვლაზე შესულმა დემეტრაძემ ზაზა ჯანაშია მოძებნა, ჯანოს ჰალანდი აედევნა და ჩვენებური საჯარიმოში წაიქცა, უნგრელმა არბიტრმა შანდორ პულმა კი, თითქოს არაფერი მომხდარა, თამაშის გაგრძელება ბრძანა.

58. ჯამარაულმა მარცხნივ საჯარიმოსთან გაიბრწყინა. შიგნით შესულმა მეურვე ჰალანდი ჩამოიცილა და დაბალი პასი ჯანაშიას მიაწოდა, ზაზამაც ნორვეგიელ მცველებს დაასწრო და ვარდნაში მირეს აუღებელი დაურტყა 1:4.

64. ანდრე ბერგდოლმომ კუთხური მოაწოდა, ფლოს სიმაღლეში ვერავინ გაეჯიბრა და მძლავრი თავური დაჰკრა ბურთს, ტოგონიძე მას ნახტომში დაეუფლა.

67. ივერსენმა ფლოს, ტორე ანდრემ კი რუდის თავით დაუგდო ბურთი, ამის ძლიერად დარტყმული კი ტოგონიძის კარს საკმაოდ ასცდა.

69. ქართველებმა ჯარიმა უხეიროდ შეასრულეს. ნემსაძემ დემეტრაძეს გაუთამაშა და დასარტყმელად ბურთი ჯამარაულს დაუგორა, გოჩას დარტყმულს ნორვეგიელი მცველი ჩაუვარდა, გადმოვარდნილს ნემსაძემ დაუმატა, მირემ ბურთი ნახტომში აიღო.

73. ჯამარაულმა კობიაშვილს სასწაულებრივი პასი მისცა, ლევანიც შეჰყვა, ბურთიანად საჯარიმოში შესულს კი მცველები გადაეღობნენ და ბურთი კუთხურზე მოიგერიეს.

88. ნემსაძემ ჯამარაული მოძებნა, იგიც არ დაბნეულა და წამსვე ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთი კვლავ ძელს მოხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არილდ სანდგოტის დარტყმული ბურთი გიორგი ჭანკოტაძემ კარის ხაზიდან გამოიტანა

ფეხბურთი? სადღაა ფეხბურთი

	თბილისი 28 აპრილი 16 საათი შევარდენი 3 000

საქართველო 0:3 ნორვეგია

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. V ტური

0:1 ანდერსენი (14), 0:2 რიისე (84), 0:3 ჰასელგერდი (90)

საქართველო: ჭურაძე, რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, დავითნიძე, მახვილაძე, დარასელია (ჩხეტიანი 77), ყიფიანი (ჩომახიძე 67), ალექსიძე, წიტაიშვილი (მეგრელაძე 77), აშვეთია, გემეზაშვილი

სათადარიგონი: გაბელია; კვარაცხელია, გ. შენგელია, ა. სახვაძე

ნორვეგია: ბაარდსენი, ოლსენი (აასი 52), სტინი, კიპე, რიისე, ლანგე, ანდერსენი, ორშეგი (დელი 74), ნიულანდი, ჰასელგერდი, სანდგოტი (ნორმანი 83)

სათადარიგონი: სკიელდსტადი; სომა, კნუდსენი, სტივენსენი

გაფრთხილება: ლანგე (24), ნიულანდი (26), ოლსენი (36), ჰასელგერდი (45)

გაძევება: დავითნიძე (50)

მსაჯები: ნ. დაინა; ს. კუბატი, ვ. როდიგერი; რ. ფერარი (ყველა შვეიცარია)

უეფას დელეგატი: ტ. ლანეზე (იტალია)

მამუკა კვანტალიანი

რატომ ვიყავით გუშინ „შევარდენზე“? ალბათ, ფეხბურთის საცქერლად მიაწყდა ხალხი ნავთლუღს, მაგრამ მხოლოდ სტუმარი ახალგაზრდების თამაში იხილა. კი მაგრამ, სად იყვნენ ჩვენები? ქართველი ახალგაზრდები ნორვეგიელთა რიგებში ჩაკარგულიყვნენ, ტანმაღალ ვიკინგებს მცხუნვარე მზისგან თავდასაცავად, საჩრდილობლად იყენებდნენ. ცოდვილობდა, წვალობდა საქართველოს მომავალი „იმედი“, მაგრამ...

ნორვეგიამ საფეხბურთო გაკვეთილი ჩაატარა „შევარდენზე“, თუ ჩვენებს რამის თავი კიდევ აქვთ, შეუძლიათ ისწავლონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გუშინდელ მარცხს დღეს დაივიწყებენ და არც ხვალინდელ დღეზე იფიქრებენ.

ერთი სახიფათო მომენტი რაა, ისიც არ შეუქმნია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს. სტუმრები გვჯობდნენ ათლეტურად, ტაქტიკურადაც და დარწმუნებული ვარ, თამაშის დამთავრების შემდეგ, რომ დაგეძალებინათ, კიდევ ერთ მატჩს თავისუფლად ჩაატარებდნენ მაღალ დონეზე.

მეტოქემ დიდი ანგარიშით მოიგო. ეს ყოველივე ძალების დაუძაბავად, სრულიად თავისუფლად მოახერხა. შეხედავდი ნორვეგიელებს და გრძნობდი მოედანზე გუნდი იდგა, დახვეწილი და საქმის მკეთებელი.

არც ერთი სიტყვა ზედმეტი, თითოეული რა დროს სად უნდა ყოფილიყო, ზედმიწევნით დაეზეპირებინათ. ქართველები ხომ ფიზიკურად დაჯაბნეს, ტექნიკურადაც აჯობეს ჩვენს ფეხბურთელებს. აქედან გამომდინარე, მითი იმის შესახებ, თითქოს ნორვეგიელებს უჭირთ არასტანდარტული მოძრაობა და ფიქრი, დაიმსხვრა. ტექნიკაც გაუთავისებიათ, შრომას ძალუძს გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრა.

სტუმრებმა, რა თქმა უნდა, კუდით ქვა გვასროლინეს მეორე სართულზე, მაგრამ გოლები საზრიანი გაგვიტანეს. ნორვეგიელები მახვილგონივრული კომბინაციის შემდეგ დაწინაურდნენ. ჩვენმა დაბნეულმა დაცვამ ბურთის მოგერიება მანამდე ვერ მოახერხა, სანამ ანდერსენმა არ გაილაღა და ჭურაძე არ დაამწუხრა.

გაიტანეს სტანდარტული მდგომარეობიდან. საკმაოდ მახვილი კუთხიდან დარტყმულ ჯარიმას მეკარე და დაცვა მოუმზადებელი შეხვდა. ბურთმა გაარღვია ჩვენი დაცვითი ზღუდეები. ჭურაძემ კი მხოლოდ თვალი გააყოლა, და მარჯვენა დაბალ კუთხეში შეგორდა.

ბოლოს სტუმართა მეათე ნომერმა ლამის მთელი დაცვა მოგვიტყუა, მისი დარტყმული ბურთი ჭურაძემ კი შეაფერხა, მაგრამ ჭანკოტაძემ და ჩომახიძემ ვერ გაიყვეს და მოგერიების ნაცვლად კარში მიუჩინეს ადგილი.

ახლა ჩვენი გუნდის რგოლები შეაფასოთ. მეკარე სერგო ჭურაძეს აშკარად არ ეყო გამოცდილება. ასეთი დატვირთვისთვის მზად ვერ აღმოჩნდა. საჰაერო ბრძოლებით გაწამებულმა რამდენიმე შეცდომაც დაუშვა, მაგრამ თამაშის წაგებაში ყველაზე ნაკლები წილი დიდო.

დაცვა მთელი თამაშის მანძილზე დაბნეული და შეშინებული გამოიყურებოდა. ეს განსაკუთრებით დავითნიძის გაძევების შემდეგ დაეტყოთ, თუმცა თავდასხმა-ნახევარდაცვასთან შედარებით ამათ არა უშავდათ, კიდევ რაღაცას ცოდვილობდნენ.

დავითნიძისთვის არავის აუხსნია, რომ ხისტ თამაშსაც აქვს საზღვარი და თუ ძალიან მაღალი კლასის მცველი არა ხარ, ერთხელაც წითელი ბარათით დაგასაჩუქრებენ. კოკამ წყალი ზიდა უკრაინასთან და სლოვენიასთან, ნორვეგიასთან კი ბოდიშო, გვითხრა შვეიცარიელმა არბიტრმა ნიკოლას დაინამ. მთლიანი შემადგენლობით ვერაფერს ვაკლებდით ნორვეგიელებს და კაცნაკლულნი რას გავხდებოდით.

ნახევარდაცვა სრულიად პარალიზებული და უმაქნისი იყო, ამათი გადამკიდე თავდასხმაც — უსუსრი. აშვეთია და წიტაიშვილი ყველგან ვნახეთ, გარდა მეტოქის საჯარიმოსი.

ამის შემდეგ გასაკვირია, ნორვეგიამ რომ მოგვიგო?!

დასასრულს ერთსაც ვიტყვი, როცა მწვრთნელმა იცი, რომ ფიზიკურად და ათლეტურად მეტოქეს ძალიან დიდი უპირატესობა გააჩნია, მაშინ გამოსავალი უნდა ეძიო, დაჯდე და მოიფიქრო, როგორ გადაიტანო ბურთი მეტოქის ნახევარზე.

ამას ტაქტიკური განსწავლულობა უნდა და არა ის, რასაც გუშინ ჩვენი გუნდი აკეთებდა. ნორვეგიას ჩაკიდული, მაღალი გადაცემებით რომ ვერ გაარღვევ, ამას რა დიდი ფილოსოფია ნდა.

მწვრთნელი არა, ტაქტიკა სადაა, ფეხბურთელი არა, მაშინ საფეხბურთო რუკაზეც არაფერი გვესაქმება.

ერთადერთი, რაც ჩვენს მწვრთნელ-ფეხბურთელებს დღეისთვის უსწავლიათ ისაა, რომ ეროვნული ჰიმნის მოსმენისას ქვეყნის დროშისკენ უნდა იბრუნო პირი.

ამის სწავლას ათი წელი დასჭირდა, ალბათ, ფეხბურთს ერთ საუკუნეში ვისწავლით.

ბუდრი კობელაძის ფოტო

ქართველთა მეკარე სერგო ჭურაძეს საჰაერო ბრძოლის მოგება კი უჭირდა, მაგრამ მეტოქეებს მაინც არ ეპუებოდა

მატჩის შემდეგ

ზლაპარ-იყო, ზლაპარ-იყო

ჯამარაულს რომ გაეტანაო... ქეცბაია გამოცვალეს თუ თავად არ ითამაშა? დაცვამ დაგვაღალატა, თორემო...

პრესკონფერენციაზე ნორვეგიის გუნდის მთავარი მწვრთნელი *ნილს იოჰან სემბი* და საქართველოს ნაკრების თავკაცის თანაშემწე ვლადიმერ პანოვი გამოცხადდნენ. შეკითხვებს პირველად სტუმართა ნაკრების ხელმძღვანელმა უპასუხა:

— გუნდმა პირველ ტაიმშივე მოითავა საქმე. რა იყო მეორე ნახევარში თქვენი აღელვების მიზეზი?

— მინდოდა, ჩემს ბიჭებს მეორე ტაიმშიც პრესინგი ეთამაშათ და ამის გაკეთებისკენ მოვუწოდებდი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, პირველ ნახევარში ბრწყინვალედ თამაშმა ისინი დაღალა და ველარ მოახერხეს უპირატესობის შენარჩუნება. სწორედ ამან ამაღელვა.

— თქვენი დელეგაციის ყველა წევრი მოგებაში წინასწარ იყო დარწმუნებული და ხმამაღლა აცხადებდა ამის შესახებ. ნუთუ ასეთ სუსტ მეტოქედ მიგაჩნდათ საქართველოს ნაკრები?

— მე ასე არ ვფიქრობდი. თქვენი გუნდი ჯერ კიდევ ნორვეგიაში სტუმრობიდან მახსოვს. საქართველოს ნაკრებში ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს და ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. თბილისიდან ქულის წაღებაზეც თანახმა ვიყავი.

— რა განსხვავება დაინახეთ იმდროინდელ საქართველოს ნაკრებსა და დღევანდელს შორის?

— ასე დეტალურად ვერ გავიხსენებ მაშინდელი თქვენი გუნდის თამაშს. ის კი მახსოვს, რომ ძალიან გაგვიჭირდა გამარჯვების მიღწევა. ბოლო წუთებზე პენალტის წყალობით მოვიგეთ.

— დღევანდელ მატჩს როგორ კომენტარს გაუკეთებდით?

— პირველ ნახევარში ინტენსიურად ვიმუშავეთ. ჩემთვის მოულოდნელად, თითქმის ყველაფერი გამოგვივიდა. ამან ცოტა დაგვღალა კიდეც. თანახმა ვიყავი, მეორე ნახევარში 0:0 გვეთამაშა.

— ელოდით ასეთ იოლ გამარჯვებას?

— მინდა გითხრათ, რომ მოგება არასოდეს არ არის ადვილი. მხოლოდ ოცნება შეიძლება ისეთ მომენტებზე, როგორიც შევქმენიც და გამოვიყენეთ.

— საქართველოს ნაკრების სუსტ და ძლიერ მხარეზე რას იტყვით?

— სათადარიგოთა სკამიდან დანახული მეტოქის სუსტ და ძლიერ მხარეზე საუბარი არ მიმჩნია მართებულად.

— თქვენ რომ ყოფილიყავით საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, რა ცვლილებებს შეიტანდით მის მოქმედებაში?

— მაპატიეთ, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ...

ნილს იოჰან სემბი გულთბილად დაგვემშვიდობა და ნორვეგიელ ჟურნალისტებთან ერთად პრესკონფერენციის დარბაზი, ჩვენთან კი *ვლადიმერ პანოვი* დატოვა.

— მართალი იყო ნორვეგიელთა თავკაცი, როცა თქვა, რომ არ ველოდი ჩემი ბიჭების პირველ ნახევარში ასეთ ბრწყინვალე მოქმედებასო. ჩვენ გვქონდა ნანახი მათი საბერძნეთში თამაშის ვიდეოჩანაწერი. თითქმის იგივე ტაქტიკით გამოვიდნენ დღესაც, მაგრამ იმ მატჩისგან განსხვავებით პირველ ტაიმში აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა ამაში ჩვენებმა უფრო შეუწყვეს ხელი.

საქართველოს ნაკრების დაცვის ასეთი ცუდი თამაში მე არ მახსოვს. პირველი ორი გოლი აშკარად ვაწუქეთ სტუმრებს. ჯერ იყო და შეყილაძემ არასწორად დაუბრუნა ბურთი მეკარეს, მანაც ცუდად მოიგერია. იმ აუტიდან ჩამოწოდებულზე კი კარგად ნახეთ, რაც მოხდა. მეორე გოლიც დაცვის უხეშ შეცდომას მოჰყვა.

არადა, მატჩი ურიგოდ ნამდვილად არ დაიწყეთ. ბიჭები საბრძოლო განწყობილებით გავიდნენ მოედანზე. ნახევარმცველები და თავდამსხმელები კარგად გამოიყურებოდნენ, ცდას არ აკლებდნენ, სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. 0:1-ზე ჯამარაულის დარტყმული ძელს რომ არ მოხვედროდა და გასულიყო, ალბათ, სულ სხვა თამაში წავიდოდა.

— ლიბეროთი დაჩვეული დაცვის თამაშის ასე ხელაღებით უარყოფა და მცველთა ერთ ხაზზე განლაგება სარისკო არ იყო?

— ჩვენ შეგვეძლო, უკანა მცველიც დაგვეყენებინა, მაგრამ დაცვის ასეთ უსუსურ მოქმედებას ვერ წარმოვიდგენდით. მეორე ტაიმში გამოვასწორეთ თამაში. მომენტებიც გვქონდა და მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო. ნორვეგიელთა მწვრთნელმა რომ განაცხადა, ჩემები მეორე ტაიმში დაიღალნენო, ყოველივე იმან განაპირობა, რომ ჩვენმა ბიჭებმა აშკარად მოუმატეს.

— ცქიტაშვილი რატომ არ დააყენეთ?

— ვნახეთ მისი „ფრაიბურგში“ თამაში. მას მარცხენა ფლანგზე მოქმედება ევალება, ზონის კონტროლთან ერთად. ამ პოზიციაზე კი ნაკრებში პრობლემა ნაკლებად გვაქვს...

— ფაქტობრივად უთამაშებელი შეყილაძეს რატომ ენდეთ?

— მატჩის შემდეგ გვქონდა ამის შესახებ ლაპარაკი. შეყილაძე ნამდვილად ვერ არის ფორმაში.

— ქეცბაია გუცაევმა გამოცვალა შესვენებაზე, თუ თავად ფეხბურთელმა ითხოვა შეცვლა?

— ქეცბაიას შეცვლა მწვრთნელმა გადაწყვიტა.

— სერგო კუტივაძემ კი გვითხრა, ქეცბაიამ თავად არ ისურვა მეორე ტაიმში თამაშიო...

— არ ვიცი. ზუსტად ვერ გიპასუხებთ. მე რომ გასახდელში შევედი, მაისური გახდილი ჰქონდა.

— არჩილ არველაძის მოედანზე შეშვება, თუ გქონდათ გეგმაში?

— თუ მეორე გოლის გატანას მოვახერხებდით, მაშინ არველაძესაც ჩართავდით თამაშში.

— ნორვეგიელები რამდენსაც მოისურვებდნენ, იმდენს გაიტანდნენ. იზიარებთ ამ შეხედულებას?

— მთლად ასე არ იყო. მოინდომეს, გაიტანეს კიდეც. თუმცა ამაში ჩვენ უფრო მიგვიძღვის წვლილი. მათ განსაკუთრებული არაფერი შეუქმნიათ. რვა კაცით იცადნენ თავს და, ეტყობა, ეშინოდათ კიდეც საქართველოს ნაკრების. სწორად თქვა ნორვეგიელთა მწვრთნელმა, ფრეზეც ყაბულს ვიყავით. ვიმეორებ, დაცვის სუსტმა თამაშმა განაპირობა ასეთი შედეგი.

— ვლადიმერ გუცაევს ამ მატჩის შემდეგ გადაწყვეტილი ჰქონდა, თანამდებობა დაეტოვებინა. მერაბ ჟორდანიამ სცადა, გუცაევს გადაწყვეტილება შეეცვალა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

— ბატონ ვოვას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ნორვეგიასთან შეხვედრის შემდეგ წასულიყო. ჟორდანიასთან ლაპარაკმა რა შედეგი გამოიღო, არ ვიცი.

ხვიჩა სანიკიძე

მეორე ჯგუფი

დასავლეთი „ა“ ქვეჯგუფი

XX ტური

24 აპრილი

მაღაროელი 0:5 სულორი

0:1, 0:2, 0:3 ფაიქიძე (37, 42, 46), 0:4 ბიბილეიშვილი (66), 0:5 სადილიანი (80)
გაფრთხილება: ვეშაპიძე (მაღაროელი), ორმოცაძე, ბელთაძე (ორივე სულორი)
მსაჯი: გ. ასკაროლელი (ქარელი)

რიონი 2:2 იბერია 2

0:1 თ. ყურაშვილი (16), 1:1 ლომთაძე (48), 2:1 აღფაიძე (53), 2:2 მეგენეიშვილი (63)
გაფრთხილება: სანიკიძე, აბუთიძე, მეგრელიშვილი (ყველა რიონი), სოფრომაძე (იბერია 2)
მსაჯი: კ. მეხხი (ზუგდიდი)

სამგურალი 2 2:2 ოკეანე

0:1 კრავეიშვილი (4), 0:2 კ. ბაკურაძე (14), 1:2 ზ. ქუთათელაძე (30), 2:2 ნაკანი (35)
გაფრთხილება: ზ. ქუთათელაძე, გაბლაია (ორივე სამგურალი 2), გოგია, ნუცუბიძე, ჯიქია (ყველა ოკეანე)
გაძევება: კოპალიანი (36, სამგურალი 2), ხელაძე (36, ოკეანე)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

მარგვეთი 3:1 ტორპედო 2

1:0 მალაღურაძე (1), 2:0 გეწაძე (42), 2:1 ფუტკარაძე (44), 3:1 დ. ნოზაძე (59)
გაფრთხილება: გაბუნია (მარგვეთი), ბ. მუშკუდიანი (ტორპედო 2)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

25 აპრილი

ვეშახტე 3:4 გაგრა

0:1 ტ. მანაგაძე (14), 1:1 კანკია (45), 1:2 ზ. მუშკუდიანი (49), 2:2 გაბრიჭიძე (50), 2:3, 2:4 ტ. მანაგაძე (62, 78), 3:4 ჩიტიძე (79)
გაფრთხილება: კალატოზი (მეშახტე), რეხილაძე, გაბელაია, ვ. ქუთათელაძე (ყველა გაგრა)
გაძევება: კალატოზი, რ. პატარიძე (54, 61, ორივე მეშახტე)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ჩიხურა 3:6 რაჭა

1:0 ხახიშვილი (3), 1:1, 1:2 შარაბიძე (36, 50), 1:3, 1:4 ჯმუხაძე (52, 71), 1:5 შარაბიძე (72), 2:5, 3:5 პაპიჯანოვი (77, 80), 3:6 ჯმუხაძე (85)
გაფრთხილება: ხახიშვილი (ჩიხურა), დ. პაპიძე (რაჭა)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

სულორი	19	17	2	0	63:15	53
მარგვეთი	18	16	2	0	70:18	50
მეშახტე	18	12	1	5	46:26	37
გაგრა (-3)	19	13	0	6	43:23	36
ოკეანე	19	11	2	6	27:27	35
სამგურალი 2	18	9	3	6	34:32	30
რაჭა	19	7	2	10	37:39	23
ტორპედო 2	19	5	4	10	24:28	19
რიონი	18	5	3	10	23:30	18
იბერია 2	19	3	4	12	23:41	13
სიორმე (-3)	18	4	1	13	14:38	10
ჩიხურა (-3)	18	2	3	13	23:67	6
მაღაროელი (-3)	18	1	3	14	19:62	3

„ბ“ ქვეჯგუფი

XX ტური

24 აპრილი

ვერცხალი 3:2 სამეგრელო

1:0 მეგრელიშვილი (62), 1:1 ქუთია (68), 2:1 მეკავანაძე (70), 3:1 მეგრელიშვილი (83), 3:2 ჯალაღონია (90)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

კოლხეთი 4:0 ეგრისი

1:0 ონიანი (20), 2:0, 3:0 ქაშაბაძე (36, 68), 4:0 ჯიქია (85)
გაფრთხილება: მიქავა (ეგრისი)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

ბახმარო 0:1 შუძურა

25 აპრილი

კოლეში 1:1 კოლხეთი 2

1:0 კობიძე (47), 1:1 თედეევი (75)
გაფრთხილება: თედეევი, ვ. ყურაშვილი (ორივე კოლხეთი 2)
გაძევება: ვ. ყურაშვილი, თედეევი (84, 88, ორივე კოლხეთი 2)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

ოდიში 2 5:1 სალხინო

ფაზისი 2:0 ენგური

კოლხეთი	18	15	2	1	57:10	47
კოლეჯი	19	11	5	3	37:17	38
შუქურა	18	10	2	6	37:24	32
სქური	18	10	2	6	42:38	32
ფაზისი	18	10	1	7	34:23	31
ენგური	19	9	4	6	36:28	31
მერცხალი	18	8	1	9	29:29	25
ოდიში 2	19	6	6	7	27:25	24
ბახმარო	19	6	3	10	18:31	21
სამეგრელო	19	5	3	11	24:36	18
კოლხეთი 2	18	5	2	11	16:38	17
ეგრისი	19	4	5	10	19:41	17
სალხინო	18	3	0	15	29:65	9

აღმოსავლეთი „ა“ ქვეჯგუფი

XXIV ტური

23 აპრილი

მრეტები 0:3 დარწყალი

0:1 ნიკლაური (11), 0:2 მიკუჩაძე (67), 0:3 სირაძე (79)
გაფრთხილება: მ. ამაშუკელი, ჩარკვიანი, ჩახვაძე (ყველა მრეტები), ბარამიძე, გულაშვილი, პ. აფციაური (ყველა დარწყალი)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

კახეთი 1:1 ზოოვეტი

0:1 მახარობლიშვილი (27), 1:1 გურგენიძე (42პ.)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

24 აპრილი

ფვარელი 4:2 დინამო 3

1:0 მიქაბერიძე (20), 1:1 ახალაია (30), 2:1 მიქაბერიძე (32), 2:2 ახალაია (38), 3:2 ქარელიშვილი (70), 4:2 ოსეფაშვილი (74)
გაფრთხილება: სომხიშვილი (ფვარელი), თაბაგერიძე, სახურია (ორივე დინამო 3)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

არსენალი 2 2:1 ალაზანი

1:0 რობაქიძე (16), 2:0 ზ. მეტრეველი (56), 2:1 მეურმაშვილი (76)
გაფრთხილება: ზ. დავითაშვილი (არსენალი 2), ხატიაშვილი (ალაზანი)
მსაჯი: ა. ბილაკაძე (თბილისი)

სამგორი 1:2 ხალიბი

0:1, 0:2 ა. სოხაძე (12, 45), 1:2 კიკნაველიძე (67)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ჭაბუკიანი 7:0 ძანაგკო

1:0, 2:0, 3:0, 4:0 მარლიეი (2, 16, 17, 19), 5:0 გიგუაშვილი (23), 6:0 გუნია (63), 7:0 შველაძე (68)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

XVII ტურის

27 აპრილი

აკადემია 2:0 სამგორი

არსენალი 2 1:0 მრეტები

აკადემია	22	19	1	2	51:9	58
დარწყალი	22	18	4	0	62:15	58
ფვარელი	22	14	5	3	37:14	47
ჭაბუკიანი (-3)	23	14	3	6	40:22	42
ხალიბი	22	13	2	7	41:25	41
არსენალი 2	22	12	3	7	35:18	39
კახეთი	23	11	5	7	37:31	38
დინამო 3	23	10	3	10	37:35	33
ზოოვეტი	22	8	7	7	42:34	31
ალეკეთი	23	7	1	15	28:49	22
უნივერსიტეტი						
იბერია	22	6	4	12	19:28	22
სამგორი	22	4	3	15	27:46	15
მრეტები	23	4	2	17	21:46	14
ალაზანი	23	2	2	19	21:64	8
ძანაგკო (-3)	22	2	3	17	15:77	6

„ბ“ ქვეჯგუფი

XX ტური

24 აპრილი

ფასანური 2:3 ქარელი

0:1 ნათელაძე (4), 0:2 მიდელაშვილი (32), 1:2, 2:2 სუდაძე (44, 50), 2:3 მიდელაშვილი (70)
გაფრთხილება: ასპანიძე, ზუმბაძე (ორივე ფასანური), ნადიბაიძე, მწყერაშვილი, ხაჩატროვი (ყველა ქარელი)
მსაჯი: შ. ბერიძე (ახალციხე)

ლოკომოტივი 2 0:2 ცხინვალი

0:1 მარგიევი (25), 0:2 ეჯოშვილი (68)
გაფრთხილება: სოსელია, სადაღაშვილი, სიამაშვილი, კაცია (ყველა ლოკომოტივი 2), ტილკავაშვილი, ცხადაძე (ორივე ცხინვალი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

იბერია 0:1 დილა 2

0:1 სულთანიშვილი (9)
გაფრთხილება: კარელიძე, საყვარელიძე (ორივე დილა 2)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

25 აპრილი

ივერია 5:0 ვარძია

1:0, 2:0 გოგალაძე (27, 39), 3:0 ფოფხაძე (60), 4:0, 5:0 ელასოფი (79, 84)
გაფრთხილება: ლეკიშვილი, გ. გვირჯიშვილი (ორივე ვარძია)
გაძევება: გელაშვილი (88, ივერია)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

საუ 2:0 განთიადი

1:0 გ. ნოზაძე (69), 2:0 თალაკვაძე (70)
გაფრთხილება: ლომსაძე (საუ), ჯალალი (განთიადი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

ჟინერი 0:3 თორი

26 აპრილი

ცხუმი 0:3 დინამო 2

0:1 ლ. მელქაძე (31), 0:2 ვ. გაგუა (80), 0:3 გოგირიძე (88)
გაფრთხილება: ბოჯგუა, კაკაბაძე (ორივე ცხუმი), ხიზანიშვილი (დინამო 2)

დინამო 2	19	17	0	2	51:12	51
ცხინვალი (-3)	20	16	2	2	55:14	47
ქარელი	20	13	3	4	41:16	42
ლოკომოტივი 2	20	12	3	5	50:30	39
ივერია	20	11	6	3	47:21	39
განთიადი	20	9	4	7	32:31	31
ცხუმი	20	7	4	9	36:32	25
თორი	20	7	1	12	27:32	22
საუ	19	6	4	9	33:36	22
მესხეთი	20	5	5	10	32:42	20
იბერია	20	6	1	13	37:42	19
დილა 2	20	5	3	12	28:48	18
ვარძია	20	3	4	13	16:53	3
ჟინერი	20	1	2	17	18:94	5

შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვს სამი ქულა

სჯობს აღსრულდეს ...
და დაინგრეს ...

გუშინ, დღის პირველ საათზე, სპორტის აკადემიის რექტორ და ამავე დროს სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილის კაბინეტში გაიმართა აღნიშნული კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც ბოლო სამი კვირის მანძილზე „თავგამოჩენილ“ ფეხბურთელთა და სხვა საფეხბურთო პერსონალის საკითხები განიხილეს.

სხდომამ ქართული მასმედიის ჯეროვანი ყურადღება ვერ მიიპყრო. ეტყობა, ამაში საქართველო-ნორვეგიის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩია დამნაშავე. ამ შეხვედრის ფონზე სხდომამ ვერ დაინტერესა პრესა და „სარბიელის“ წარმომადგენელს კოლეგებიდან მარტოს მოუხდა ქართული ფეხბურთის სასჯელგამრიგეების სჯა-ბაასის მოსმენა.

მომხსენებელმა (ზვიად დარასელი) მართლაც რომ პრეტენზია-საჩივრების დასტა იშიშვლა და სხდომის მონაწილეებს საფუძვლიანად გააცნო ბოლო კვირების მანძილზე მომხდარი უდისციპლინობანი.

ფვრილფეხობა

მსაჯთაგან წითელბარათნაჩვენები ფეხბურთელები სფფ-ს კოდექსის მიხედვით სხდომის მონაწილეებმა თითო და ორ-ორ მატჩიანი დისკვალიფიკაციები დასაჯეს. ამათგან თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს იმათ, ვინც ორი ყვითელი და შესაბამისად, ერთი წითელი მიიღეს ერთ მატჩში. ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია კი იმ ფეხბურთელებს მიესაჯათ, რომლებმაც პირდაპირ, „ყვითლის აუნთებლად“ გამოსტყუეს წითელი ბარათი მსაჯებს.

ყოველივე ამას სფფ-ს ინსტრუქცია ითვალისწინებს.

ამგვარი სიტუაციებიდან გამომდინარე, თითო მატჩის გამოტოვება და 50 ლარი მიუსაჯეს: დავით ჭიღლაძეს („მრეტები“), კოტე თოდაძეს („რიონი“), ვეფხია გელაშვილს („ივერია“), ვაჟა ყურაშვილსა და დავით თედეევს (ორივე „კოლხეთი 2“ — ფოთი), სოლომონ ულუმბეგაშვილს („ივერია“), გრიგოლ თევზაძეს („სამგურალი“), რომინ თოლორდავას („კოლხეთი“, ხობი), ვალტერ გუჩუას („დინამო“ თბილისი), როლანდ პატარიძეს („მეშახტე“).

ამ ფეხბურთელებმა დისკვალიფიკაციები მსაჯებთან უმნიშვნელო კამათისთვის და შედარებით მცირე, სათამაშო მომენტებში გამოჩენილი უხეშობების გამო მიიღეს.

ორი მატჩით დისკვალიფიკაცია და შესაბამისად 100 ლარი ფულადი ჯარიმა მიესაჯათ: გიორგი მიშველაძეს („გორდა“), თემურ ლურწკიას („ოდიში“), ლევან კოპალიანს („სამგურალი 2“), ზვიად ხელაძეს („ოკეანე“), დავით ცომაიას („ლარწყალი“), კობა კორძაძეს („იბერია“ ქარელი), დავით პეტრიაშვილს („სამგურალი“), დავით ბედლიძეს („კახეთი“).

ესენი კი ძირითადად მსაჯის გინებისთვის, ბოლო იმდის ჯარიმისთვის, ანაც მეტოქის შეურაცხყოფისთვის დაისაჯნენ.

აღნიშნული სანქციების დაკანონების შემდეგ (რასაც კალმით დაწერ, ნაჯახით ვერ ამოშლი), სხდომის მონაწილეები გაცილებით სერიოზულ საკითხებზე გადაერთვნენ.

ბობოლები

1. ოზურგეთლების საკითხი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ განვლილ ტურში, „მერცხალი“ — „კოლხეთის“ (ხობი) მატჩისას, გულრიფშელი არბიტრის — გოჩა ცირდავას მსაჯობით აღშფოთებულმა „მერცხალის“ ფეხბურთელებმა იგი ქვეშ გაიგდეს (იიფ!) და ბევრი ხომ ურტყეს, ბევრსაც დაჰპირდნენ თურმე.

მსაჯის და კომისრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სადისციპლინო-ტექნიკურმა კომისიამ წინა სხდომაზე იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით და „მერცხალის“ მერვე ნომერს, კარლო მგელაძეს თორმეტთვიანი დისკვალიფიკაცია და 1000 ლარი ფულადი ჯარიმა „მიუზომა“.

გუშინდელ სხდომაზე კი გაირკვა, რომ ცირდავასთვის შეურაცხყოფა (რა ტევადი სიტყვაა) არა მერვე ნომერ მგელაძეს, არამედ მეცხრე ნომერ ზვიად დოლიძეს მიუყენებია. საუბარია წიხლის ამორტყმაზე, თორემ ლანძღვა-გინება მსაჯისთვის არც სხვებს დაუკლიათ. ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმაც ასე დადასტურა — კარლო მგელაძე მანდ არაფერ შუაშია, იგი ჩხუბში საერთოდ არ ჩარეულაო.

ამ „დაზუსტებას“ სხდომის მონაწილეები, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად შეხვდნენ, მაგრამ კარლო მგელაძე მაინც „შეიბრალეს“ და სასჯელად 250 ლარი ფულადი ჯარიმა და ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს.

2. ხაჭაპურიძის საკითხი

წყალტუბოში გამართულ „გაგრა“-„მარგვეთის“ შეხვედრასაც მრავლად ახლდა ექსცესები. სტუმრებმა კი მოიგეს და დიდი ანგარიშითაც, მაგრამ „გაგრის“ გუნდის გულშემატკივრებს თავიანთი ფეხბურთელების პასიურობა თავიანთი აქტიურობით ჩაუფარცხავთ და მარგველი ირაკლი ხაჭაპურიძე ქართულ-ქომაგურ სტილში შეუმკიათ. ირაკლი ხაჭაპურიძე ქუთაისელი ყმაწვილია, პირველ წრეში თავად თამაშობდა წყალტუბოში და ამდენად, თითქმის მშობლიურ ქალაქში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის გინება ვერ აუტანია და თავადაც უგინებია ხალხისთვის. ჩემი დედ-მამა იქვე იჯდა ტრიბუნებზეო — ასე გაამართლა თავისი საქციელი ხაჭაპურიძემ. კომისიამ გულთან კი მიიტანა მარგველთა თხოვნა, 30 აპრილს ვანის „სულორთან“ უპრინციპულესი შეხვედრა გვაქვს და ეგებ ამ ჩვენს ლიდერ ხაჭაპურიძეს ერთი (უკვე გამოტოვებული) მატჩი აკმაროთო, მაგრამ წესი წესია, წესს ვერ გადავუხვევთო და... ხაჭაპურიძე ორ მატჩს გამოტოვებს, ამასთანავე 100 ლარის გადახდაც მოუწევს.

3. ბაღდადის საკითხი

ბაღდადშიც მაყურებელმა გამოავლინა ენერგია და ტემპერამენტი. დაზარალებული ამჯერად არბიტრი გახლდათ, რომელსაც, თუ მატჩის კომისარ აფრიდონიძეს და მასპინძელთა მწვრთნელ სოსო ქორიძეს ვერწმუნებით, ჩინებულად უმსაჯია. მაყურებელი მაინც გასწყრომია კრიჭაშვილს, ორი ბაღდადელი ფეხბურთელი — არსენა მახარაძე და ზაზა ლომსიანიძე მთელი მეორე ტაიმი ჩურჩულით მაგინებდნენ (ხმამაღლა რცხვენოდათ?!) და მხოლოდ იმიტომ არ გავაგდე მინდვრიდან, მაყურებელი ჩაგვქოლავდაო — თქვა არბიტრმა სხდომაზე. მსაჯს რბილად კი უსაყვედურეს, მაინც უნდა გაგეგდოო, მაგრამ დასჯით არ დასაჯეს და ბაღდადის სტადიონიღა დააჯარიმეს — ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

4. ბათუმი — ტყიბული — ასპინძა

აქაც სტადიონები „გააფრთხილეს“. „ბათუმი“ — „დინამოს“ თამაშზე ვიღაცას სანთებელა უსვრია ტრიბუნიდან — ბათუმის სტადიონის დირექცია შენიშვნას დაუჯერეს.

ასპინძაში მსაჯობა და კომისრობა სასჯელიაო — თქვა მალხაზ ლაცაბიძემ — მინდორზე ქვებს ისვრიანო — „ვარძიის“ სტადიონი უმკაცრესად, უკანასკნელად გააფრთხილეს.

ტყიბულში კი აქამდეც არაერთხელ განმეორებულა გულშემატკივართა უწესრიგობანი და „მეშახტეს“ მეათე ეროვნულის ბოლომდე მოუწევს თამაში ყველგან, ტყიბულის გარდა.

კონსტანტინე ბოგიშვილი

ისიანი სიონშია, ტყავაძე კი სიონსმიღმა

ბაბრი კეთილაძის ფოტო

შარშანდელი „სიონი“ — „ტორპედო“ 4:3. ბუბა ტყავაძემ ქუთაისელებს სამი გოლი გაუტანა

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი, ბოლნისის „სიონი“ გაძლიერებას ლამობს, თუმცა, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა საქმის მოსაკვარახჭინებლად საჭირო ფხას ვერ იჩენს. ამას წინათ ბოლნისელებმა თავდამსხმელი შალვა ისიანი შეიმატეს. იგი ბოლოს რუსეთში, ნიჟნი ნოვგოროდის გუნდში ბურთაობდა. ნოვგოროდელებმა, როგორც იქნა, საშველი დააყენეს და ისიანის ტრანსფერის ფურცელი ფედერაციაში გამოგზავნეს. ფეხბურთელმა უკვე მოასწრო „სიონის“ შემადგენლობაში თამაში, როცა ბოლნისელები ბოლო ტურში ფოთის „კოლხეთს“ შინ 1:1 დაუზავდნენ.

„სიონში“ ასპარეზობის სურვილი ერთ დროს ამ გუნდში ნათამაშებ, მერე კი საბერძნეთის „პანახაიკში“ წასულ და მობრუნებულ ბუბა ტყავაძესაც გამოუთქვამს, მაგრამ წინააღმდეგობას წასწყდომია. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელი კლუბის შეფობას უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს შეხვედრა რატომღაც არ შედგა. არადა, „სიონის“ პრეზიდენტმა შუქრი ამ ზამთარში გვითხრა, ტყავაძის დამატება მსურს, მთავარია, ბუბა იყოს თანახმაო.

ჰოდა, გასაკვირიც ეგაა, თუ სურვილი აქვთ, რა მიზეზი აბრკოლებთ ბოლნისელებს. მით უმეტეს, ფეხბურთელიც ყაბულს ყოფილა.

გიორგი ვაშაკიძე

კევინ კიგანს ვერ გადაუწყვეტია მიდის თუ რჩება

დელიკატური მდგომარეობა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა დევიდ დევისმა უარყო პრესაში გავრცელებული ხმა, თითქოს ქვეყნის ეროვნული გუნდის დროებითი მწვრთნელი, კევინ კიგანი ზაფხულის მერეც თანამდებობაზე დარჩენას აპირებს.

მოგეხსენებათ, როდესაც ასოციაციასთან თანხმდებოდა, მიკი მაუსად წოდებულმა, 1978 და 1979 წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ხელი ხელს იმ პირობით დაჰკრა, რომ პოლონეთთან, უნგრეთთან, შვედეთთან და ბულგარეთთან თამაშის მერე თავის გზას ეწეოდა, ხოლო ასოციაცია ამ ხნის განმავლობაში შემცვლელს მოუძებნიდა. ისიც გეხსომებათ, რომ კიგანი აწ უკვე პირველ დივიზიონში აღზევებული ლონდონური „ფულემის“ მწვრთნელია და ამ კლუბის მიმართ საოცარ ერთგულებას იჩენს, ამბობს, ჩემთვის „ფულემი“ ნაკრებზე მნიშვნელოვანია, ამ პაწაწინა კლუბის პრემიერლიგამდე აყვანა მაქვს განზრახული.

მაშ რატომ გაჩნდა ეჭვი, რომ მიკი მაუსი ნაკრებში უნდა დარჩეს? ეჭვს სათავე „დეილი მეილმა“ დაუდო. გაზეთმა დაწერა, რომ მომდევნო სეზონიდან კიგანი კლუბისა და ეროვნული გუნდის მწვრთნელობას შეათავსებს, რადგან ნაკრებში მუშაობა და დიდ ამოცანებთან ჭიდილი საოცარ სიამოვნებას ანიჭებს. „დეილი მეილი“ უფრო შორსაც წავიდა, მას მერე, რაც ნაკრებს ევრო 2000-ის შესარჩევ ჯგუფს გაატარებს და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მიიღებს, იგი „ფულემს“ სულაც თავს დაანებებს და მთლიანად ნაკრებზე გადაერთვებაო.

„ეროვნულ გუნდში დარჩენა ზღაპარსავით დაუჯერებელი სულაც არ გახლავთ. დავიცდი, გარიგების პირობას შევასრულებ, ოთხ დათქმულ შეხვერას ჩავატარებ და მერე ვნახოთ“ — განაცხადა თავად კიგანმა ბუდაპეშტში, უნგრეთ-ინგლისის ამხანაგური თამაშის წინ და ბუნებრივია, ამ ნათქვამით დევისის კატეგორიულ ტონს წყალი შეუყენა.

როგორც ირკვევა, კიგანს ფეხბურთის ასოციაციის თანამშრომლებთან სრული ურთიერთგაგება აქვს, განსაკუთრებით ტექნიკური დირექტორის ჰოვარდ უილკინსონის როლი და საქმიანობა მოსწონს და ამბობს:

„გარს საუცხოო ხალხი მაკრავს. მათ შორისაა ჰოვარდ უილკინსონიც, რომელიც ჩემი თანამოაზრეა და ერთობლივად საინტერესო საქმეს ვაკეთებთ“.

ასოციაციის კიგანისეული ქება ამით არ დასრულებულა: „დღეს ასოციაცია ძირეულად განსხვავდება იმისგან, ჩემი ფეხბურთელობის დროს რომ იყო. ამჯერად აქ პროფესიონალები მუშაობენ და მათი მოღვაწეობა ინგლისის ნაკრების მწვრთნელობას ძალიან აიოლებს. იყავი და იმუშავე, სანამ თამაშებს იგებ. ხელს არავინ შეგიშლის“ — დასძინა კიგანმა.

ზემოხსენებულ დევიდ დევისს საქმეში გასარკვევად BBC-დან დაუკავშირდნენ. დევისმა შექმნილი ვითარება დელიკატურ სიტუაციად მონათლა.

უილკინსონმაც ვერ გაბედა სიტყვამრავლობა. ვერაფერი თქვა, რას აპირებს კიგანი, მიდის თუ რჩება. ერთადერთი, რისი შეტყობაც მისგან გახდა შესაძლებელი, ის გახლდათ, რომ დღეს კიგანს ნაკრების მწვრთნელად მუშაობა სიამოვნებს, მაგრამ ეს ხომ თავად კიგანსაც ჰქონდა ნათქვამი.

„კონკრეტული არაფერი თქმულა და მდგომარეობა მართლაც დელიკატურია, რადგან კიგანს „ფულემის“ წინაშეც აქვს პასუხისმგებლობა“ — ბრძანა „ლიდს იუნაიტედის“ ყოფილმა მწვრთნელმა, მაგრამ გამორიცხვით არც ის გამორიცხა, რომ მიკი მაუსი მთლიანად ეროვნულ საქმეზე გადაერთოს.

„აშკარაა — განაგრძო მან — ფეხბურთის ასოციაცია კევინისთვის კარს ღიას დატოვებს და თუ მან ნაკრებში დარჩენა გადაწყვიტა, უარს არავინ ეტყვის. მგონი, საკითხს ნათელი სეზონის ბოლოს უნდა მოეფინოს“.

გასხდება მათეუსი მწვრთნელი?



ლოთარ მათეუსი

„თუ ლოთარი მოინდომებს მწვრთნელობას, დარწმუნებული ვარ, იგი ამას შეძლებს. მწამს, თუ მათეუსმა რაიმეს გაკეთება განიზრახა, დასახულ მიზანს მიაღწევს“ — ვერმანიის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტ ეგიდიუს ბრაუნს სჯერა, რომ თუ მათეუსი დაფიქრდება და ნაკრებთან გაყრას ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ არ ისურვებს, მას ქვეყნის პირველი გუნდის გაწვრთნა შეეძლება.

„ვფიქრობ, ლოთარ მათეუსი დიდი საქმეებისთვისაა დაბადებული. იგი მოწოდებით ლიდერია და ძალუძს, ისეთი რამ გააკეთოს, რის უნარიც სხვას არ შესწევს. ჩემი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, გერმანიის ნაკრების მწვრთნელად მომავალში ლოთარ მათეუსი გვეხილა“ — არც მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერია იმის წინააღმდეგი, რომ ბუნდესნაკრები მათეუსმა გაწვრთნას.

გერმანიაში ლოთარ მატეუსზე თითქმის ყველა ამაღლებული აზრისაა. იქ სწამთ, რომ მატეუსს, გერმანული ფეხბურთის ერთგვარ სიმბოლოს, ყველაფრის გაკეთება ძალუძს. სჯერათ, რომ მატეუსი ყოვლისშემძლეა.

მსოფლიოს ჩემპიონთა რიგებში მატეუსის სიტყვა არანაკლებ ფასობს, ვიდრე, ვთქვათ, ნაკრების მწვრთნელ ერიხ რიბეკის. ასე იყო ბერტი ფოგთსის დროსაც, ასე იყო ფრანც ბეკენბაუერის ნაკრებში მოღვაწეობის ჟამსაც, ახლა რატომ უნდა შეცვლილიყო რამე?

ნაკრების მწვრთნელობა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. ამ თანამდებობას ბევრი ცნობილი ადამიანი შეუწირავს, ბევრი გამოცდილი თავკაცის იმიჯი შეურყევია, ბევრის სახელი გაუტეხია და ბევრსაც, ფეხბურთელობისას სახელდაგდებულ ადამიანს, დაუწყვეტია გული ქომაგთათვის. ცხადია, ცუდთან ერთად კარგიც ყოფილა, თუმცა იშვიათად — ზოგი ისეთი კაცი წარმოჩენილა სამწვრთნელო ასპარეზზე, მობურთალობისას დაჩრდილული რომ ყოფილა.

ლოთარ მათეუსი ნამდვილად ძლიერი ფეხბურთელი იყო. ახლა, რა თქმა უნდა, უწინდებურად ველარ თამაშობს, ველარ უძღვება თანაგუნდელებს გამარჯვებისკენ, მაგრამ ძველი დიდებისგან რაღაც ნამდვილად შერჩენია. ფეხბურთელები მათეუსს ძალიან დიდ პატივს სცემენ და როგორც ზემოთ ვთქვით, მის სიტყვას აფასებენ. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, მიღწეული წყალში რომ არ ჩაიყაროს. არავინ იცის, რას ფიქრობს თავად მატეუსი ნაკრების თავკაცობის თაობაზე.

...ლოთარის ფეხბურთიდან წასვლას უკვე რამდენიმე წელია, ელიან, ბებერი ლომი კი ჯიუტობს. ქვეყნის ნაკრებში 135-ჯერ ნათამაშევი მათეუსი თამაშს, როგორც ჩანს, კვლავ გააგრძელებს, ამიტომ მის გამწვრთნელებაზე საუბარი, მოდით, ცოტა ხნით გადავდოთ.

ირაკლი ილაშვილი

ამხანაგური მატჩი

ჩრდ. ირლანდია 1:1 კანადა

0:1 ბირჩემი (67), 1:1 პარკერი (90 ს.ჯ.)

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი (რაიტი 45), ჰიუზი, ჰორლოკი, ლომასი, უილიამსი, ჰანტერი, მაკკართი (ჰემილი 58), მეღლრინი (სონერი 81), დოუი (ფერგიუსონი 73), კუტი (მაკვეიგი 73), როუღენდი

კანადა: ფორესტი, კლარკი, პარკერი, უოტსონი, დე ვოსი, ქსაუსა (ბირჩემი 58), სტელტერი (კაში 65), დასოვიჩი, პეშისოლიდო, ბენტი, ბრენანი

— ერთი შეხედვით შედეგი არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, მაინც ნასიამოვნები დავრჩი.

ჩრდილოირლანდიელთა თავკაცის, ლოური მაკმენმის ეს სიტყვები სრული სიმართლე გახლავთ. კანადელებთან ამხანაგური შეხვედრის დაწყებამდე ყველა მასპინძელთა იოლ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ საქმე არც ასე ყოფილა, სტუმრებმა შედარებით გამოცდილ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს. მეტიც, აჯობეს კიდეც.

თავად განსაჯეთ. ანგარიში კანადელებმა გახსნეს — შეცვლაზე შესულმა მარკ ბირჩემმა პოლ პეშისოლიდოს კარგი პასი გამოიყენა და თავურით ბურთი კარში მოათავსა. ინგლისის მეორე დივიზიონის გამარჯვებულის, კევინ კიგანის „ფულემის“ თავდამსხმელს (ბირჩემს) მეორეს გატანა და თანამემამულეებისთვის გამარჯვების მოტანაც შეეძლო, როდესაც შოტლანდიურ „სენტ ჯონსტონში“ მოთამაშე ნიკ დასოვიჩისგან შესანიშნავი გადაცემა მიიღო, მაგრამ ბრიტანელთა მეკარე ტომი რაიტმა იყოჩაღა. ეს ყველაფერი მატჩის მიწურულს, 84-ე წუთზე მოხდა.

აი, 90-ე წუთზე კი კანადელებმა დასანანი გოლი გაუშვეს, უფრო სწორად, ავტოგოლი. ეს „გმირობა“ ჰოლანდიის ახალგამომცხვარი ჩემპიონის, როტერდამის „ფეიენოორდის“ წევრმა ბრედ პარკერმა ჩაიდინა. იგი მასპინძელთა ახალგაზრდა ფორვარდს, ტოტენჰემელ პოლ მაკვეიგს ებრძოდა ბურთის ასართმევად, საბოლოოდ კი მეკარე კრეიგ ფორესტის კარის დალაშქრა გამოუვიდა. ასე რომ, მაკვეიგისთვის სადებიუტო მატჩი ჩრდილო ირლანდიის ეროვნულ გუნდში ნაწილობრივ მაინც იღბლიანი აღმოჩნდა.

ნოდარ ძასრაძე

მასპინძელი კუტი საკუთარ კარში გოლის გამტან კანადელ პარკერს (№3) გაურბის

ინგლისი

I დივიზიონი

ძრიუ 1:0 ბრისტოლი

1:0 ჯონსონი (23)

პორტ ვეილი 1:2 უოტფორდი

0:1 მუნი (24), 1:1 ვიდინგტონი (28პ), 1:2 მუნი (60)

სანდერლენდი	44	29	12	3	88:27		99
ბრედფორდი	44	25	8	11	79:45		83
იფსვიჩი	44	25	8	11	65:30		83
ბირმინგემი	44	22	12	10	64:35		78
უოტფორდი	44	20	13	11	62:54		73
ბოლტონი	44	19	15	10	75:58		72
ვულვზი	43	19	14	10	61:39		71
შეფილდ იუნ.	44	17	13	14	67:61		64
ნორვიჩი	44	14	17	13	60:59		59
ჰადერსფილდი	44	15	14	15	60:69		59
კრ. პალასი	44	14	15	15	56:63		57
გრიმსბი	43	16	9	18	39:51		57
ვესტ ბრომვიჩი	44	15	11	18	67:73		56
ბარნსლი	44	13	16	15	54:53		55
ტრანმერი	44	11	20	13	60:59		53
სტოკპორტი	44	12	17	15	49:54		53
სვინდონი	44	13	11	20	57:76		50
პორტსმუთი	44	11	14	19	56:68		47
ქუინზ პარკი	44	11	11	22	46:59		44
პორტ ვეილი	44	12	8	24	43:74		44
ბერი	44	9	17	18	34:59		44
ქრიუ	44	11	11	22	51:77		44
ოქსფორდი	44	9	13	22	43:71		40
ბრისტოლი	44	8	15	21	55:77		39

პორტუგალია

XXIX ტური

რიუ ავე 0:1 გიმარაეში

0:1 ევანდო (73)

შავეში 1:1 სალგეირუში

1:0 ვანდერლეი (71), 1:1 სელიო სილვა (90)

პორტუ	29	20	6	3	65:24		66
ბოავიშტა	29	17	10	2	48:23		61
ბენფიკა	29	17	6	6	60:23		57
სპორტინგი	29	15	10	4	54:25		55
უნიაო	29	12	8	9	30:23		44
ეშტრელა	29	11	9	9	30:34		42
სეტუბალი	29	11	8	10	31:31		41
გიმარაეში	29	11	7	11	44:37		40
სალგეირუში	29	7	14	8	37:44		35
მარიტიმუ	29	8	9	12	35:37		33
კამპომაირენსე	29	9	6	14	36:43		33
ფარენსე	29	7	10	12	32:49		31
ალვერკა	29	7	10	12	29:40		31
რიუ ავე	29	6	11	12	23:40		29
ბეირა მარი	29	5	13	11	28:42		28
შავეში	29	5	10	14	36:55		25
აკადემიკა	29	4	7	18	27:58		19

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი პირველი დარტყმის აღებაა

დღეს ორ დიდებულ მეკარეს გაგაცნობთ უფრო ახლოს. ერთი, პარაგვაელი ხოსე ლუის ჩილავერტი, მოქმედია, ხოლო მეორე, მექსიკელი ანტონიო კარბახალი, ლეგენდად იქცა. იგი პირველი ფეხბურთელია, ვინც ხუთ (1950-66 წლებში) მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. ცოტა ხნის წინ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ორივეს დაუფასა ამაგი ჩილავერტი 1998 წლის მსოფლიოს საუკეთესო და სამხრეთ ამერიკის ყველა დროის უძლიერეს მეკარედ აღიარა, კარბახალი კი კონკაკაფის ზონის საუკეთესო გოლკიპერად.

ხოსე ლუის ჩილავერტს ხელთ წლის საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი პრიზი უპყრია

— რას ფიქრობთ ერთმანეთზე?

ხოსე ლუის ჩილავერტი — კარბახალი ლეგენდაა, ამით ყველაფერია ნათქვამი. ამ კაცმა ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, ეს კი ერთეულების ხვედრი გახლავთ. ძალიან გამიხარდა, რომ მას ეს გმირობის ტოლფასი საქციელი დაუფასდა. მართალია, ახლა ლოთარ მათეუსმაც გაიმეორა იგივე, მაგრამ მხოლოდ გაიმეორა — კარბახალი პირველად რჩება. ანტონიოს უდიდეს პატივს ვცემ, „მაესტროს" ვუწოდებ და მინდა, ნაწილობრივ მაინც დავემსგავსო.

ანტონიო კარბახალი — ყველასგან გამორჩეული მეკარეა. ძალიან ტექნიკური, ჭკვიანი და სწრაფია, ბრწყინვალედ ხელმძღვანელობს გუნდს, რასაც მინდერის მოთამაშეებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ნაღდი ლიდერია.

— ხოსე ლუის, კარგი მეკარეობის გარდა, თქვენ ცნობილი ხართ იმით, რომ პენალტებიდან და ჯარიმებიდან გაგაქვთ გოლები. რატომ აკეთებთ ამას ასე ხშირად?

ხ.ლ.ჩ — ეს ჩემშია, ერთგვარი ინსტინქტივით არის. როგორც იცით, მეკარის პატარა შეცდომაც კი უმეტეს შემთხვევაში გაშვებული გოლი და ხშირად წაგებაა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მეკარეს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, შესაბამისად, იგი სულ დაძაბულია და ნერვიულობს. თანაც, ჩვენ შეცდომის დაშვების შემდეგ შურისძიების საშუალება არ გვეძლევა, დანაკლისი თანაგუნდელებმა უნდა აანაზღაურონ. პირადად მე სხვის იმედად ყოფნა არ მიყვარს. როგორც კი შანსი მეძლევა, ანუ როგორც კი ჯარიმა ან პენალტი ინიშნება, ვცდილობ, თავად დავარტყა და რაც შეიძლება ზუსტად.

— ყველა მეკარე ღელავს მატჩის წინ?

ხ.ლ.ჩ. — აბსოლუტურად. ყოველ შემთხვევაში, მე თამაშის წინ დამშვიდებული გოლკიპერი არ მინახავს. ზემოთ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ — მეკარეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ასე რომ, ინერვიულებს, აბა, რა. თუმცა, როგოც კი მსაჯი თამაშის დაწყების ნიშანს მისცემს, იგი ერთგვარად სამყაროს უნდა გამოეთიშოს, უნდა იფიქროს მხოლოდ მატჩზე, ადევნოს ბურთს თვალყური, უხელმძღვანელოს დაცვას და თვითდაჯერება შთაუნერგოს.

ა.კ. — თუ რაიმეს მიღწევა გინდა, უზომოდ ბევრი უნდა იშრომო. მე ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი თითოეული შეხვედრისთვის, განსაკუთრებით მის დაწყებამდე 15 წუთის განმავლობაში. რა თქმა უნდა, სულ ვნერვიულობდი, მაგრამ, როგორც ხოსე ლუისმა თქვა, მსაჯის სასტვენი და ჩემი „გამოთიშვა" ერთი იყო. თავიდან შეიძლება ეს გაგიჭირდეს, თუმცა დროს ყველაფერი მოაქვს. წარმოგიდგენიათ, ჩემი დებიუტი ნაკრებში 1950 წლის მსოფლიოს პირველობაზე შედგა 200-ათასიან „მარაკანაზე". მაშინ 21 წლის ვიყავი და იცით, ვის ვხვდებოდით? მასპინძლებს, ბრაზილიის ეროვნულ გუნდს. თუ როგორ ვღელავდი, ამის წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს, ხელები მიცახცახებდა. მაგრამ ავიღე პირველი ბურთი და დავწყნარდი. კარგად მახსოვს, მაშინ ბურთს ვაკოცე. მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში პირველი დარტყმის აღებას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდი, ეს რაღაც ბედნიერი ნიშანივით იყო — ბურთს ვეუფლებოდი და მეც და ჩემი თანაგუნდელებიც საოცრად ვმშვიდდებოდით.

ხ.ლ.ჩ. — სრული სიმართლეა. მთავარია, პირველი ბურთი დაიჭირო.

— როგორ შეიცვალნენ მეკარეები წლების განმავლობაში?

ა.კ — ძალიან. დღეს გოლკიპერები გაცილებით სწრაფები და ტექნიკურები არიან, ვიდრე ჩემს დროს. ეს დრომ მოიტანა. თამაშის ტემპმა საოცრად იმატა.

ხ.ლ.ჩ. — დღეს ბევრი მეკარე ბურთს აღარ იჭერს. ისინი იგერიებენ და მეტოქეს შეტევის გაგრძელების საშუალებას აძლევენ. ადრე სხვაგვარად იყო — ბურთის დაუფლების ტექნიკა უფრო მაღალ დონეზე იდგა.

— ანტონიო, თქვენ კარიერა მაშინ დაასრულეთ, როცა საუკეთესო ფორმაში იყავით, რატომ?

ა.კ. — გადავწყვიტე, მანამ გამენებებინა ფეხბურთისთვის თავი, სანამ დავბერდებოდი, შეცდომებს დავუშვებდი და ტრიბუნებიდან სტვენას გავიგებდი. ეს მეტად უსიამოვნო შეგრძნებაა, არ მინდოდა, ჩემს თავზე გამომეცადა. ფეხბურთს 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვემშვიდობე, „უემბლიზე" გამართულ მექსიკა — ურუგვაის მატჩის შემდეგ. ვგრძნობდი, რომ დრო იყო — 37 წლის გახლდით.

ხ.ლ.ჩ. — ანტონიოს ამისთვისაც უდიდეს პატივს ვცემ. მეც აუცილებლად ასე მოვიქცევი. არ მინდა, ვინმემ მითხრას, შენი დრო წავიდაო, თავად მივხვდები. ფეხბურთისგან უკვე ბევრი სიამოვნება მივიღე. ცოტას, ალბათ, კიდევ მივიღებ. როცა ფეხბურთელი თამაშობს, ბედნიერია — ხალხი ეთაყვანება, აკეთებს იმას, რაც უნდა, იღებს ბევრ ფულს, მოგზაურობს მთელ დუნიაზე, ცხოვრობს საუკეთესო სასტუმროებში. თუმცა ყველაფერს თავისი დრო აქვს. ზედმეტი არ უნდა მოგივიდეს და ხალხს თავი არ უნდა მოაბეზრო.

— თქვენ საკმაოდ კარგი მოსაუბრეები ხართ. თუმცა მოედანზე ორივე ძალიან ემოციური, ცხარე ხასიათით გამოირჩევით. მინდორზე და მის გარეთ თქვენი პიროვნება ორად იხლიჩება?

ხ.ლ.ჩ. — რა თქმა უნდა. ხანდახან მეკარე უხეში უნდა იყოს, თანაგუნდელებს უნდა უყვიროს, გაუბრაზდეს, რადგან ის ყველაზე კარგად ხედავს მთელ მოედანს. მან უნდა ურჩიოს ამა თუ იმ ფეხბურთელს, საიდან უკეთესია შეტევა, საიდან — დაცვა. მეკარე ლიდერი უნდა იყოს — თავისი გუნდის წინამძღოლი და მოწინააღმდეგის პატივისცემის ობიექტი.

ა.კ. — სავსებით ვეთანხმები ხოსეს. ბევრს წყინს, რომ უყვირებ, მაგრამ მე ამ მხრივ გამიმართლა. ჩემს დროს ვინც კი მექსიკაში ძლიერი იყო, ჩემი თანაგუნდელი გახლდათ. ისინი უდიდესი ფეხბურთელები იყვნენ, დღეს რომ ვარსკვლავებს ეძახიან, ისეთები და იმასაც ხვდებოდნენ, რომ მე სიტუაციას უკეთ ვაკონტროლებდი. ამიტომაც მიჯერებდნენ. ყველგან ასე უნდა იყოს.

— ადრე ფეხბურთელს ნაკლები შანსი ჰქონდა ბევრი ფულის შოვნისა, ასე არ იყო?

ა.კ. — რა შედარებაა. პირადად მე სულ ვცდილობდი, გარკვეული თანხა გადამედო, რადგან არცთუ დიდი შემოსავალი მქონდა. არადა, ოჯახი მყავდა სარჩენი, ცხრა შვილი ხუმრობა ხომ არ არის. 1962 წელს ბრაზილიაში გადასვლა შემომთავაზეს, მაგრამ იქაც დაახლოებით იმხელა ხელფასს ავიღებდი, რამხელასაც ლეონში. ამიტომ შობლიურ ქალაქში დარჩენა ვარჩიე. მთელი კარიერა აქ გავატარე, დღესაც აქ ვცხოვრობ და ბიზნესითაც ლეონში ვარ დაკავებული.

— ფეხბურთთან გამოთხოვების შემდეგ ანტონიო მწვრთნელი გახდა. თქვენც იმავეს ხომ არ აპირებთ?

ხ.ლ.ჩ. — არ არის გამორიცხული, თუმცა ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. მწვრთნელობა ურთულესი პროფესიაა. ნორმალური ურთიერთობა უნდა გქონდეს გუნდის პრეზიდენტთან, ფეხბურთელთა პატივისცემა უნდა დიმსახურო და რაც მთავარია, კარგ შედეგს უნდა მიაღწიო.

— დაბოლოს, რა გრძნობა დაგეუფლათ დაჯილდოებისას?

ხ.ლ.ჩ. — ძალიან ვამაყობდი — ეს ჩემი მძიმე შრომის და რთული ცხოვრების დაფასება გახლდათ.

ა.კ. — არ დაგიმალავთ და მეც სიამაყის გრძნობა დამეპატრონა. ყველა დროის კონკაკაფის საუკეთესო მეკარედ მაღიარეს. ისეთ დიდ ოსტატებს ვაჯობე, როგორებიც იყვნენ გაბელო კონეხო, კელერი, ესტრადა, კალდერონი და კამპოსი.

უორლდ სოკერი
თარგმნა დავით კოტეზირიძემ

ანტონიო კარბახალი (მარჯვნივ) ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის წევრისგან, კარლოს რამირესისგან კონკაკაფის საუკუნის საუკეთესო მეკარის ჯილდოს იღებს

13 მაისის მოლოდინში

ჰოლანდიის ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" მეკარე ედვინ ვან დერ სარი, რომელსაც „ნარინჯისფერთა" შემდგენლობაში 36-ჯერ უთამაშია, კარიერას, ალბათ, საზღვარგარეთ გაგრძელებს. დღეს, როდესაც დედაქალაქური კლუბი მძიმე კრიზისშია, ჰოლანდიაში ცოტას თუ სჯერა, რომ ვან დერ სარი სამშობლოში დარჩება. როგორც თავად მეკარე ამბობს, იგი თავის მომავალს მაისის მეორე ნახევარში გადაწყვეტს. საქმე ის არის, რომ 13 მაისს „აიაქსი" მიმდინარე სეზონში ერთადერთი ტიტულის მოპოვებას შეეცდება — ქვეყნის თასის ფინალში იან ვოუტერსის ბიჭები „სიტარდს" ხვდებიან. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ აპირებს ვან დერ სარი ჰოლანდიის დატოვებას.

სამშაბათს, ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას, 1996 წელს „აიაქსის" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის მომგებმა მეკარემ ასეთი რამ თქვა:

— ძალიან ბევრი კლუბიდან დამიკავშირდნენ, ერთ-ერთი უპირველესი „მანჩესტერ იუნაიტედი" იყო. თებერვარლში „მანჩესტერის" გამოცდილმა გოლკიპერმა, დანიელმა პეტერ შმაიხელმა განაცხადა, სეზონის ბოლოს ინგლისს ვტოვებო. ეგ იყო და დაიწყო საუბრები შმაიხელის შემცვლელად ვან დერ სარის გადაბირებაზე, თუმცა...

— ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ „აიაქსს" საერთოდ არ დავკავშირებივართ. ამ წუთისთვის მეკარის პრობლემა სულ არ მაღელვებს, ისედაც ბევრი თავსატეხი მაქვს. სეზონის ბოლოს კი გოლკიპერის მოძებნას მართლაც ვაპირებთ, ამჟამად ამისთვის თანხებს ვეძებთ და სულ მალე გვეცოდინება, თუ რამდენის გადახდა შეგვეძლება კლუბის შესაფერისი დონის მეკარის სანაცვლოდ — ეს სიტყვები ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის, „იუნაიტედის" შოტლანდიელ მენეჯერ ალექს ფერგიუსონს ეკუთვნის. როგორც ხედავთ, მან უარყო ჰოლანდიელ ფეხბურთელთან დაკავშირებული ხმები.

კიდევ ერთ გრანდი, რომელიც ვან დერ სარის ხელში ჩასაგდებად იბრძვის, იტალიური სერია Ფ-ს ლიდერი, რომის „ლაციო" გახლავთ.

რაც შეეხება მეკარის ამჟამინდელ კლუბს, „აიაქსის" წარმომადგენელთა თქმით, ისინი ვან დერ სარს მაისში შეხვდებიან და ყველა წვრილმანს განიხილავენ.

— ჩვენ ყველანი შევიკრიბებით, სავარაულოდ, ჰოლანდიის თასის ფინალის შემდეგ და ედვინის სატრანსფერო საკითხებსაც მაშინ გადავწყვეტთ — ამბობს „აიაქსის" პერსმდივნი.

ედვინ ვან დერ სარს ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტი 2002 წლის ივლისამდე აკავშირებს.

ედვინ ვან დერ სარს ბევრი საფიქრალი აქვს

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

ცუნამი

იაპონელთა თავდასხმის ლიდერი მასაში მოტოიამა

ვერავინ წარმოიდგენდა, თუ იაპონია ამდენს მიაღწევდა. ეს ნაკრები მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ნამდვილი ცუნამი გამოდგა — ტურნირის დაწყებამდე აუტსაიდერთა შორის გამხესებულმა გუნდმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა მეტოქენი და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლს შესწვდა.

საერთოდ, აზიურ ქვეყნებს ფეხბურთში წამყვანი ადგილი არ უჭირავთ და ამიტომაცაა, რომ მათ დიდ ყურადღებას არავინ აქცევს. მათზე ხელაღებით საუბარიც რომ არ შეიძლება, აგერ, ნათელი მაგალითი.

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შეხვედრა იაპონიამ კამერუნთან დათმო და თითქოს მართლდებოდა კიდეც იმ სპეციალისტების სიტყვები, იაპონიის ჯგუფში დარჩენას რომ წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა მომდევნო ორი შეხვედრა მოიგეს და ყველას გასაოცრად, ჯგუფიდანაც გავიდნენ. იაპონელთა წარმატება უკლებლივ ყველამ მოულოდნელად მიიჩნია. მერვედფინალში მათ პორტუგალია დაამარცხეს პენალტების სერიაში. კვლავ ილაპარაკეს პორტუგალიელთა წაგებაზე და არა იაპონიის სიძლიერეზე. მეოთხედფინალში აზიელებს უდავოდ ძლიერი ნაკრები — მექსიკა ელოდათ და კვლავ მოგება. აქ კი მიხვდნენ, რომ იაპონია სულაც არ იყო ხელწამოსაკრავი გუნდი და რომ ფილიპ ტრუსიეს მართლაც კარგი ნაკრები შეექმნა. იაპონელებმა ნახევარფინალის ბარიერიც გადალახეს და ფინალში გავიდნენ.

— გადამწყვეტი მატჩი რომც წავაგოთ, ფინალში გასვლას უკვე დიდ მიღწევად ვთვლი. ახალგაზრდული ნაკრების შედეგი იაპონიის ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოა და მე ვამაყობ, რომ სწორედ ჩემმა გუნდმა მიაღწია აქამდე არნახულ სიმაღლეებს — ფილიპ ტრუსიე, არც მალავდა, რომ ფინალში წაგება მისთვის ტრაგედია არ იქნებოდა.

იაპონიამ წააგო ფინალი, თუმცა ამისთვის ბიჭები არავის გაუკიცხავს. რაც მათ მოიმოქმედეს, მართლაც შესანიშნავი იყო.

იაპონიის გუნდის გამარჯვების უპირველესი მიზეზი ნიჭიერ ფეხბურთელთა თაობა გახლდათ. ქვეყნის ფეხბურთის არსებობის მანძილზე ახალგაზრდული ნაკრების შედეგი მართლაც საუკეთესო მიღწევაა და ყველამ კარგად იცის, რომ ეს უდავოდ ბიჭების დამსახურებაა — მოტოიამა, ოგასავარა, ცუჯიმოტო და სხვები, ალბათ, კიდევ ასახელებენ მშობლიურ ფეხბურთს.

„იაპონია ამაყობს თქვენით. ბიჭებო, თქვენ გმირები ხართ" — სწორედ ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა ფინალისშემდგომ პრესკონფერენციაზე იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ოტაკი მოტოგასამ.

მართლაც ასეა.

ლაშა გოდუაძე

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3 - 24 April 1999

II ადგილი
იაპონია

1.	ენომოტო	ტაცუა ენომოტო	მ	იოკოჰამა მარინოსი	16.03.79
2.	ტეშიმა	კაზუკი ტეშიმა	მც	კიოტო პარპლი	07.06.79
3.	ცუჯიმოტო	შიგეკი ცუჯიმოტო	მც	კიოტო პარპლი	23.06.79
4.	იშიკავა	ტაცუა იშიკავა	მც	ცკუბა უნივერსიტი	25.12.79
5.	კაჯი	აკირა კაჯი	მც	სერეზო ოსაკა	13.01.80
6.	ინამოტო	იუნიჩი ინამოტო	ნ	გამბა ოსაკა	18.09.79
7.	საკაი	ტომოუოკი საკაი	ნ	იშიჰარა იუნაიტედი	29.06.79
8.	ოგასავარა	მიცუო ოგასავარა	ნ	კაშიმა ანტლერსი	05.04.79
9.	ტაკაჰარა	ნაოჰირო ტაკაჰარა	თ	ჯუბილო ივატა	04.06.79
10.	მოტოიამა	მასაში მოტოიამა	თ	კაშიმა ანტლერსი	20.06.79
11.	ენდო	იასუჰიტო ენდო	ნ	კიოტო პარპლი	28.01.80
12.	ნაკატა	კოჯი ნაკატა	ნ	კაშიმა ანტლერსი	09.07.79
13.	ონო	შინჯი ონო	ნ	ურავა რედსი	27.09.79
14.	ნაგაი	იუშირო ნაგაი	თ	კარლსრუე	14.02.79
15.	ტაკადა	იასუნორი ტაკადა	თ	ბელმარ ჰირაცუკა	22.02.79
16.	ბანდო	რუიჯი ბანდო	თ	გამბა ოსაკა	02.08.79
17.	უიჯი	ჰიდეოკი უიჯი	მც	ომია არდიჯა	23.02.79
18.	მინამი	ულა მინამი	მ	კაშივა რეისოლი	30.09.79

მწვრთნელი: *ფილიპ ტრუსიე*

Australia'93
VII World Youth Championship for the FIFA/Coca Cola Cup

ფიფა — კოკა-კოლას მსოფლიოს VII ახალგაზრდული ჩემპიონატი

A ჯგუფი

05.03.93	სიდნეი	ავსტრალია	კოლუმბია	2:1
06.03.93	კანბერა	რუსეთი	კამერუნი	2:0
08.03.93	კანბერა	კოლუმბია	კამერუნი	3:2
08.03.93	სიდნეი	ავსტრალია	რუსეთი	3:1
11.03.93	სიდნეი	კოლუმბია	რუსეთი	1:3
11.03.93	სიდნეი	ავსტრალია	კამერუნი	0:2

რუსეთი	3	2	0	1	6:4	4
ავსტრალია	3	2	0	1	5:4	4
კამერუნი	3	1	0	2	4:5	2
კოლუმბია	3	1	0	2	5:7	2

B ჯგუფი

06.03.93	ბრისბენი	პორტუგალია	გერმანია	0:1
06.03.93	ბრისბენი	ურუგვაი	განა	1:1
09.03.93	ბრისბენი	გერმანია	განა	2:2
09.03.93	ბრისბენი	პორტუგალია	ურუგვაი	1:2
11.03.93	ბრისბენი	გერმანია	ურუგვაი	1:2
11.03.93	ბრისბენი	პორტუგალია	განა	0:2

ურუგვაი	3	2	1	0	5:3	5
განა	3	1	2	0	5:3	4
გერმანია	3	1	1	1	4:4	3
პორტუგალია	3	0	0	3	1:5	0

C ჯგუფი

07.03.93	მელბურნი	კორეა	ინგლისი	1:1
07.03.93	მელბურნი	თურქეთი	აშშ	0:6
09.03.93	მელბურნი	ინგლისი	აშშ	1:0
09.03.93	მელბურნი	კორეა	თურქეთი	1:1
11.03.93	მელბურნი	ინგლისი	თურქეთი	1:0
11.03.93	მელბურნი	კორეა	აშშ	2:2

ინგლისი	3	2	1	0	3:1	5
აშშ	3	1	1	1	8:3	3
კორეა	3	0	3	0	4:4	3
თურქეთი	3	0	1	2	1:8	1

D ჯგუფი

07.03.93	ადელაიდა	მექსიკა	ნორვეგია	3:0
07.03.93	ადელაიდა	ბრაზილია	საუდეთი	0:0
09.03.93	ადელაიდა	ნორვეგია	საუდეთი	0:0
09.03.93	ადელაიდა	მექსიკა	ბრაზილია	1:2
11.03.93	ადელაიდა	ნორვეგია	ბრაზილია	0:2
11.03.93	ადელაიდა	მექსიკა	საუდეთი	2:1

ბრაზილია	3	2	1	0	4:1	5
მექსიკა	3	2	0	1	6:3	4
საუდეთი	3	0	2	1	1:2	2
ნორვეგია	3	0	1	2	0:5	1

მეოთხედფინალი

13.03.93	ბრისბენი	ურუგვაი	ავსტრალია	1:2
13.03.03	სიდნეი	რუსეთი	განა	0:3
14.03.93	მელბურნი	ინგლისი	მექსიკა	0:0 (პენ. 4:3)
14.03.03	ადელაიდა	ბრაზილია	აშშ	3:0

ნახევარფინალი

17.03.93	მელბურნი	ავსტრალია	ბრაზილია	0:2
17.03.93	სიდნეი	განა	ინგლისი	2:1

მატჩი მესამე ადგილისთვის

20.03.93	სიდნეი	ინგლისი	ავსტრალია	2:1

ფინალი. 20. 03. 93. სიდნეი. 40. 000 მაყურებელი

ბრაზილია 2:1 განა

0:1 დუა (15), 1:1 იანი (50), 2:1 გიანი (88)

ბრაზილია: დიდა, ფუარესი, ბრუნო, ფელსონი, ერმესი, ჰერეირა (ჩაიკო 61), მარსელინიო, ადრიანო (ანხელი 89), იანი, კატე, გიანი

განა: ივუ, კუფური, ნიმო, ბანინი, ასარე, ადო, გარგო, ლამპტი, აკონორი (ბოატენგი 85), ანინფული, დუა

მსაჯი: ჩაქარი (თურქეთი)

საუკეთესო მოთამაშე: ადრიანო (ბრაზილია); *ბომბარდირი:* ჰენრი სამბრანო (კოლუმბია) — 3 გოლი

განამ უკან დაიხია

განის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაზე ხელს იღებს.

სააგენტო „როიტერს" ეს ინფორმაცია საკუთრივ ფედერაციის პრეზიდენტმა ალჰაჯი ჯავულამ მიაწოდა. მან თქვა, რომ ვინაიდან ფიფას პოზიცია თანამასპინძლობასთან დაკავშირებით ცალსახაა და კატეგორიულად უარყოფითი, განას კი დამოუკიდებლად მასპინძლობა არ შეუძლია, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა თითაში შეტანილი განცხადება გამოიტანოს.

„თანამასპინძლობაზე ჯერ არავინ დაგვყაბულდება, რადგან ფიფას კვლავაც სურს დააკვირდეს და შეისწავლოს შეჯიბრების ბევრ ქვეყანაში ერთად ჩატარების პლუსები და მინუსები" — განმარტა ალჰაჯი ჯავულამ.

მოგეხსენებათ განელებს სურდათ ყოფილიყვნენ ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელთა სტადიონებზეც მრავალმასპინძლიანი ჩემპიონატი გადაიშლებოდა. დარჩენილ კანდიდატთა შორის ჯავულა და მისი ორგანიზაცია მხარს სამხრეთ აფრიკას დაუჭერენ.

ჩვენ თუ გავმდიდრდით, ფეხბურთი განვითარდება

სამხრეთ აფრიკის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მებრძოლმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ფეხბურთისა და საფეხბურთო ბიზნესის მომავლისთვის აუცილებელია შვიდი წლის შემდეგ გასამართი პირველობა აფრიკის კონტინენტზე გაიმართოს. მოგეხსენებათ, ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა მასპინძლის ვინაობა გაისად, მარტში უნდა დაასახელოს.

კანონი ასეთია: ქვეყნებმა, რომლებმაც 2006 წლის პირველობის ჩატარების სურვილი ოფიციალურად განაცხადეს, აპრილის ბოლომდე (ანუ შაბათამდე) უნდა დაადასტურონ განზრახვის ურყევობა. მაგრამ, მოგეხსენებათ განცხადების დაწერა საკმარისი არაა. არც სურვილის კიდევ ერთხელ დადასტურებაა რაიმეს გარანტია. ამიტომაც, შემდგომი ეტაპი საკუთარი პირობების დეტალური წარდგენა უნდა იყოს. კონკურენტ ქვეყნებს იმის დასაბუთება მოუწევთ, რატომ სჯობს მათი კანდიდატურა სხვისას.

კონკურენტებს ბრაზილია, ინგლისი და გერმანია რომ არ გამოაკლდებათ, ბუნებრივია, აი, აფრიკელთა მხრივ კი უკანდახევა მოსალოდნელი იყო და ასეც მოხდა — განამ განზრახვაზე ხელი აიღო.

„მსოფლიოს-ჩემპიონატი მაქსიმალურ კომერციულ მოგებას რომ ემსახუროს, აუცილებელია მასპინძელმა ქვეყანამ ოცდათორმეტივე მონაწილეს თანაბარი პირობები შეუქმნას" — განაცხადა დენი ჯორდაანმა, სამხრეთაფრიკელთა მებრძოლი კომიტეტის აღმასრულებელმა შეფმა.

მან აღიარა, რომ დიდი საფეხბურთო ნიჭის მიუხედავად ბევრი აფრიკული გუნდი ჩამორჩება ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებს, მაგრამ ამის მიზეზად სწორედ უფულობა დასახელა და აქედან მოხერხებულად გადავიდა იმ აზრზე, რომ 2006 წლის მსოფლიოს პირველობის „შავ კონტინენტზე" ჩატარება დიდძალ შემოსავალს მოიტანს და შედეგად აფრიკა დაწინაურებულთ წამოეწევა, რაც მსოფლიო ფეხბურთის საკეთილდღეოდ იმოქმედებს.

ჯორდაანმა კონკურენციაში გამარჯვების აუცილებელ პირობად აფრიკის წარმომადგენელთა ერთსულოვნება დასახელა და ერთხელაც გაუსვა ხაზი, რომ ფიფას პრეზიდენტი, ზეპ ბლატერი, შვიდი წლის შემდგომი ჩემპიონატის სწორედ ამ კონტინენტზე გამართვისთვის იღვწის.

ლოგიკა კიდევ ერთ რამეს კარნახობს: 1994 წელს პირველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა, 1998 წელს საფრანგეთში, 2002 წელი იაპონია — კორეისაა, მაშ გამოდის, რომ 2006 წლის ჩემპიონატი აფრიკის რომელიმე ქვეყანას უნდა ერგოს.

„2006-ში აფრიკის ჯერია" — ამბობს ჯორდაანი.

როდესაც ჰკითხეს აფრიკიდან რამდენიმე კანდიდატის არსებობა კონტინენტის ბრძოლისუნარიანობას ხომ არ ასუსტებსო მან უპასუხა:

„როდესაც მასპინძლობას ევროპის ორი ან მეტი ქვეყანა ლამობს, ამას კონკურენციას უწოდებენ. მაშ, იგივე, აფრიკისთვის რატომ უნდა ნიშნავდეს ქაოსსა და ქაშს?"

მოდი და გაიგე, როდის იყო ჯორდაანი გულწრფელი, ახლა თუ სულ ერთი კვირის წინ, როდესაც ამბობდა აფრიკამ ერთი კანდიდატურა რომ დატოვოს საუკეთესო ვარიანტი იქნებაო.

„ჩვენ ქველმოქმედთა დახმარება არ გვჭირდება. მზად ვართ ფიფას ნებისმიერ მოთხოვნას საკუთარი ძალით გავუმკლავდეთ" — დაიტრაბახა აღმასრულებელმა შეფმა, რადგან იცის, რომ მის ქვეყანაში 40 ათასიანი და მეტი ტევადობის 12 სტადიონია, საჰაერო სახმელეთო ტრანსპორტის თანამედროვე სისტემაა და არც სასტუმროებისა და საბანკო თუ კავშირგაბმულობის მხრივ არის საქმე სავალალოდ.

მას მერე, რაც 1990-იანი წლების დასაწყისში აპარტეიდის რეჟიმი დაირღვა, სამხრეთაფრიკამ რამდენიმე მსხვილი სპორტული შეჯიბრება მოაწყო: 1995 წელს რაგბის მსოფლიო თასი, 1996 წლის აფრიკის თასი ფეხბურთში და 1998 წლის მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი.

2006 წლის ჩემპიონატისთვის მებრძოლი კომიტეტის გამოთვლით თუ შეჯიბრება მათ ქვეყანაში გაიმართება, მარტო სატელევიზიო მონაგები 1,32 მილიარდ დოლარს მიაღწევს, ხოლო სპონსორთა ჯიბეებიდან მათ ზარდახშაში 494 მილიონი გადაჩხრიალდება. გარდა ამისა მნიშვნელოვანწილად მოგვარდება სოციალური პრობლემაც: მასპინძლობა ავტომატურად გამოაჩენს 150 ათას სამუშაო ადგილს, ხოლო ერთ-ვნულ პროდუქციას ორი პროცენტით აწევს.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკა წლეულს აფრიკის თამაშებს, 2003-ში კი კრიკეტის მსოფლიო პირველობასაც უმასპინძლებს.

პიტერ სტარკი, როიტერი

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20



ვან ჰოიდონკი ნოტინგემურმა გაუგებრობამ დაღალა

თავისუფლება პიერ ვან ჰოიდონკს!

პიერ ვან ჰოიდონკის მომავალი კვლავ ბურუსით არის მოცული. ჭირვეული ჰოლანდიელი რა ხანია თავის ამჟამინდელი კლუბიდან — „ნოტინგემ ფორესტიდან“ წასვლისთვის იღწვის. რა არ მოიგონა — ფეხი მტკივაო, ოჯახური პრობლემები მაქვსო, დეპრესიაში ვარო, ერთი პერიოდი გაფიცულიც იყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — უსუსური „ფორესტი“ თავის ერთადერთ, ასე თუ ისე მაღალი დონის მოთამაშეს ხავსივით ეჭიდებოდა.

ნოტინგემურ კლუბში 1997 წელს გადასული ვან ჰოიდონკი მიმდინარე სეზონის წინ გუნდის თავკაცმა დეივ ბაზეტმა სატრანსფერო სიაში შეიყვანა. ფასს არ იკითხავთ? ჰოლანდიელის მსურველ კლუბს მის სანაცვლოდ მთელი ქონება, 8 მილიონი გირვანქა (13 მილიონი დოლარი) უნდა გადაეხადა. და რა გასაკვირია, რომ მსურველი არ გამოჩენილა.

— მისდამი ინტერესი არავის გამოუთქვამს, არც ბაზეტის, არც რონ ატკინსონის მუშაობის დროს — თქვა ცოტა ხნის წინ ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელთა პრესატაშემ.

მას შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. „ნოტინგემს“ ვერც ატკინსონის გამოცდილებამ უშველა, ვერც ვერაფერმა და კლუბი პრემიერლიგიდან გავარდა. ამას „დიდი რონის“ განცხადება მოჰყვა, ფეხბურთმა ძალიან დამღალა, ჩემი წასვლის დრო მოვიდაო. ჰოდა, წყალწაღებულ „ფორესტში“ ვან ჰოიდონკი ახლა ნამდვილად რომ აღარ დარჩება, ამ ამბავსაც ნათელი მოეფინა.

და აი, რაღაც წინსვლა არის. ინგლისელებს გერმანიიდან დაუკავშირდნენ 29 წლის ფორვარდის თაობაზე. კერძოდ, ვან ჰოიდონკით თავის შეტევის გაძლიერება ოტო რეჰაგელის გუნდს, გერმანიის ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნს“ მოუსურვებია. საუბარი 2 მილიონ გირვანქაზეა, სწორედ ამდენს იხდის „ლაუტერნი“. რა გამოვა ამ საქმიდან, სულ მალე გავიგებთ. ისე, თუ გავიხსენებთ ზემოხსენებულ 8 მილიონს და იმას, რომ „ნოტინგემის“ უფროსობამ სეზონის შუაგულში „ლიდს იუნაიტედის“ შეთავაზებულ 4 მილიონზე თქვა უარი, მაშინ ვან ჰოიდონკი იმედიანად ნაღდად არ უნდა იყოს.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ „ნოტინგემ ფორესტის“ ხელმძღვანელებმა ფეხბურთთან გამომშვიდობებული რონ ატკინსონის შეცვლა ხუთი თვის წინ „ვულვზიდან“ გაშვებულ მარკ მაკგის შესთავაზეს. ეს უკანასკნელიც, ალბათ, დათანხმდება და იქნებ არც მან ისურვოს ვან ჰოიდონკის გათავისუფლება?

ძნელი ცხოვრება აქვს ჩვენი წერილის გმირს, ძალიან ძნელი. მას ხომ ასე სწყურია თავისუფლება.

ნოდარ ძასრაძე

მსოფლიო ფეხბურთის ვესტ ჰემი

ტონი ბენქსი

ბრიტანეთის სორტის მინისტრმა, ტონი ბენქსმა შოტლანდიელები გაანაწყენა. ასე უთხრა, ეგ თქვენი ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის „ვესტ ჰემიაო“.

თურმე რაშია საქმე: ბენქსმა, რომელიც (თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს) „ჩელსის“ გელშემატკივარია, სქოთებს შეუთვალა ცალკე ბურთაობას თავი დაანებეთ და შემოგვიერთდით, ბრიტანეთის ერთიანი ნაკრებიშევქმნათო.

ბეექსის ენამწარობა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც შოტლანდიის ეროვნული გუნდი გერმანიასთან ამხანაგური თამაშისთვის, ხოლო შოტლანდიის პარლამენტი არჩევნებისთვის ემზადებოდა და გაწამაწია იყო.

„სქოთიშ სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მისტერ ბენქსს ასეთი რამ უთქვამს:

„შოტლანდია უდიდესი საფეხბურთო ქვეყანაა და რამდენიმე საუცხოო მიღწევაც ჰქონია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ეტაპს არასდროს გაცილება. ინგლისური კატეგორიებით რომ ვიმსჯელოთ, მსოფლიო ფეხბურთისთვის შოტლანდია „ვესტ ჰემი“ გამოდის, რომელსაც მეტი არასდროს შეეძლება. ვიმეორებ, ეჭვი არაა, სქოთები ჩინებულ ფეხბურთს თამაშობთ, მაგრამ დიდ შედეგს ვერასდროს მიაღწევთ, ინგლისი კი აგრე, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე მერვედფინალში გავარდა. ამიტომაც ვამბობ, რომ ძალების გაერთიანებით შეიძლება მართლაც სერიოზულ წარმატებას მივაღწიაო.

ბენქსის მოსაზრების პასუხად შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ჯეკ მაკგინმა ბრძანა, რომ მინისტრის იდეა ძალიან საინტერესოა, მაგრამ ბრიტანეთში შემავალ ქვეყნებში მას მხარს არავინ უჭერს.

შოტლანდიელებს გული რომ არ გახეთქოდათ, ბენქსმა ამ ეტაპზე ნაკრებთა გაერთიანება მხოლდ ოლიმპიურ დონეზე მოიწადინა და თავისი სიტყვებისთვის წონის შესამატებლად ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც ახსენა, ამ საკითხზე ფიქრობსო.

„მაგრამ, თუ ოლიმპიადაზე ერთიანი გუნდით გავალთ, ოთხ ქვეყნად ცხოვრებასაც უნდა გადავხედოთ. იქნებ ეროვნულ ჩემპიონატადაც გაერთიანებული შეჯიბრება ჩაგვეთვალა?“ — იკითხა ცენტრისკენულმა მინისტრმა.

პაპუნა კედია

ვოიო, ლუბოსლავ!

ლუბოსლავ პენევი, ვიგოს „სელტას“ თავდამსხმელი, კლუბს ყველაზე ცოტა სამი კვირით დააკლდება. „სელტასთვის“ ეს ცნობა მეხის გავარდნას ჰგავდა.

...ესპანეთის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს „ბარსელონა“ და როგორც ჩანს, ქვეყნის ჩემპიონის ტიტულსაც მოიპოვებს. თუ გამარჯვებული ასე თუ ისე გამოვლენილია, იქ, პრიზიორობისთვის მებრძოლთა შორის, უდიდესი გაურკვევლობაა — მეორე და მეექვსე ადგილზე მყოფ გუნდებს მხოლოდ ქულა აშორებთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ესპანეთიდან ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში გაისად ერთბაშად ოთხი გუნდი გადის, ადვილი წარმოსადგენია ის დაძაბულობა, ჩემპიონატის დასასრულს რომ ახლავს თან.

„სელტას“ ერთ-ერთი ლიდერი ლუბოსლავ პენევი სულ ცოტა სამი კვირა ვეღარ ითამაშებს

ვიგოს „სელტა“, პატარა ესპანური კლუბი, სწორედ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლთა შორისაა, ხოლო ლუბოსლავ პენევი კლუბის ერთ-ერთი ლიდერია. ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, მიხვდებით, თუ რატომ დაამწუხრა კლუბი ცნობამ პენევის ტრავმის შესახებ.

— ასეთ დროს წამყვანი ფეხბურთელის გამოკლება, ცხადია, არაა კარგი, მაგრამ რა გაეწყობა. დარჩენილ თამაშებში უპენევოდ მოგვიწევს მეტოქის კარზე იერიშების განხორციელება — კლუბის საუკეთესო თავდამსხმელის არყოფნას „სელტას“ მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი ერთობ დაუფიქრებია.

პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში „სელტა“ ვალენსიას სტუმრობდა. ვიგოელებმა შეძლეს და მასპინძლებს ქულა წაართვეს, თუმცაღა პენევი სწორედ იმ შეხვედრას შეეწირა. ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ბულგარელმა თავდამსხმელმა მყესები დაიზიანა, კლუბის ექიმებმა კი შემოწმების შემდეგ დაადგინეს, რომ ტრავმა სერიოზულია და მას მოშუშება სჭირდება.

— ძალიან მწყინს, რომ გუნდს ვერაფრით ვუშველი. ჩვენთვის გადამწყვეტი თამაშები დგება და ეშმაკმა დალახვროს, რაღა ახლა მივიღე ტრავმა. გუნდის იმედი მაინც მაქვს, მწამს, ჩემპიონთა ლიგაში გავალთ — თავად დაშავებული პენევი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

ისე, სამ კვირაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, თუმცა წინასწარ რაიმეს თქმისგან, მოდით, თავი შევიკავოთ.

ბოლოსთვის გეტყვით, რომ ესპანეთის პირველობაზე მოთამაშე ფეხბურთელთაგან ლუბოსლავ პენევი ყველაზე შედეგიანია — დღესდღეობით მას ესპანეთის ჩემპიონატებში 127 გოლი აქვს გატანილი.

ირაკლი ილაშვილი

საფრანგეთი

თასის ნახევარფინალი

სედანი (II) 4:3 ლე მანი (II)

0:1 ბაკარი (40პ), 1:1 დი როკო (75), 2:1 კუინი (96), 3:1 ნდიეფი (110), 3:2 დრუინი (114), 4:2 ნდიეფი (117), 4:3 რევილე (120)

საოცარია! საფრანგეთის თასის გათამაშებას შემორჩენილი ოთხი კლუბიდან სამი ქვეყნის მეორე დივიზიონში ითამაშებს.

თვალსაჩინო გამოდგა მეორედივიზიონური ნახევარფინალი — შეხვედრა ჩვეულებრივი საათნახევრის ნაცვლად ოლრ საათს გაგრძელდა და მატჩში გასული შვიდი გოლიდან ხუთი სწორედ დამატებით დროში გავიდა. დაგვეთანხმებით, ეს არც ისე ხშირია.

გამარჯვებული „სედანი“ საფრანგეთის თასის ფინალში მეოთხედ გავიდა — კლუბმა 1956 და 1961 წლებში თასი მოიპოვა, 1965-ში კი „რენთან“ დამარცხდა.

ლარსონს ცელქობა აპატიეს

ჰენრიკ ლარსონი დაინდეს. შვედეთის ნაკრების წამყვან ფეხბურთელს შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის (SFA) ხელმძღვანელობამ უსაქციელობა აპატია.

შოტლანდიის ჩემპიონი „სელტიკი“, სადაც დღესდღეობით ლარსონი გამოდის, გასულ უქმეებზე „სენტ ჯონსტონს“ ხვდებოდა და მოულოდნელად დამარცხდა 0:1. არადა, მოგების შემთხვევაში გლაზგოელები კვლავ ინარჩუნებდნენ შარშანდელი წარმატების გამეორების შანსს, ვინაიდან წინა ტურებში „სელტიკის“ მთავარმა კონკურენტმა, თანაქალაქურმა „რეინჯერსმა“ ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და ათქულიანი უპირატესობა ქარს გაატანა. ახლა კი, როგორც უკვე ვთქვით, სლოვაკი სპეციალისტის, იოჟეფ ვენგლოშის გუნდი „სენტ ჯონსტონთან“ დამარცხდა, ხოლო „რეინჯერსმა“ „აბერდინს“ სძლია 3:1 და ფაქტობრივად, მდევრისთვის მიუწვდომელი შეიქმნა.

ყველაფერი ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ნაწილობრივ გაგვემართლებინა ლარსონის საქციელი. ეტყობა, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ბრალი იყო, რომ „წმინდანებთან“ დამარცხების შემდეგ შვედს ნერვებმა უმტყუნა, ეთიკური ნორმები დაივიწყა და მასპინძელთა ქომაგებს მეტად უხამსი ჟესტი აჩვენა.

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციაში სადისციპლინო კომისიის სხდომა გუშინ გაიმართა. სწორედ იქ უნდა გადაეწყვიტათ ლარსონის დასჯა-არდასჯის ამბავი. როგორც გაირკვა, „სელტიკის“ მრისხანე თავდამსხმელს მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი ჰქონია მიღებული და საერთოდ, თურმე ძალიან მორჩილ, სამართლიან ფეხბურთელად ითვლება. ამიტომაც SFA-ს სხდომაზე გადაწყდა — ჰენრიკ ლარსონს ჩადენილი ეპატიოს.

ლარსონი ქვეყნის პირველობის საუკეთესო ბომბარდირია 28 გოლით. მთლიანად სეზონში მის ანგარიშზე 38 ბურთი მოდის, თუმცა ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რათა ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე „სელტიკი“ 7 ქულით წინ გასულ „რეინჯერსს“ წამოეწიოს. დიკ ადვოკაატის კლუბი ამ ბრწყინვალე შანსს ხელიდან ნაღდად აღარ გაუშვებს.

კოტე ფაიტაძე

ჰენრიკ ლარსონი

ვალერი ლობანოვსკიმ 11 წლის შემდეგ ისევ მოახერხა უსწრაფესი გუნდის შექმნა და მეორედ გააკვირვა ევროპა. კიევის „დინამო“ ისე მივიდა ტრიუმფამდე, თამაში არ წაუგია, შინ სამ ბურთზე ნაკლები არ გაუტანია და საერთო ჯამში 26 გოლი დაუგროვდა, რაც ტურნირის საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

გაზაფხულის მეორე გაელვება კიევში

თასების მფლობელთა თასი

XXVI გათამაშება 1985-86 წლები

დინამო

კიევი, სსრკ

ლიოძინ ეფლიხაძვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

ФУТБОЛ-ХОККЕЙ

ფინალი. შეტევაზე ალექსანდრ ზავაროვი

ФУТБОЛ-ХОККЕЙ

თასების თასი ვადიმ ევტუშენკოსა (მარცხნივ) და ოლეგ ბლოხინის ხელშია

1975 წლის შემდეგ, როცა „დინამომ“ პირველად მოიგო თასების თასი, ბევრი რამ შეიცვალა. კიევი საბჭოთა ფეხბურთის უპირობო ლიდერი გახდა. 1986 წლის ჩათვლით, 11 წლის განმავლობაში, უკრაინელებმა ხუთჯერ მოიპოვეს (1977,80,81,85,86) საკავშირო ჩემპიონობა და სამჯერ (1977,82,85) — თასი. ლობანოვსკის ბაზილევიჩის ნაცვლად ანატოლი პუზაჩი და ყოფილი კაპიტანი ვიკტორ კოლოტოვი ეხმარებოდნენ, მაშინდელი გუნდიდან კი ერთადერთი ფეხბურთელი, უბერებელი ოლეგ ბლოხინი შემორჩენილიყო. დანარჩენების უმრავლესობამ კი სწორედ 1986 წლისათვის მიაღწია კარიერის პიკს. როგორც ყოველთვის, კიეველთა მთავარ დასაყრდენს კვლავ ნახევარდაცვა წარმოადგენდა: ნიჭიერი ვლადიმერ ბესონოვი, ტექნიკური ალექსანდრ ზავაროვი, პაველ იაკოვენკო, კარპატელები ვასილი რაცი და ივან იარემჩუკი. ამათ დამატებული ორი სწრაფი შემტევი, ოდესის „ჩერნომორეციდან“ გადაყვანილი იგორ ბელანოვი და საკავშირო ჩემპიონატებში 200 ბურთის გამტანი ოლეგ ბლოხინი. კიდევ, ცხენივით დაუღალავი კაპიტანი ანატოლი დემიანენკო. აი, ლობანოვსიკის „მანქანის დაზეთილი და დარეგულირებული ძირითადი ნაწილები“.

მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ლიონური ფინალიდან ერთი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 12 კიევის დინამოელი გაემგზავრა მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე და იქაც დიდი ამბები დაატრიალეს, მაგრამ ბოლომდე ძალა აღარ მიჰყვათ და მერვედფინალში ბელგიასთან დამარცხდნენ. იგორ ბელანოვი კი 1986-ში ევროპის საუკეთესო ფეხბურთლად დაასახელეს.

მეოთხედფინალის ვენურ რაუნდში, „ჰანპი-შტადიონზე“, 74-ე წუთისთვის დინამოელები 4:0-ს უგებდნენ წინა გათამაშების ფინალისტს „რაპიდს“. ავსტრიელმა ვილფურტმა მხოლოდ დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე გაიტანა პრესტიჟის ბურთი. კიევში ანგარიში კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდა — 5:1

ავსტრიელი ჟურნალისტების თქმით, „რაპიდის“ მწვრთნელი მარკოვიჩი ნირწამხდარი სულაც არ ჩანდა, ის ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ორი ამდენით არ წააგო: „ვენაშივე ვიცოდით, რომ თასის მომავალ მფლობელს ვეთამაშებოდით. „დინამოს“ საუკეთესო მოთამაშე — გუნდია. ჩვენ მათ ვერაფერი დავუპირისპირეთ“ — თქვა ნამატჩევს მარკოვიჩმა.

მეოთხედფინალშივე მოხდა ტურნირის მთავარი სენსაცია და მისი ავტორები გერმანელები იყვნენ. იურდინგენის „ბაიერისა“ და დრეზდენის „დინამოს“ საპასუხო მატჩში 10 გოლი გავიდა. პირველი შეხვედრა აღმოსავლეთგერმანელებმა 2:0 მოიგეს. იურდინგენელთა მწვრთნელი ფელდკამპი იმედს არ კარგავდა — ახლა სამი უნდა შევაგდოთ და არ გავუშვათო — ამბობდა იგი. კრეფელდში პირველი ნახევრის შემდეგ ისევ დრეზდენელები იგებდნენ 3:1-ს, საერთო ანგარიში კი 5:1 იყო მათ სასარგებლოდ, მაგრამ მეორე ტაიმში „ბაიერმა“ ნამდვილი სასწაული მოახდინა, ექვსჯერ დააწყებინა სტუმრებს ცენტრიდან და 7:3 მოიგო. ნამატჩევს ვერავინ მიმხვდარიყო, რა მოხდა, ფელდკამპი გაურკვევლად ლაპარაკობდა — წარმოუდგენელია, მოვიგეთ თამაში, რომელიც პირწმინდად წაგებული გვქონდაო — ესღა თქვა.

ნახევარფინალის პირველ მატჩში „იურდინგენი“ მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა მადრიდში „ატლეტიკოსთან“. ფრედ რომ გვეთამაშა, ფინალში გასვლის ასპროცენტიან გარანტიას მოგცემდით, ახლა კი დიდი ბრძოლა მოგვიწევს — აღნიშნა ფელდკამპმა. ესპანელების მწვრთნელი ლუის არაგონესი იმედს არ იწურავდა: „ჩვენთვის მთავარია თასების თასის მოგება, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ საერთო გამარჯვებისათვის. თანაც სტუმრადაც იმდენივეს გატანა შეგვიძლია, რამდენიც შინ“ — არაგონესის ეს სიტყვები ნაწილობრივ გამართლდა. „ატლეტიკომ“ სტუმრად მეტი გაიტანა, 3:2 მოიგო და ფინალში გავიდა.

საინტერესოა, რომ ამ წელს ესპანური გუნდები სამივე ევროთასის ფინალში მოხვდნენ. „ატლეტიკოს“ გარდა, „ბარსელონა“ ჩემპიონთა თასის გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა, მადრიდის „რეალი“ კი — უეფას თასისა. აქედან პრიზის მოპოვება მხოლოდ „რეალმა“ შეძლო. სამეფო კლუბმა ორი თამაში ჯამში დასავლეთგერმანული „კიოლნი“ დაამარცხა (5:1,0:2).

„ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ვისენტე კალდერონი უკმაყოფილო იყო შინაურ ჩემპიონატში დაკავებული მეხუთე ადგილით და მთელ იმედებს თასების თასზე ამყარებდა. ლუის არაგონესს კი მიაჩნდა, რომ მეტოქესთან შედარებით მის გუნდს იმპროვიზაციაში და კონტრშეტევებში ეჭნებოდა უპირატესობა, კიეველებს კი — ფიზიკურ მომზადებასა და სათამაშო ორგანიზაციაში.

არაგონესი „ატლეტიკოს“ 4-4-2 ტაქტიკური სქემით ათამაშებდა. მთავარ ძალას თავისუფალი მცველი არტეკე მარკვენა დამცველი ტომასი („ატლეტიკოს“ ერთადერთი ფეხბურთელი ესპანეთის ნაკრებში), ნახევარმცველი კიკე რამოსი და გუნდის „ტვინი“ კიკე სეტიენი წარმოადგენდნენ. არაგონესს აგრეთვე ურუგვაელი და სილვას, ნატურალიზებული არგენტინელის, კაბრერასა და 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, არგენტინელი მეკარე უბალდო ფილოლის იმედი ჰქონდა.

იმედი იმედად, მაგრამ ფინალში ესპანელებმა ვერაფერი მოუხერხეს ლობანოვსკის „მანქანას“.

დასაწყისშივე რაცის ჩაწოდებას ზავაროვის თავური და გოლი მოჰყვა. თითქოს მადრიდელები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ კიეველებმა იმდენად შეუზღუდეს სივრცე, რომ ჩანოვის კართან ერთი-ორჯერ თუ გამოჩდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბლოხინმა და რაცმა კარგა ხანს სდიეს მინდორზე გაშვებულ მამალს, ესპანელებმა კი შეტევებს უმატეს, მაგრამ ჩანოვი შეუვალი იყო. 84-ზე დინამოელთა მრავალსვლიანი კომბინაცია ბლოხინის მეკარესთან პირისპირ გასვლით და მეორე გოლით დამთავრდა. სხვათა შორის, 33 წლის ბლოხინის მინდორზე გასვლა ბოლო მომენტში გადაწყდა. მას სერიოზული ტრავმა ჰქონდა, მაგრამ ლობანოვსკის ასე გადაუწყვეტია - ბლოხინის თამაში პარტნიორებზეც დადებითად იმოქმედებსო და ექიმებს მეგოლე ფეხზე დაუყენებიათ. ამ გათამაშებაში ბლოხინმა 5 ბურთი გაიტანა და მხოლოდ ერთით ჩამორჩა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირს იურდინგენელ ფუნკელს.

ევტუშენკოს მესამე გოლმა საბოლოო წერტილი დაუსვა მადრიდელების განადგურებას. ყველამ აღიარა, რომ იმ საღამოს ლიონში კიევი ერთი თავით მაღლა იდგა „ატლეტიკოზე“.

САРГЗИЕЛИС АРХИВИДАН

კიევის დინამო 1986 წელს. მარცხნიდან დგანან: ბალტაჩა, ბალი, ჩანოვი, ბლოხინი, დემიანენკო, ბესონოვი. სხედან: კუზნეცოვი, რაცი, ზავაროვი, ბელანოვი, ევტუშენკო

პირველი წრე

ცურიკი (მალტა) — **იურდინგენი** (გფრ) 0:3 (ალტა), 0:9; **ფრამი** (ისლანდია) — **გლენტორანი** (ჩრდ. ირლანდია) 3:1, 0:1; **აელ** (კვიპროსი) — **დუკლა** (ჩეხოსლოვაკია) 2:2, 0:4; **აიკ** (შვედეთი) — **რედ ბოიზი** (ლუქსემბურგი) 8:0, 5:0; **ატლეტიკო** (ესპანეთი) — **სელტიკი** (შოტლანდია) 1:1, 2:1; **სერკლ ბრიუგე** (ბელგია) — **დინამო** (დრეზდენი, გდრ) 3:2, 1:2; **ფრედრიკსტადი** (ნორვეგია) — **ბანგორ სიტი** (უელსი) 1:1, 0:0; **გალათასარაი** (თურქეთი) — **ვიჭეი** (ფოლონეთი) 1:0, 1:2; **ჰიკ** (ფინეთი) — **ფლამურტარი** (ალბანეთი) 3:2, 2:1; **ლარისა** (საბერძნეთი) — **ს

ნუ დავიჩაგრავთ მომავალს



ნუგზარ ჭეიშვილი

იმედიანად იყო კვიპროსში გამგზავრებამდე საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი. ეს ისეთი ნიჭიერი თაობაა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა არ უნდა გაუჭირდესო, ამბობდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი, ნიქოზიაში ხუთიდან სამი თამაშის მომგებმა ჭაბუკებმა სწორედ რომ ფინალური ტურნირისკენ გაიკაფეს გზა.

ევროპის რჩეულ 12 გუნდში მოხვედრა დიახაც რომ საამყოა, მაგრამ მწვრთნელის სიტყვებს თუ ვირწმუნებთ, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რისი მიღწევაც ნაკრების ამ შემადგენლობას ძალუძს. სლოვენიიდან მედლების გარეშე არ ჩამოვალთ, ოღონდ მხოლოდ ნიჭიერების ამარა ნუ დაგვტოვებენ, ცოტა მხარშიც ამოგვიდგენონ, თქვა ნუგზარ ჭეიშვილმა, რომელიც გუშინ „სარბიელში“ გვესტუმრა და კვიპროსული შთაბეჭდილებების გარდა სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა:

— თავდაპირველად ის ვთქვათ, როგორი მომზადებული გაემგზავრა გუნდი ნიქოზიაში.

—წასვლამდე ათდღიანი შეკრება გავიარეთ და ორიოდ ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ ადგილობრივ კლუბებთან. ეგ იყო და ეგ.

— იმედიანად ყოფნის საბაბს რა გაძლევდათ?

— კალათბურთელების ნიჭიერება და წინა შესარჩევ ციკლში, რიგაში, ბიჭების კარგი თამაში. მაშინ ვირწმუნე, რომ ფინალში აუცილებლად მოვხვდებოდით.

— კვიპროსში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითი დელეგაციით წახვედით. აი, სამგზავრო პირობები კი, ვფიქრობ, არცთუ შესაფერისი და ხელსაყრელი იყო.

— სამართლე გითხრათ, ძალიან გაწვალდით. თბილისიდან ერევნამდე ავტობუსით ჩავედით, იქიდან კი ისეთი ტიპის თვითმფრინავით გავემგზავრეთ, აღარც კი მეგონა, თუ დაფრინავდნენ. ნიქოზიაში გამთენიისას ჩავაღწიეთ, საღამოს კი საფრანგეთთან უნდა გვეთამაშა.

— ფრანგებთან მარცხის მიზეზს ნაწილობრივ უკვე მიგიხვდით, დაღლილობის ბრალიც იყო. სხვა?

— მე უფრო ცუდ მსაჯობას ვაბრალებ მათთან წაგებას. შეიძლება ამას რომ ვამბობ, ბევრს ირონიულადაც გაელიმოს, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ძალიან არაობიექტური მსაჯობა იყო და არამარტო ფრანგებთან. იქვე იყვნენ ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე და ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი, ისინიც დაგიდასტურებენ ჩემს ნათქვამს. თავადვე მითხრეს, რომ გეთქვა, ნამდვილად არ დავიჯერებდითო.

— კონკრეტულად რა შესცოდეს მსაჯებმა?

— აი, მაგალითად ფრანგებთან — მთელი შეხვედრის მანძილზე ვიგებდით. რომ შეატყვეს, ვერ გვაჯობებდნენ, მსაჯებმა ენით გამოუთქმელი ჯარიმები მოიგონეს. ძირითადი ხუთეულიდან მატჩის ბოლოს ერთი მოთამაშეღა შემრჩა. ცქიტიშვილი, ფაჩულია, უგრეხელიძე და სულაძე ხუთი პერსონალურით ნაადრევად გაისტუმრეს მოედნიდან. ალბათ, იცით შეხვედრა 55:60 დავთმეთ. მეტოქემ 60 ქულიდან 41 საჯარიმო ხაზიდან მოიპოვა. წარმოგიდგენიათ, რამდენი პერსონალური უნდა ესროლათ?

— რით ახსნით ქართველებისადმი მსაჯების ასეთ „უპასუხისმგებლო“ ქმედებას?

— იმით, რომ ჩვენში ერთი ხეირიანი არბიტრიც არ მოიძებნება, რომელსაც ფიბა მსგავსი სახის შეჯიბრზე მიავლენს. ასე რომ იყოს, ჩვენც სხვანაირი რიდით მოგვიდგებოდნენ, ადვილად ვეღარ გაგვწირავდნენ, რადგან თავისი საქციელი მერე წინ დახვდებოდათ.

ჩასვლისთანავე ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ფინალურ ეტაპზე გამსვლელთა ვინაობა წინდაწინვე იყო გარკვეული. ფრანგებს, ესპანელებს და გერმანელებს თავი უკვე სლოვენიაში ეგონათ. ამან შესაძლოა ჩვენს წისქვილზე დასახა წყალი. მერე კი შეფუცხუნდნენ, ყელზე რომ დავადექით, მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული გვქონდა.

— თუ ასე იყო, ესპანელებს როგორღა მოუგეთ? მახსოვს, ყველაზე მეტად მათ უფრთხოდით.

— შინშით არა და კარგი გუნდი რომ იყო, ვიცოდით. ფრანგებთან და გერმანელებთან მარცხის მიუხედავად, ვფიქრობ, ეს საუკეთესო ნაკრები იყო ჩვენს შემდეგ. ბიჭებსაც გათვითცნობიერებული ჰქონდათ როგორც მეტოქის სიძლიერე, ასევე მატჩის პრინციპულობა. თავი გადადეს და შედეგსაც მივაღწიეთ. 71:62 მოვიგეთ, რითაც სერიოზული განაცხადი გავაკეთეთ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად.

— ბელგიასთან შეხვედრის საბოლოო ანგარიშით (ქართველებმა 83:64 მოიგეს), თუ ვიმსჯელებთ, დიდი ჯაფა არ უნდა დაგდგომოდათ...

— ასე სულაც არ ყოფილა. ეს ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მატჩი გახლდათ. მოგებული სატურნირო ცხრილში მეორე გამარჯვებას ჩაიწერდა და ერთი ნაბიჯიღა დარჩებოდა საბოლოო მიზნამდე. მართალია, თვალშისაცემი სხვაობით ვიმარჯვეთ, მაგრამ ტაიმნახევარი ყველამ ძალიან ვინერვიულეთ. ბელგიელები ბოლოსღა გავტეხეთ, თანაც ისე დავჩაგრეთ, რომ მსაჯებმაც ვეღარ უშველეს.

— ზემოთ გერმანიასთან მარცხი ახსენეთ. აქაც მსაჯები ჩაერივნენ უკუღმართად საქმეში?

— არც უმაგისობა იყო, თუმცა ჩვენც შევცოდეთ. 15-ქულიანი უპირატესობა ბოლო 7 წუთში ქარს გავატანეთ და დავისაჯეთ კიდეც. მატჩის დამთავრებამდე 17 წამით ადრე ორ ქულას მაინც ვიგებდით და ტულუშს ორი ჯარიმა უნდა ესროლა. სამწუხაროდ, ორივე ააცილა. გერმანელებმა საპასუხო შეტევაში კი ჩაგვიგდეს ბურთი, მაგრამ დრო უკვე ამოწურული იყო. მიუხედავად ამისა, მაინც ჩაუთვალეს. აი, ოვერტაიმში კი ალალად წავაგეთ — 84:88.

— მასპინძლებთან შეხვედრაზე შეგნებულად აღარ გეკითხებით. ანგარიშიდანაც ცხადია ყველაფერი.

— შთამბეჭდავად მოვიგეთ — 92:59. მათთან არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია.

— ახლა, როცა კიდევ ერთი ბარიერი გადალახეთ და ფინალურ ტურნირზე გააღწიეთ, ბუნებრივია, ამბიციაც მოგეძალებოდათ...

— ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ. ეს გუნდი თავისი პოტენციის გათვალისწინებით ევროპის პრიზიორებში უნდა მოხვდეს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ პირობებს შეგვიქმნიან მოსამზადებლად.

ბოლოს კი იმ მოთამაშეთა ვინაობასაც გავაცნობთ, რომელთაც დიახაც რომ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს: ბაჩანა სულაძე, ნიკა ცქიტიშვილი, ზაზა ფაჩულია, დავით უგრეხელიძე, ბუბა ბერიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, გიორგი მარხვაშვილი, გიორგი ჩავლეიშვილი, კოტე ტულუში, რევაზ თოდუა, ირაკლი კეიდია, შოთა ხეცურიანი, ბადრი ნათობაძე.

გიორგი ბიკაშვილი

სტეფანიამ მუხლი გაიმტვრია

27 აპრილი

სიეტლი 90:85 იუტა

სიეტლი: პეიტონი (30 ქულა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), ჰოკინსი (18), შრემპფი (18 ქულა, 8 მოხსნა), მაკლინი (6), პოლინაისი (6 ქულა, 8 მოხსნა); ელისი (4), მაკკოი (4), სტეფანია 2), კროტი (2)

იუტა: სტოქტონი (18), ჰორნაჩეკი (6), რასელი (10), მელოუნი (29 ქულა, 13 მოხსნა), ოსტერტაგი (2); ანდერსონი (12), კიფი (6), ბეილი (2), ეისლი, ფოსტერი

სასიამოვნო ამბები სიეტლიდან — ჯერ ერთი, ჩვენებურმა ვოვა სტეფანიამ, როგორც იქნა, მოირჩინა მუხლის ტრავმა და ითამაშა კიდეც. მეორეც: მისმა სიეტლმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, თანაც თვით იუტა ჯაზთან“, რომელიც დღესდღეობით ლიგაში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება.

სტეფანიას რვა მარტს აქეთ არ ეთამაშა. მუხლის ტრავმამ მას 10 შეხვედრა გამოატოვებინა და აი, 27 აპრილს ქართველმა თავისი მე-20 მატჩი ჩაატარა ლიგაში. მისი სტატისტიკური მაჩვენებლები ასე გამოიყურება — ითამაშა ოთხი წუთი, სამი სროლიდან ერთი ჩაგდება (ორი ქულა) და ერთიც მოხსნა მიითვალა. მართალია, სტეფანიას თავისი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი არ შეუტანია, მაგრამ სიეტლმა უამისოდაც მოუგო იუტას, ვისთანაც ორი დღის წინ სტუმრად 81:98 წაეგო. იმ მატჩში სიეტლმა ძალები დაზოგა, რათა მრისხანე იუტას შინ ღირსეულად დახვედროდა და ამით იხეირა კიდეც. მასპინძლები შიშობენ, ვაითუ პლეი ოფში ვერ მოვხვდეთო. ამიტომაც იყო, თამაშის დაწყებისთანავე ეკვეთნენ სტუმრებს და იმ დაზოგილი ძალის ნახევარი პირველ მეოთხედში დახარჯეს, რამაც საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. ლიგის ულიერეს მექულეთა შორის მეხუთე ადგილზე მყოფმა გერი პეიტონმა თავისი რაზმითურთ ისე შეუტია მომხდურებს, რომ სულ ქუდით ქვა ასროლინა. „ჯაზი“ გაოგნებული შესცქეროდა, როგორ ბომბავდა „სუპერსონიქსი“ მის ვითომდა კარგად დაცულ კალათს. მეოთხედი 29:10 დასრულდა სიეტლის სასარგებლოდ და იუტამ მთელი დარჩენილი დრო ამ სხვაობის გაბათილებას მოანდომა. ეს თითქმის შეძლო კიდეც — ბოლო წუთზე 85:86 გახადა, მაგრამ 15 წამით ადრე დეტლეფ შრემპფისგან ორი საჯარიმო მიიღო, რამდენიმე წამის შემდეგ კიდევ ორი და მატჩიც ამით დასრულდა. სიეტლმა ძალიან სწრაფი თამაშის შესთავაზა მეტოქეს, განსაკუთრებით შეხვედრის ბოლოს და იუტა ხშირად ჯარიმდებოდა. მასპინძლებმაც ბოლო 34 წამში ათიდან რვა საჯარიმო ჩააგდეს და მატჩის ბედიც გადაწყვიტეს. მომდევნო შეხვედრა სიეტლის დასავლეთის მეორე ბობოლასთან პორტლენდთან აქვს ამაღამ. მასთან სტეფანიას გუნდს ამ სეზონში სამიდან ორი თამაში მოუგია.

საკრამენტო 104:100 სან ანტონიო

(ძირითადი დრო 92:92)

საკრამენტო: დივაცი (27 ქულა, 15 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (32 ქულა, 19 მოხსნა)

სიეტლმა მოიგო, მაგრამ არც მისი უმთავრესი კონკურენტი, „საკრამენტო კინგზი“ იყო გულხელდაკრეფილი. იმ დღეს „მეფეები“ თვით სან ანტონიოს ხვდებოდნენ. სტუმრებს აქამდე შვიდი თამაში არ წაეგოთ, თუმც ამას მასპინძლები არ დაუფრთხია. თანაც მათ ლიდერი — კრის ვებერი ტრავმირებული ჰყავდათ და მეტოქეთა ძლევამოსილი თავდამსხმელის, ტიმ დანკანის შემჩერებელიც აღარავინ იყო. დანკანი იმ დღეს შეუდარებელი იყო. მიუხედავად ამისა, საკრამენტომ იბრძოლა და მატჩის ბედიც მისმა ახალბედა გამთამაშებელმა, ჯეისონ ვილიამსმა (14 ქულა, 7 პასი) გადაწყვიტა — მისმა ზუსტმა სროლამ მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, იქ გუნდს პირველი ხუთი ქულა შესძინა და 97:94 დააწინაურა. ეს გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. სტუმრებმა ბევრი ვერაფერი შესთავაზეს მასპინძლებს, ვისაც გამარჯვება უფრო სჭირდებოდათ.

დალასი 84:75 ვანკუვერი

დალასი: ტრენტი (20)

ვანკუვერი: ბიბი (22)

ნიუ ჯერსი 76:95 მაიამი

ნიუ ჯერსი: კარი (18)

მაიამი: მაშბურნი (16)

ინდიანა 87:88 ორლანდო

ინდიანა: მილერი (19)

ორლანდო: ანდერსონი (29)

ტორონტო 98:108 შარლოტი

ტორონტო: მაკგრეიდი (27), კარტერი (22)

შარლოტი: ჯონსი (28)

ფილადელფია 80:71 კლივლენდი

ფილადელფია: აივერსონი (31)

კლივლენდი: ანდერსონი (17)

ბოსტონი 85:99 დეტროიტი

ბოსტონი: პირსი (21)

დეტროიტი: ჰილი (31)

ირაკლი ფირაშვილი

კვირის მოთამაშე



კრის ვებერი (საკრამენტო)

დაბადება: 01.03.1973 დეტროიტში, მიჩიგანი
უნივერსიტეტი: მიჩიგანი '93
ამპლუა: თავდამსხმელი
სიმაღლე: 208 სმ
წონა: 112 კგ
სეზონი ლიგაში: 6

კრის ვებერმა წინა კვირაში მატჩში საშუალოდ 20,5 ქულა, 11,8 მოხსნა, 3,0 პასი, 2,00 ჩაჭრა და 1,50 დაფარება გააკეთა. მისმა „საკრამენტო კინგზმა“ კი ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო.

ვებერი ამჟამად ლიდერობს ლიგის მომხსნელებს (საშუალოდ მატჩში 13,0 მოხსნა). კვირის პირველ მატჩში „კლიპერსის“ წინააღმდეგ (102:98) 22 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა და ერი პასი გააკეთა. „გოლდენ სტეიტს“ (103:94) 25 ქულა, ჩაუგდო და ამას 16 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება და.3 ჩაჭრა დაუმატა. მერე იყო „მინესოტა“ (105:97) და 18 ქულა, 19 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა. ბოლოს კი „დალასი“ (105:102), რომელსაც ვებერმა 17 ქულა, 6 მოხსნა და ერთი პასი გაუკეთა.



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — იუტა. კარლ მელოუნი (მუქ ფორმაში) სიეტლელებისგან თავის დაღწევას ცდილობს

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
მაიამი*	31	14	68,9
ორლანდო*	30	17	63,8
ფილადელფია	26	19	57,8
ნიუ იორკი	24	21	53,3
ბოსტონი	18	28	39,1
ვაშინგტონი	16	29	35,6
ნიუ ჯერსი	14	31	31,1

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა*	29	17	63,0
ატლანტა*	28	17	62,2
მილუოკი	25	20	55,6
დეტროიტი	25	20	55,6
შარლოტი	23	22	51,1
ტორონტო	22	23	48,9
კლივლენდი	21	24	46,7
ჩიკაგო	12	34	26,6

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა*	34	12	73,9
სან ანტონიო*	32	13	71,1
ჰიუსტონი*	28	17	62,2
მინესოტა	22	23	48,9
დალასი	17	29	37,0
დენვერი	14	31	31,1
ვანკუვერი	8	38	17,4

წყნარი ოკეანის დივიზიონი

პორტლენდი*	33	11	75,0
ლეიკერსი*	27	19	58,7
ფინიქსი	24	21	53,3
საკრამენტო	23	23	50,0
სიეტლი	22	23	48,9
გოლდენ სტეიტი	20	25	44,4
კლიპერსი	9	36	20,0

** — გავიდნენ პლეი ოფში*

ᲒᲣᲠᲯᲘᲡ ᲯᲝᲠᲯᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

ატლანტა. აშშ. AT*T CHALLANCE.
მწვანე თიხნარი
საპრიზო 350 ათასი $

თითქოს სიმბოლურია, რომ ირაკლი ლაბაძის პროფესიული კარიერა ამერიკულ ჯორჯიაში დაიწყო. დაიწყო წარუმატებლად, მაგრამ მომავლის დიდ იმედს რომ გიჩენს.

უკვე კარგა ხანია, ამერიკაში მცხოვრებ ჩვენებურს სეხნია შტატის ღია პირველობაზე უაილდ ქარდი გამოუყვეს, მეტოქედ კი კლასიფიკაციით 68-ე ესპანელი ალბერტო მარტინი ერგო. მარტინი, როგორც თითოეული მისი თანამემამულე, თიხნარზე თამაშის ოსტატია და წლეულს საყვარელ, ოღონდ ატლანტურისგან განსხვავებული შეფერილობის საფარზე კასაბლანკაში ტურნირიც მოიგო.

17 წლის თბილისელმა ATP ტურის სადებიუტო მატჩში ნამდვილად კარგი შთაბეჭდილება დატოვა — პირველი სეტის წაგების მიუხედავად, გული არ გაიტეხა, ანგარიში გაათანაბრა და გადამწყვეტ ხელში ტაი-ბრეიკამდეც მიატანა. სამწუხაროდ, უიღბლობის ბრალი იყო, თუ გამოუცდელობის, აქ ირაკლი ვეღარას გახდა და მეორე წრეშიც მარტინი გავიდა 6:2, 4:6, 7:6 (7:4).

ძნელია, იმ მატჩზე იმსჯელო, თვალითაც რომ არ გინახავს, მაგრამ საუკეთესოთა ასეულის წარმომადგენელთან ასე თანაბრად ჭიდილი აშკარად იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. მით უმეტეს, კაცების ჩოგბურთში, დიაცებისგან განსხვავებით, ჰინგისის, უილიამსების თუ კურნიკოვას მსგავსი, ადრეული წარმატებები, როგორც წესი, ძალიან იშვიათია და დიდ შედეგებს 20-21 წლამდე არავისგან მოითხოვენ.

ამ სიტყვების დასტურად ატლანტის ტურნირზე პირველად განთესილი პატრიკ რაფტერიც გამოდგება, რომელმაც საუკეთესოთა ოცეულშიც კი პირველად 24 წელგადაცილებულმა შეაღწია (ისევე, როგორც იონას ბიორკმანმა, კაროლ კუჩერამ, გრეგ რუზეცკიმ). თავად ავსტრალიელს ამ ბოლო ხანებში საქმეები აშკარად ცუდად მიუდის: თებერვალს აქეთ გამართული ექვსი მატჩიდან ხუთი წააგო, სეზონში კი მეოთხედფინალისთვისაც არსად მიუღწევია.

ძველი დამსახურებების ხარჯზე ჯერაც მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს პირველ წრეში მრისხანე მეტოქე ნამდვილად არ ჰყოლია — არგენტინელ ვეტერან მარტინ როდრიგესს აქამდე საუკეთესო მიღწევად თვალსაწიერიდან დაკარგული ფერადკანიანი მალივაი ვაშინგტონის დამარცხება ეთვლებოდა. მაგრამ რაფტერისთვის ეს დაბალი ღობეც კი სვანური კოშკივით გამოდგა.

აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი ორივე სეტში ბრეიკით დაწინაურდა, თუმცა, როგორც ეს რამდენიმე თვეა, ჩვეულებად ექცა, უპირატესობა მალევე შემოეფანტა, ტაი-ბრეიკზე კი ხელები აუკანკალდა 6:7 (5:7), 6:7 (5:7). „ალარც კი ვიცი, რა მოვიმოქმედო. გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდი, თავდაჯერების მისხალიც ალარ შემრჩა“ — ხელები გაასავსავა პრესკონფერენციაზე რაფტერმა.

პირველი წრე: ჯეისონ სტოლტენბერგი (2, ავსტრალია) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:4, 6:1; მაიკლ ჩანგი (4, აშშ) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:4, 6:2; სებასტიან გროსჟანი (5, საფრანგეთი) — სესილ მემიტი (აშშ) 6:7 (6:8), 7:5, 6:1; გილერმო კანასი (არგენტინა) — სკოტ დრეიპერი (6, ავსტრალია) 6:4, 6:3; ჯიმ კურიე (აშშ) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:3, 6:4; მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) — პეტერ კორდა (ჩეხეთი) 7:5, 6:1; მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 2:6, 6:3, 6:4.

REUTERS პრაღიდან

ევგენი კაფელნიკოვი

პრაღა. ჩეხეთის ღია
პირველობა. თიხნარი
საპრიზო 500 ათასი $

ფაქტს ვერსად გაექცევი: საშინელი ფორმისა და აგერ უკვე ზედიზედ მეექვსე ტურნირის პირველ წრეში დამარცხების მიუხედავად, ევგენი კაფელნიკოვი ორშაბათიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება.

„ეს ჩემი ყველა ოცნების ასრულებაა. მართალია, ამჟამად კარგად ნაღდად არ ვთამაშობ, მაგრამ დიდი სლემის ტურნირის მოგებით, ვფიქრობ, სავსებით დავიმსახურე მსგავსი პატივი“ — ასე გამოეხმაურა 25 წლის სოჭელი მისთვის ესოდენ სასიხარულო ამბავს.

და რით აღნიშნა კაფელნიკოვმა ეს მიღწევა? რით და მორიგი მარცხით, ამჯერად ჩეხეთის სათიხნარო პირველობაზე. თუმცა ჟენიას ავსტრალიელ რიჩარდს ფრომბერგთან წაგებაც კი წინ გადადგმული ნაბიჯად შეიძლება ჩაეთვალოს. რატომ და, წინა ტურნირზე, მონტე კარლოში, რუსმა 38 წუთში (!) კლასიფიკაციით 196-ე ვინმე ივან ლუბიჩიჩთან წააგო, ახლა კი ასე თუ ისე ცნობილ მეტოქეს მთელ ორ საათს უწევდა წინააღმდეგობას — 4:6, 6:2, 4:6.

„ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გადაღლილად ვგრძნობ თავს — დაიჩივლა მატჩის შემდეგ რუსმა, რომელმაც ბოლო ხუთი სეზონიდან ოთხში ყველა კოლეგაზე მეტი შეხვედრა ჩაატარა — ATP ტურზე უკვე მეშვიდე წელია, ვთამაშობ. ალბათ, დროა, განრიგი შეეცვალო და ცოტა მეტი ხანი დავისვენო. როლან გაროსის წინ ძალების მოკრებაა საჭირო“.

თუმცა, ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად, კაფელნიკოვი იმედს არ კარგავს, რომ პირველობის შენარჩუნებას სეზონის ბოლომდე მოახერხებს, მისი ყველაზე საშიში მეტოქე ხომ კიდევ უფრო ცუდ დღეშია: „ეს სავსებით რეალურად მეჩვენება. ამჟამად თავად პიტ სამპრასიც სათამაშო კრიზისშია.“

პირველი წრე: სედრიკ პიოლინი (3, საფრანგეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:6 (8:6), 0:6, 7:6 (7:4); ტომაშ ჟიბი (ჩეხეთი) — მარატ საფინი (4, რუსეთი 1:6, 6:1, 7:5; დომინიკ ჰრბატი (5, სლოვაკეთი) — ანტონი დუპუი (საფრანგეთი) 6:3, 7:5; ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) — რადოვან შვეტლიკი (ჩეხეთი) 6:0, 6:4; ენდრიუ ილი (8, ავსტრალია) — სებასტიან პრიეტო (არგენტინა) 6:2, 6:4.



REUTERS მიუნხენიდან

ბორის ბეკერი

მიუნხენი. გერმანია. BMW-ის
ღია პირველობა, თიხნარი
საპრიზო 550 ათასი $

ბორის ბეკერმა შინ გლოვას მშობლიურ ქალაქში ასპარეზობა არჩია. „თავიდან ვიფიქრე, არ ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ დამალვას ისევ აქ ჩამოსვლა ვარჩიე, ცხოვრება გრძელდება“ — განაცხადა სამგზის უიმბლდონის ჩემპიონმა და გერმანიის ეროვნულმა გმირმა, რომელსაც გასულ სამშაბათს კუჭის კიბოთი მამა, 63 წლის კარლ ჰაინცი გარდაეცვალა.

წყვილებში თავის მემკვიდრედ შერაცხული ტომი ჰაასთან ერთად ბორისმა შემდეგ წრეს კი უწია, მაგრამ ერთეულებში ნაკლებად გაუმართლა — მეხუთედ განთესილ უეინ ფერერასთან 6:3, 3:6, 4:6 წააგო.

პირველი წრე: დინუ პესკარიუ (რუმინეთი) — ტომას ენკვისტი (2, შვედეთი) 6:3, 3:6, 6:3; ვინჩენცო სანტოპადრე (იტალია) — გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) 6:3, 6:2; ტომი ჰაასი (4, გერმანია) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:2), 6:4; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) — მარკ როსე (6, შვეიცარია) 2:6, 6:3, 6:1.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲘᲐᲠᲔᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ მეზიდონ-დიოვი მაისის პირველი ორი დღის განმავლობაში სპორტული სიარულის მე-19 მსოფლიოს თასს უმასპინძლებს. როგორც მძლეოსნობის ამ გამორჩეულად ეშხიან სახეობაზე მწერალი ევროპელები გვაუწყებენ, ამჟამინდელი ასპარეზობა ყველაზე ერმრავალი იქნება. წინა თასზე გამოსულ 45 ნაკრებს, მეზიდონში კიდევ 12 აუწყობს ნაბიჯს. ამასთან ისე, რომ რაოდენობა ხარისხიანობასაც შეეწყვილება — იქაურ ბილიკებს სპორტული სიარულის უბრწყინვალესი ბრიგადა გათელავს.

ვაჟთა შორის ყველაზე შთამბეჭდავ სახელად 50 კმ-იან რბოლათა სპეციალისტი, პოლონელი რობერტ კორჟენიოვსკი მიიჩნევა. სხვა რომ არა იყოს რა, ამ კაცს 1996 წლის ოლიმპიადა, 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და შარშანდელი ევროპირველობა მოუგია. წელს კი, იგი თურმე 20 კმ-იან სარბილზე გამოსვლასა და ამ მანძილზე ბოლო დროს გაბატონებული ბიჭების დაბრიყვებას გეგმავს. თუმცა, ვისი-ვისი და შარშანდელი ევროპის ჩემპიონის, რუსი ილია მარკოვისა და ათენის 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, მექსიკელი დანიელ გარსიას დაბრიყვება, ვინძლო, ძალიან ძნელი ამბავი გამოდგეს.

სარბიელის არქივიდან

ვალენტინ კონონენი

ურობერტოდ დარჩენილ 50 კმ-იან ბილიკზე კი, 20 კმ-ზე ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული ეკვადორელი ჯეფერსონ პერესი, 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, ფინელ ვალენტინ კონონენსა და 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, თასის ამჟამინდელ მფლობელს, ესპანელ ხესუს ანხელ გარსიას შეერკინება. მათ გვერდით თავთავის დროზე 20 კმ-ზე გამსოფლიო-ჩემპიონებულები, ესპანელი ვალენტინ მასანა (1993 წელს) და იტალიელი მიკელე დიდონიც (1995 წელს) ივლიან.

სარბიელის არქივიდან

რობერტ კორჟენიოვსკი

ქალთა განყოფილებაში კი ერთი სასიხარულო სიახლეა — ამჯერად მათი დაბვეწილი მიხვრა-მოხვრის ცქერა, ჩვენ არა შეჩვეულ 10 კმ-ზე, არამედ შეუჩვეველ (და იქნებ არც შესაჩვეველ) 20 კმ-ზე მოგვიწევს. ტიტულის დაცვას მეზიდონში ჩინელი ჰონგმიაო გაო შეეცდება, ხოლო ამის გაკეთებაში ფეხს მას იტალიელი ანარიტა სიდოტი, ათენის 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, შეუშლის.

ბოლოს, ორიოდ სიტყვა თავად შეჯიბრის ისტორიიდან:

მსოფლიოს თასს 1983 წლამდე ლუგანოს თასი ერქვა. იგი 1961 წელს ტიჩინოელმა (შვეიცარია) ჟურნალისტმა და სპორტულად მოსიარულე არმანდო ლიბოტემ დაარსა. მას სურდა მამაკაცთა ღვლარჭნილი სიარულით პროტესტი გამოეხატა შვეიცარიის მიერ 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადისათვის ბოიკოტის გამოცხადებასთან დაკავშირებით (ალპურმა ქვეყანამ, ჰოლანდიასა და ესპანეთთან ერთად, საბჭოეთის მიერ უნგრეთის იმწლევანდელი იავარქმნის წინააღდმეგ გაილაშქრა!). ლიბოტეს ეს ნაგვიანევი პროტესტი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და აგერ უკვე 38 წელიწადია (განსაკუთრებით კი მაინც 1981-დან, როცა მასში მონაწილეობის უფლება ქალებსაც მიეცათ), სპორტულად მოსიარულეთა ერთ უსაყვარლეს ასპარეზად ითვლება.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐᲪ, ᲜᲔᲑᲘᲝᲚᲝᲠᲝ

ᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚᲘ მძლეოსნობის მამები სპილოს ძვლის სანაპიროს კოტტა დედაქალაქ აბიჯანში აფრიკის სამოყვარულო მძლეოსნობის კონფედერაციის (AAAC) მორიგ კონგრესზე შეყრილან და თავიანთ სამწყსოსა თუ მის გადაღმა შექმნილ ვითარებაზე საუბრობენ. მამათა აზრით, მსოფლიო მძლეოსნობაში ახლა ყველაფერი რიგზეა და, თუკი მისი უდიდებულესობა, IAAF-ის პრეზიდენტი დოქტორი პრიმო ნებიოლო ფედერაციის 18-19 აგვისტოს, სევილიაში გასამართ ყრილობაზე თანამდებობას შეინარჩუნებს, საქმე კიდევ უფრო კარგად იქნება.

„პრეზიდენტ ნებიოლოს როლი მსოფლიო მძლეოსნობის განვითარების საქმეში შეუდარებელია... ამიტომაც ჩვენ, 53 AAAC-ელი მამა კვლავაც მის პრეზიდენტობას ვემხრობით და ჩვენ-ჩვენ და სხვათა ფედერაციებსაც სწორედ მისი კანდიდატურის მხარდაჭერისაკენ მოვუწოდებთ“, - სწერია აბიჯანიდან გავრცელებულ ელექტრო-ბარათებში.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

გაზაფხული ხომ თავად რემონტია

გაზაფხულდა, ვერის ბაღში, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია, უშიშრად დახტიან თავხედი ბეღურები, რომელთა წივწივი ახლა ბევრად უფრო მხიარულია, ვიდრე ზამთარში; გარდა ამისა, შესამჩნევად მომრავლდნენ საბავშვო ეტლები და ერთმანეთს გადაფსკვნილი შეყვარებულები მოკლედ, ახლა მართლა გაზაფხულია, რაც, სხვათა შორის, ბაღის განაპირას მდგარ ჭადრაკის სასახლესაც დაეტყო. იქ ახლა შენობის განახლებას მიჰყვეს ხელი...

ჭადრაკის სასახლის მესვეურებს ფედერაციის მწირი ბიუჯეტიდან სარემონტო თანხის გამოსაყოფად მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდათ: 7 მაისს ჭადრაკის სასახლეში ქალთა მსოფლიოს პირველობის ზონალური ტურნირი იწყება. თბილისს ექვსი ქვეყნის რჩეული მოჭადრაკე ქალები ეწვევიან. აი, ეს ქვეყნებიც: სომხეთი, თურქეთი, იუგოსლავია (!), ალბანეთი, კვიპროსი, მალტა. ამ მოვლენამ დროებით უკანა პლანზე გადასწია ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი, ვაჟთა უმაღლესი ლიგის პირველობა, რომელიც ნაცვლად დაგეგმილი მაისისა ივნისის მეორე ნახევარში გაიმართება.

ამჟამად ბათუმის ცვენისა და ცემენტის ტომრების სიჭარბის მიუხედავად, ჭადრაკის სასახლე ჩვეული რიტმით აგრძელებს ცხოვრებას. პარასკევს დასრულდა 18 წლამდე მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატები, რომლებშიც 36-მა ჭაბუკმა და 24-მა ქალიშვილმა ითამაშა. ორივე ტურნირი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად გაიმართა და, ტრადიციულად, სიძაფრე არცერთს ჰკლებია. ვაჟებში პირველი-მეორე ადგილები 7,5-7,5 ქულით გიორგი ფარესიშვილმა და მიხეილ ჯამაგიძემ გაიყვეს და გამარჯვებული ვერც ეგრეთ წოდებულმა პროგრესის კოეფიციენტმა გამოავლინა. დაინიშნა 2 დამატებითი პარტია სწრაფ ჭადრაკში, რომლებიც ფარესიშვილმა მოიგო და მისი კბილა ბიჭების მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლის ულება ირგუნა, ევროპის პირველობაზე კი ჯამაგიძე ითამაშებს. ბრინჯაოს მედალი აფხაზეთიდან დევნილი ბაადურ ჯობავას არჩივი გახდა.

ერთპიროვნული გამარჯვებული ვერ გამოვლინდა გოგონებშიც, თუმცა აქ ნანა წიქარიშვილის პროგრესის კოეფიციენტი საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი გამოდგა. წიქარიშვილი, ისევე, როგორც ფარესიშვილი, ოქტომბერში ესპანეთს გაემგზავრება, ხოლო ვერცხლის მედალოსანი სოფო გვეტაძე სექტემბერში ჯამაგიძესთან ერთად საბერძნეთს მოიხილავს. გოგონებში მესამე ადგილზე თამარ ბალხამიშვილი გავიდა.

ამ ტურნირთა დასრულებისთანავე ჭადრაკის სასახლეში 14 წლამდე მოთამაშეები შეიკრიბნენ, ხოლო პარალელურად ბათუმში 10 წლამდე ვუნდერკინდები პაექრობენ და იქვეა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილიც, რომელიც გარდა ჩემპიონატის დახურვაზე დასწრებისა, ბათუმში ევროპის გუნდური ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებში გარკვევითაც იქნება დაკავებული, ნოემბრამდე ხომ სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

დავით გულუა

საქართველოს სამბისტთა ნაკრების წევრები შიმშილობის დღეებში

ნაშიმშილარნო, აწ კი თქვენ...

ქართველმა სამბისტებმა ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელი და მოსამზადებელი ფულისთვის რომ იშიმშილეს, თავის დროზე გაუწყეთ. ისიც მოგახსენეთ, შეკრებაზე თბილისის სპორტის სამმართველომ რომ გააგზავნა. ახლა კი „დიდების შეთანხმების“ მეორე პუნქტიც პირნათლად შესრულდა — სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა მათ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში (სადაც ჩემპიონატი ტარდება) წასასვლელი თანხა გამოუყო. ახლა დარჩა იმ შეთანხმების ბოლო, მესამე პუნქტი — თავად სამბისტების დაპირება მედლებით დაბრუნების შესახებ.

ნაკრების მთავამა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ დანაპირების შესასრულებლად სოფიაში წაიყვანა: მევლუდ მელაძე (52), ბადრი ჯანიაშვილი (57), მამუკა კურდღელაშვილი (62), არჩილ ჩოხელი (68), ნიკო ბიბილაშვილი (74), გივი შუბითიძე (82), ივანე გამხიტარიშვილი (90), სოსო ახალბედაშვილი (100), რატი ფერაძე (მძიმე).

ჩემპიონატი 30 აპრილს დაიწყება და 2 მაისს დამთავრდება. დიდების პარალელურად ჭაბუკებისა და ახალგაზრდების ევროპის პირველობებიც გაიმართება.

ირაკლი თავაძე

თბილისის საერთაშორისო ბოულინგ-ცენტრი

პარასკევს, 30 აპრილს, 18.00 საათზე აწყობს მეორე ღია ჩემპიონატს
თვის საუკეთესო ბოულერის გამოსავლენად.
გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები.
მსურველებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ მისამართზე:
ყაზბეგის 12ა. ტელ: 330350

სპორტიდან ცირკში, ცირკიდან სპორტში

ქართული ბატუტის დღევანდელ გასაჭირზე, ეჰ, რამდენი გვიწერია. არადა, მასაც შეუძლია ტკბილად მოიგონოს დრო, როცა ფულ-მედლები ნამდვილად არ აკლდა. ეს არც ისე დიდი ხნის წინ, 80-90-იანი წლების მიჯნაზე იყო, რომელსაც თამამად შეიძლება ჩვენი ბატუტის „ოქროს ხანა“ ვუწოდოთ. თავად განსაჯეთ — 1990 წლის შვედეთის ევროპის ჩემპიონატზე რვიდან შვიდი ოქროს მედალი ქართველებმა მოიპოვეს. ეს, რაც ყველაზე გამორჩეულია, თორემ ჩვენებურები უმედლოდ არსად რჩებოდნენ. მაშინ მართლაც ნიჭიერი თაობა წამოვიდა, მაგრამ თუ ქალებში მძაფრი კონკურენცია იყო, ვაჟებში ზაზა აბრამიშვილმა ახლოს არავინ გაიკარა. მაშინ ჩვენში აგორებულმა საბატუტო ტალღამ ვაჟებშიც ბევრი იმედისმომცემი სპორტსმენი მოიყოლა, მაგრამ თანდაყოლილი ნიჭის წყალობით იმ თაობის ლიდერად სწორედ აბრამიშვილი იქცა.

პერსპექტული ბიჭი მალე საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმაც მიიწვიეს. ზაზა არც იქ დაჩრდილულა და ლიდერად მოგვევლინა. წარმატებებმაც არ დააყოვნა — 1990 წელს გუნდურში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, ინდივიდუალურში კი ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ამას, ბუნებრივია, დიდებში მოპოვებული წარმატებები უნდა მოჰყოლოდა, რაც არავის ეეჭვებოდა, მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა — აბრამიშვილმა ბატუტს უგანა და ცირკში გადაინაცვლა. მსოფლიო, რომელიც სპორტსმენად უნდა მოეკლო, ცირკის მსახიობად მოიარა... დღეს ის საქართველოსაც დაუბრუნდა და ქართულ სპორტსაც. დაუბრუნდა ერთი მიზნით — იასპარეზოს სიდნეის ოლიმპიადაზე. თუმცა განვლილსაც სინანულით იხსენებს.

ისინი ისევ ერთად არიან: ზაზა აბრამიშვილი, რუსუდან ხოფერია და მათი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი

— ყველაზე წარმატებული სეზონის შემდეგ სპორტიდან გაუჩინარდით და თქვენზე თუ რამეს შევიტყობდით, ისიც ცირკიდან. სად იყო და რას საქმიანობდა აქამდე ზაზა აბრამიშვილი?

— 1990 წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. მაშინ წესი იყო, უნდა მოეცათ ბინა, მანქანა... კარგად მოგეხსენებათ მაშინდელი პოლიტიკური ვითარება და ქვეყნის მდგომარეობა, როცა არც ჩემთვის ეცალა ვინმეს და არც სპორტისთვის. ამიტომ არც არაფერი მოუციათ. არადა, ძალიან მიჭირდა ყოველდღე რუსთავიდან ავტობუსით სიარული. მაშინ ტრანსპორტის პრობლემა იყო, მე კი ექვსი წელი ასე ვწვალობდი. თანაც, უკვე ველარც შეჯიბრებებზე გვგზავნიდნენ. მიწვევები კი მოგვდიოდა, მაგრამ წასასვლელი ფული არ იყო. ამიტომ კაციან-ქალიანად თითქმის ყველამ დავანებეთ სპორტს თავი. ამით ქართულმა ბატუტმა მართლაც ბევრი დაკარგა.

მე სპორტიდან ასე ადრე წასვლა არ მინდოდა. რადგან აქ პირობები და პერსპექტივა არ იყო, საზღვარგარეთ მოვინდომე წასვლა. ამაზე ჩვენი ფედერაცია არ დამეთანხმა. ის კი არა, დამემუქრა, საერთაშორისო ფედერაციაში გიჩივლებთო. ჰოდა, მეც ავდექი და ჩემი გზით წავედი — დავწერე განცხადება და მოსკოვის ცირკს მივაკითხე. ეს 1992 წელს მოხდა. ჩემს მწვრთნელ ზაურ სულაშვილს ძალიან კი დასწყდა გული, რომ ვერაფრით მეხმარებოდა, მაგრამ რაღას იზამდა.

ცირკში დამკვიდრებაც არ იყო იოლი. დაახლოებით ერთი წელი დამჭირდა, რათა ფეხი მყარად მომეკიდებინა. იქაც ჩემი პროფესიით ვმუშაობდი. ცირკის ხელმძღვანელობამ საუკეთესო პირობები შემიქმნა — მომცა ბინა, მანქანა, დამინიშნა კარგი ხელფასი, არ იშურებდა ყოველგვარ ხარჯს. ერთი სიტყვით, მე მხოლოდ ვარჯიში მეკალებოდა. ჩვენს თეატრს ხშირად უწევდა უცხოეთში გასვლა. ვიყავით ავსტრალიაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, შვედეთში, გერმანიაში, ბოლოს კი შეერთებულ შტატებში.

— სამუშაო თითქმის არ შეგიცვლიათ და მაინც, სად უფრო გერჩივნათ — სპორტში თუ ცირკში?

— სპორტი მაინც სპორტია და გული მწყდება, რომ მივატოვე, მიუხედავად იმისა, რომ ცირკში დატვირთვა გაცილებით ნაკლებია. იქ მობილიზება ერთ კონკრეტულ მომენტში გვჭირდება, სპორტში კი გამუდმებით ყურადღებით უნდა იყო. მაგრამ რომ არა პირობები, მაინც სპორტსმენად დარჩენას ვამჯობინებდი.

— ბევრი ქვეყანა, სადაც გამოსულხართ, მოწინავეა ბატუტში. ცირკმა მათთან დაახლოების საშუალება მაინც მოგცათ...

— კონკრეტულად შტატებზე გეტყვით. სწორედ ამერიკელებმა მოიგონეს ბატუტი 20-იან წლებში. 70-იან წლებამდე მათთან ეს სახეობა მართლაც დიდ გასავალში იყო. ის აუცილებელ დისციპლინად შედიოდა სასკოლო პროგრამებში, საბავშვო ბაღებში, ბატუტები ედგათ დასასვენებელ-გასართობ ადგილებში, მაგრამ მოხდა ერთი ტრაგიკული შემთხვევა, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ბატუტის ბედზე — ვარჯიშისას ერთ-ერთი ქალაქის მერის შვილი დაიღუპა და ამ სახეობისადმი ყურადღებამაც თანდათან იკლო. იგი სიცოცხლისთვის საშიშ სახეობად მიიჩნიეს. დღესდღეობით ამერიკელ ბატუტისტებს სახელიღა შერჩათ ძველი.

— თავდაპირველად სპორტში დაბრუნების სანაცვლოდ ფედერაციას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდით. ამ მხრივ როგორაა საქმე?

— ფედერაციამ გამომიყო ოთახი, უფრო სწორად, ოთხი კედელი და ცარიელი ლოგინი. ხელფასი ვერ დამინიშნა. სამაგიეროდ, დამეხმარა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. მის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს ძალიან გაუხარდა ჩემი დაბრუნება და საკმაოდ კარგი სტიპენდიაც შემომთავაზა. თან დამპირდა, თუ მსოფლიოს თასის რომელიმე უახლოეს ეტაპზე ათეულში მოხვდები, სტიპენდიას მოგიმატებთო. მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ახლა ჯერი ჩემზეა.

— ამდენი ხნის განშორების შემდეგ დიდ სპორტთან ხელახლა შეგუება არ გაგიჭირდათ?

— თავიდან გამიძნელდა ამხელა დატვირთვების ატანა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს შევეჩვიე. ვფიქრობ, შვიდწლიანი განშორების კვალობაზე ყველაფერი კარგადაა. აქაურ ბატუტებზე ვარჯიში ძნელია. გერმანიაში ვარჯიშის საშუალება მოგვეცა და ამის იმედი მაქვს. მერე კი მსოფლიოს თასის ეტაპზეც გამოვალ. ყველაფერი სწორედ იქ გამოჩნდება.

ირაკლი თავაძე

ქართული ქრონიკები ევერესტზე

ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს

როცა დედამიწის უმაღლეს მწვერვალებზე მთამსვლურ ქრონიკებს იხსენებენ, აღნიშნავენ არა მხოლოდ წარმატებით დაგვირგვინებულ, არამედ წარუმატებელსაც და ხშირად ისეთ ექსპედიციებსაც, რომლებიც იგეგმებოდა, მაგრამ ჩანასახშივე ჩაშლილა. ცხადია, ასეთი სტატისტიკა უფრო რვაათასიანებზე იწერება, გამორჩევით კი ჯომოლუნგმაზე, რაკიღა უმაღლესია და მასზე ასვლას ყველა მთამსვლელი ოცნებობს, თუნდაც კლასიკური მარშრუტებით, რომლებიც სხვებთან შედარებით იოლად ითვლება.

ამას რომ ვამბობთ, გვახსენდება ჯომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მეთაურის ინგლისელი ჯონ ჰანტის სიტყვები, რომელიც სწორედ იმ მარშრუტს ეხება: „ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ევერესტზე ასვლა, თუნდაც 1953 წლის მარშრუტით, უბრალო გასეირნებაა. გარწმუნებთ, რომ ეს ასე არ არის. ყოველი ასვლა სახიფათოა. საკმარისია გავიხსენოთ მსხვერპლთა რაოდენობა. როგორც კი ძლიერი ქარი ამოვარდება, მწვერვალის ქედზე თავს ვერავინ შეიკავებს. ასეთი დღეები წელიწადში უმრავლესია“.

ჯომოლუნგმის კიდევ ერთი დამლაშქრავი ჩეხი ზოლვო დემიანი კი ამბობს: „როცა ლჰოცეზეზე გაცილებით ძნელი და ტექნიკურად რთული პირველი ასვლა განვახორციელეთ, მცირე შესვენების შემდეგ შემეძლო იმავე გზის გავდგომოდი, ევერესტზე ასვლის განმეორების თავი კი აღარ მქონდა. ეს თითქმის ცხრაათასიანია“.

და რაკი ასეა და ჩვენი ყურადღება დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებზე მყოფი ქართველი მთამსვლელებისკენაა მიპყრობილი, გავიხსენოთ ჯომოლუნგმაზე საქართველოს ალპინისტთა ქრონიკები.

ქართველი მთამსვლელები ჯერ კიდევ 1959 წელს აპირებდნენ ასვლას. ეს ის დრო იყო, როცა ჯომოლუნგმაზე მხოლოდ ინგლისელებისა და შვეიცარელების თითო ექსპედიციის წარმომადგენლები იყვნენ ასულნი და იქიდან ექვსად-ექვსს გადმოეხედა. ამიტომ შესაძლებელი იყო, რომ მესამე წარმატებული ექსპედიცია სწორედ ქართული გამომდგარიყო ან საბჭოური, რომლის წევრებიც ჩვენი თანამსვლელებიც იქნებოდნენ. საქმე ის იყო, რომ კი ნეპალის მხრიდან გეგმავდა ასვლას.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1957 წელს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული ნეპალის მეფე რაჰენდრა თბილისსაც ეწვია. ქალაქის დათვალიერებისას მასპინძლებმა მეფე კიროვის პარკშიც მიიყვანეს. რა თქმა უნდა, მეფეს კიროვის პარკით ვერ გააკვირვებდნენ, მაგრამ იქ საქართველოს ალპური კლუბიც იყო. ჰოდა, მეფემ კლუბიც მოინახულა, ქართველი თანამსვლელებიც გაიცნო და მათი დიდი წარმატებებიც, მერე კი ჩვენმა ალპინისტებმა, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ, მეფეს მორიდებით შეაპარეს, ჯომოლუნგმაზე ვოცნებობთო.

მეფე, აბა, რა მეფე იქნებოდა, თუკი მასპინძლებს ასეთ თხოვნაზე უარს ეტყოდა. მეფემ სიტყვიერ თანხმობას ერთი წლის მერე ოფიციალურიც მოაყოლა — 1959 წელს საგარმატხა (ჯომოლუნგმას ნეპალური სახელწოდება) გელითო.

ჯომოლუნგმაზე ასასვლელად ემზადებოდნენ: ა. აბაშიძე, ზურაბ და ლევან ახვლედიანები, პ. გვარლიანი, ჯ. გუგავა, თ. კუხიანიძე, გ. მაჭარაშვილი, ჯ. მეძმარიაშვილი, შ. მირიანაშვილი, ნ. ნადირაშვილი, დ. ობოლაძე, ო. ყაველაშვილი, შ. ჩართოლანი, ს. ხაბეიშვილი, რევაზ და ოთარ ხაზარაძეები, მ. ხერგიანი.

სამწუხაროდ, ორივე ექსპედიცია სულ ბოლო მომენტში ჩაიშალა. მიბრავალი გამოცდა და ტესტი გაიარა მეკლდეურობაში, თოვლიან თუ ყინულიან ფერდობზე სიარულში, კოსმონავტთა ბაროკამერაში და VI ადგილზე ქვემოთ არც ერთი გამოცდის შედეგად არ დაშვებულა. ფარული კენჭისყრის შედეგებითაც საუკეთესო იყო.

მერე კი იყო ის ენის მიტან-მოტანა მოსკოვში, ტყუილ-მართალი და აკაკი ხერგიანის სახელი ექსპედიციის სიიდან ამოიღეს. ბოლოს საქმეში სოლიკო ხაბეიშვილის ჩარევითა და დიდი მცდელობით იგი ექსპედიციაში კინოოპერატორად შეიყვანეს, რათა მწვერვალზე ასვლა გადაეღო.

ამ ექსპედიციამ მიზანს მიაღწია. მთამსვლელებმა მწვერვალი მანამდე უვალი სამხრეთ-დასავლეთის კედლის ავლით დალაშქრეს, რაც მანამდე დაუძლეველად ითვლებოდა. ამ მხრიდან იაპონელებმა სამჯერ სცადეს ასვლა, მაგრამ უშედეგოდ. იმავე კედლის დასაძლევად თერთმეტი ქვეყნის მთამსვლელებიც გაერთიანდნენ, მაგრამ ისინიც ვერას გახდნენ. მერე კიდევ საერთაშორისო ექსპედიცია გაწბილდა. მათი ბედი გაიზიარეს ინგლისელებმაც. ბოლოს, 1975 წელს დიდი ბრიტანეთის მთამსვლელებმა მიაღწიეს მიზანს.

1982 წელს საბჭოთა მთამსვლელებმაც სამხრეთ-დასავლეთის კედელს დაადგეს თვალი, ოღონდ უფრო რთულ მარშრუტს და ამგვარი ვარიანტით ავიდნენ კიდეც მწვერვალზე.

ამ ასვლაში თავისი დიდი წვლილი შეიტანა აკაკი ხერგიანმაც. საბაზო ბანაკიდან, რომელიც 5300 მეტრზე (ეს თითქმის კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზის სიმაღლეა) განლაგდა, აკაკიმ ხუთჯერ აზიდა საჭურველი 6100-7300 მეტრ სიმაღლეზე (საბაზო ბანაკიდან ამდენჯერ არც ერთი მთამსვლელი არ გასულა), ხოლო ორჯერ 7900 მეტრამდე. ხერგიანი ყოველი გასვლისას ისედაც მძიმე ზურგჩანთას იმძიმებდა კინოკამერით — მას ხომ ფილმიც უნდა გადაეღო და გადაიღო კიდეც.

მაშინ მიზანს თორმეტმა კაცმა მიაღწია. ექსპედიციის მეთაურმა ევგენი

რომა გიუტაშვილი დედამიწის კენწეროზე

დანიელ მაზურის ფოტო

სამწუხაროდ, როგორც ქართველებს ხშირად გვჩვევია, მოსკოვში წასისინება და დასმენა დავიწყეთ, ხერგიანი ასეთი და ასეთი ცუდი კაციაო.

არადა, ჰიმალაელთა შეკრებებზე იგი მუდამ უძლიერესთა შორის იყო. მან ტამმში მიიჩნია, რომ მწვერვალზე თორმეტი კაცის ასლა უკვე დიდი მიღწევაო (ასეცი იყო) და ხერგიანსა და კიდევ ორ მთამსვლელს მწვერვალზე გადამწყვეტი იერიშის შანსი აღარ მისცა.

მაგრამ ქართველმა მთამსვლელმა მაინც გადმოიხედა „დედამიწის სახურავიდან“. ეს მოხდა 1991 წლის 10 ოქტომბერს ნეპალის დროით 17 საათზე, როცა თბილისელმა რომა გიუტაშვილმა ფეხი შედგა ჯომოლუნგმაზე, რაც მეტად მოულოდნელად მოხდა, მოულოდნელად თვით რომა გიუტაშვილისთვისაც.

საქმე ის იყო, რომ იმ წელიწადს დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე სანკტპეტერბურგელთა ექსპედიციას უნდა მიეტანა იერიში. ისინი საამისოდ 1990 წელს დიდი მონდომებით ემზადებოდნენ და პამირში ლენინის პიკზე ადიოდნენ. საუბედუროდ, იმ რაიონში მიწისძვრა მოხდა, რამაც დიდი ზვავები გამოიწვია. სანკტპეტერბურგელები, და არა მხოლოდ ისინი, ზვავმა ჩაჩუმქრა და ცოცხალი აღარავინ გადარჩა, რაც პამირის ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე დიდი ტრაგედია.

ნევისპირელებს იმ დროისთვის დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლის ნებართვა უკვე ჰქონდათ და ამ შანსის ხელიდან გაშვება აღარ სურდათ. არადა, თითქმის ყველა იქაური უძლიერესი მთამსვლელი ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ, სანკპეტერბურგელებმა თავიანთი შეხედულებისამებრ სახელდახელოდ ნაცნობ-მეგობარ ძლიერ მთამსვლელებს უხმეს. ასე მოხვდნენ გუნდში სანკტპეტერბურგის, ყაზახეთის, უკრაინის, საქართველოს და აშშ-ის წარმომადგენლები. ხულთერთმეტი მთამსვლელი, რომლთა შორის ერთი ქალიც იყო.

რომან გიუტაშვილმა მისი ამ გუნდში მოხვედრის ამბავი 12 დღით ადრე შეიტყო.

სანკტპეტერბურგელთა ექსპედიციამ, რომელსაც ჯომოლუნგმაზე ამსვლელი პირველი საბჭოთა მთამსვლელი ვლადიმერ ბალიბერდინი მეთაურობდა, დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ეგრეთწოდებული კლასიკური მარშრუტით — პირველდამპყრობთა გზით მიაღწიეს მიზანს. ჯომოლუნგმაზე თერთმეტიდან ოთხი კაცი ავიდა. ესენი იყვნენ ვლადიმერ ბალიბერდინ — ანდრეი ბუკრეევისა და ქართველ — ამერიკელის — რომან გიუტაშვილისა და დანიელ მაზურის წყვილები.

მაშინ გიუტაშვილი 54 წლისა იყო და, ბუნებრივია ამ ხნის კაცი ჟანგბადის აპარატს იყენებდა, თუმცა, ჯომოლუნგმაზე, ჩვეულებრივ, მის გარეშე არც სხვები ადიან.

იმ დროისთვის გიუტაშვილი თავისი ასაკით მეორე უხუცესი მთამსვლელი იყო, ვინც ჯომოლუნგმაზე ავიდა. ამ მხრივ მაშინ რეკორსმენი გახლდათ ნორვეგიელი რიჩარდ ბასი, რომელმაც 88-ში ასევე პირველამსვლელთა გზით 55 წლისამ დალაშქრა მწვერვალი.

რაკი ჯომოლუნგმაზე ამსვლელთა ასაკზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამ მწვერვალის დამლაშქავთა შორის ყველაზე ახალგაზრდა გახლდათ ნეპალელი შამბუ ტამანგი, რომელმაც 1973 წელს 16 წლისამ მიაღწია მიზანს.

ჯომოლუნგმაზე ამსვლელთაგან ღღეისთვის უხუცესია ესპანელი რამონ ბლანკო, რომელიც 1993 წელს მაშინ ავიდა მწვერვალზე, როცა 60 წლისა და 160 დღის იყო.

წლეულს ჯომოლუნგმაზე მოიერიშეთაგან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უხუცესია თბილისელი ლევ სარქისოვი, რომელიც ბლანკოსი არ იყოს, 60 წლისა უტევს მწვერვალს.

შეგახსენებთ, რომ სარქისოვი არის ექსპედიცია „მშვიდობიანი კავკასია 99“-ის წევრი. ის და მისი თანაგუნდელები ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, ბაქოელი სარიდან მურზაკალოვი, მათ აღევნებული ესპანელი ელზა კარსოლიო და იაპონელი კენ ჰოგუჩი ბენო ქაშაკაშვილის მეთაურობით სამხრეთ კლასიკური მარშრუტით ცდილობენ ჯომოლუნგმაზე ასვლას...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჯომოლუნგმაზე საქართველოს მთამსვლელთა ქრონიკებს, რომელიც, საბედნიეროდ, ამ მწვერვალზე გიუტაშვილის ასვლით არ გასრულებულა.

1997 წლის გაზაფხულზე ჯომოლუნგმაზე ასვლას სხვადასხვა ექსპედიციებთან ერთად ცდილობდნენ გია თორთლაძე, ბენო ქაშაკაშვილი და ბიძინა გუჯაბიძე მაგრამ ამ ექსპედიციის ვერცერთი წევრი მწვერვალზე ვერ ავიდა.

შარშან თორთლაძე სხვადასხვა ქვეყნის 23-კაციანი ექსპედიციის წევრებთან ერთად კვლავ ცდილობდა ჩრდილოეთიდან ასვლას. ეს ექსპედიცია სახელით რუსული იყო, შემადგენლობით კი საერთაშორისო, რომელსაც ბორის სედუსოვი მეთაურობდა. ამ ჯგუფის წევრთაგან მიზანს ექვსმა მიაღწია, ორი კი დაიღუპა. თორთლაძესა და მისი მეწყვილეების ასვლის დრო რომ დადგა, საშინელი ქარბუქი ამოვარდა. მთამსვლელებმა ბოლო საიერიშო ბანაკიდან მხოლოდ ორმოციოდე წუთით შესძლეს სიარული, მერე ეი სტეიქიმ ხელი აყლებინა იერიშზე.

ავთანდილ გურასაშვილი

მიხეილ ხერგიანი (მარცხნივ) და ჯუმბერ კახიანი ლორდ ჯონ ჰანტთან (შუაში) ერთად

აკაკი ხერგიანი (შუაში პერანგით) საბჭოთა მთამსვლელებთან ერთად კატმანდუს სასტუმრო „ცისფერი ვარსკვლავის“ წინ

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

მაშინ ჯომოლუნგმაზე სწორედ ორი ასეთი ექსპედიცია იგეგმებოდა, თუმცა სახელი მაინც ალბათ ორივეს მაინც საბჭოური ექნებოდა.

მაშინ საბჭოთა მთამსვლელები ჩინელ ალპინისტებთან ერთად გეგმავდნენ ჯომოლუნგმაზე მანამდე ბოლომდე გაუვლელი ჩრდილოეთის მხრიდან ასვლას. მათ ჩინელებთან ერთად პამირზე ლენინის პიკზე სავარჯიშო ასვლაც მოაწყვეს. მერე საბჭოთა გუნდის სამკაციანი ჯგუფი ევგენი ბელეცსკის მეთაურობით პეკინს გაფრინდა და ტიბეტის მხრიდან ჯომოლუნგმაზე 6000 მეტრ სიმაღლეზე ავიდა დაზვერვის მიზნით.

1952 წელს პეკინში გასამგზავრებლად, დათქმულ დროს თავი მოიყარეს საბჭოთა ექსპედიციის წევრებმა. მათ შორის სახელგანთქმული ქართველი მთამსვლელები იოსებ კახიანი და მიხეილ ხერგიანიც იყვნენ. ექსპედიციის ბარგის ნაწილი უკვე გაგზავნილი იყო და ყველანი მღელვარებით ელოდნენ გამგზავრების დღეს...

მთლიანად ქართველი მთამსვლელებით დაკომპლექტებული ექსპედიცია ზეზად ის ითქვა, ტიბეტში პოლიტიკური ვითარება ფრიად გამწვავდაო, მაგრამ რა ხელი ჰქონდა საქართველოს მთამსვლელთა გუნდს ტიბეტთან ან საერთოდ ჩინეთთან და იმათ პოლიტიკასთან? ისინი ხომ ნეპალის მხრიდან აპირებდნენ ასვლას, მაგრამ იქ, „ზემოთ“, მოსკოვში, ეტყობა იფიქრეს, ერთიც ვნახოთ და, ქართველები მართლა ავიდნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, საბჭოთა გუნდმა კი კრახი განიცადოს, მერე ხომ ქვეყანაზე თავი მოგვეჭრებაო. ეს „თავის მოჭრა“ სწორედ რომ „დიდი პოლიტიკისთვის“ გადამწყვეტი იყო და გადაწყდა კიდეც — ორივე ექსპედიცია ჩაშალეს.

1980 წლისთვის ჯომოლუნგმაზე ასასვლელად მეორედ დაიგეგმა საბჭოთა ექსპედიცია. მის კანდიდატთა შორის მესტიელი სერგო ბარლიანიც იყო, მაგრამ ამ გუნდის გამგზავრება ორი წლით გადაიდო, რასაც ნაკრების გადახალისება მოჰყვა. სამწუხაროდ, სერგო ბარლიანი ახალ შემადგენლობაში ვეღარ მოხვდა. სამაგიეროდ, განახლებულ სიაში გამოჩნდა თბილისელი აკაკი (ხუტა) ხერგიანის სახელი.

აწი სისხლიც მოეკითხებათ

შარშანდელი ტურ დე ფრანსის „შარდამღვრეული“ რბოლის შემდეგ, როცა პატიოსანი ველოშეჯიბრი სადოპინგო გაწამაწიამ დაჩრდილა, მსოფლიო ველოსპორტის მამები ერთთავად უფრო ქმედითი ანტიდოპინგო ზომების ძებნაში არიან. როგორც გუშინ საერთაშორისო საველოსპორტო კავშირიდან მოსული ინფორმაციიდან გაირკვა, ერთი ასეთი ზომა იქ უკვე მოუძებნიათ კიდეც. ყველა საამსეზონო დიდი რბოლის (იქნება ეს იტალიის, ესპანეთისა თუ საფრანგეთის ტურები) წინ მონაწილეებს ერთი-ორი „ბაიანი“ სისხლის ჩაბარება მოუწევთ. „მოუწევთ და ეგრე!“, - სწერია კავშირის განცხადებაში - „სხვანაირად ეგ საქმე არ გამოვა“.

ამასთან რამდენიმე გრამ სისხლთან შელევა ველომრბოლთათვის სულაც არ ნიშნავს რბოლების შემდეგ იძულებით მოშარდვისაგან განთავისუფლებას. „სისხლი სისხლად, მაგრამ შარდი შარდად“, - ამბობენ ველომამები და თავებიც, ერთი შეხედვით, ქუდებში ჰგონიათ.

ძახა ხურციძე

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

ბროწეულის ოყნა გერჩივნოთ ამ ტიალ EPO-ს

თურმე ნუ იტყვითა და ეგეთი დოპინგიც ყოფილა — ერითროპოეტინი, შინაურულად EPO. ამ ეპოს ისეთი შეძლება ჰქონია, რომ მის მიმღებ ათლეტს სისხლში წითელი უჯრედების რაოდენობა ემატება და გასაკეთებელს გამართულ ხუთიანზე აკეთებინებს. მის გამორჩეულ თაყვანისმცემლებად ველოსპორტისა და ბარის თხილამურობის მიმდევრები ითვლებიან — ეპო ხომ გამძლეობის ზრდის უპირველეს შემწედ ითვლება. ერთი ეგაა, რომ მისი გამოყენება სისხლის გასქელებასა და გულის დატოკების საფრთხესაც შეიცავს, ამიტომაც მის მიმღებს წინ გახედვა ურჩევნია, ეგებ სადღეისო გამარჯვების სახალიოდ ცოცხლად ყოფნა სჯობდეს.

ასეა თუ ისე, სისხლში წითელი უჯრედების ხელოვნური-არახელოვნური წარმომავლობის ამბავი ძალიან ძნელი გასარკვევია. ესე იგი, შენ რომ ნადოპინგარ-ნამამაძაღლარი გგონია, ამ დროს შეიძლება ბროწეულის ოყნის ანაც საფერავის კეთილისმყოფელი გავლენითაც აიხსნებოდეს. შესაბამისად, ვერც სისხლში წითელუჯრედმომატებულ სპორტსმენს მიიჩნევ უცილობელ დამნაშავედ — იტყვის, ძმაო, რაღმე ხილი მიჭამია, რა დოპინგი, რის დოპინგიო და, ღმერთმანი, მართალიც იქნება. ამის გამო მსოფლიოს მრავალი ინსტიტუტ-ლაბორატორია ნიადაგ ეპოს ნაყლაპობის აღმოსაჩენ ხერხებს ეძებს და ხანდახან აღმოჩენის ინფორმაციასაც ავრცელებს ხოლმე. თუმცა ამისა როგორღაც არც ინფორმაციის შემოწმებამდე სჯერა ვინმეს და არც, მით უფრო, შემოწმების მერე.

ბოლო ასეთი განცხადება კანადერის სპორტის ინსტიტუტის ექიმებმა გააკეთეს. აქაოდა, ეგ ამბავი უეჭველად გავარკვიეთ და საგაისოდ, სიდნეის ოლიმპიადაზე რამე თუ გვიშველის, სწორედ ეგო. მაგრამ რად გინდა? ჯერ მელანი საფაქსე ქაღალდს არ შეშრობდა, რომ სოკ-ის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ, ბელგიელმა ექიმმა ჟაკ როჟემ ფიცხლად შესძახა, ამ საქმიდან არაფერი არ გამოვაო.

„მოდით რა, უფრო რეალისტები ვიყოთ. „ეპოს ამბის“ გარკვევა თქვენ ის ხომ არ გგონიათ? არა, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ რა ვქნა, არ მჯერა და ვერც ვერაფერი დამაჯერებს“, - უთქვამს როჟეს და ხელებით ჯიუტად გაუსავსავებია...

ხიჭვი ამერიკულ ფეხებში

სხვის თვალში ძელის მპოვნელი ამერიკელები საკუთარში ჩავარდნილ ხიჭვებსაც ამჩნევენ. აი, გუშინ, მაგალითად, იქ ერთი წამყვანი ოლიმპიური მოღვაწის, აშშ-ს ოლიმპიურ კომიტეტში 2 მილიარდი დოლარის შემომზიდი ჯონ კრიმსკის სხვა სამუშაოზე გადაყვანის ინფორმაცია დაირხა. აშშ-ს ოლიმპიური ქონების (OPUS) მმართველი, რომელიც მშობლიური ოლიმპიური მოძრაობის ფულად-საკრედიტო კეთილდღეობას ამ უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში ერთგულად და მაძღრად ემსახურებოდა, ამა წლის 4 ივნისიდან ოლიმპიურიდან კერძო სექტორში გადინაცვლებს და დიდი სპორტის საქმეს მხოლოდ ირიბად, მავანი ბობოლა სამენეჯმენტო კომპანიიდან მოემსახურება.

როგორც აშშ-ს ოკ-ის პრეზიდენტი, ბილ ჰაიბლი აცხადებს, მისტერ კრიმსკიმ ამერიკელი ათლეტებისათვის არნახული შრომა გასწია და სპორტის დახმარების შეუდარებელი სისტემა ჩამოაყალიბა. მაგრამ OPUS-ი სოლტ ლეიკ 2002-ის სამექრთამეო სკანდალისაგან თურმე ძალიან შორს არ მდგარა, ხოლო რაღაი და მეფულეები მხოლოდ სწორედ „სკანდალისაგან შორსმდგომ“ ადამიანებთან ურთიერთობას ამჯობინებენ, კრიმსკისაც ხუთრგოლიანი ჰალსტუხის ჩამოკიდება და მერე ოდნავ გვერდზე გადაჯდომა მოუწევს.

ლევან კელაურაძე

BMW ფორმულას უბრუნდება

დიდგერმანულმა ფირმა BMW-მ გუშინ მისსავე კუთვნილ მირამას ტრეკზე ახალი საფორმულა-1-ო მანქანა გამოსცადა. საჭესთან გერმანელი მძღოლი იორგ მიულერი მჯდარა. როგორც ფირმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ისინი ფორმულა 1-ის ჩემპიონატში ჩართვას უკვე მომავალი სეზონიდან აპირებენ. „თუკი ყველაფერი კარგად იქნა, 2000 წლიდან ტრასებზე ჩვენი მანქანებიც იხილავენ“, - უთქვამთ მათ.

ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ფორმულა 1-თან თანამშრომლობა BMW-მ 1987 წელს შეწყვიტა. გერმანულ ბოლიდებზე მანამდე „ბენეტონის“ მრბოლები დაჰქროდნენ.

STANLEY CUP PLAYOFFS

სამი უკვე ნოკაუტშია

სამშაბათის თამაშების შემდეგ თასის სამი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა — დალასი, დეტროიტი და ბუფალო. ამ კლუბებმა არც მეოთხე მატჩებში ახეირეს მეტოქეები და სერია უმოკლეს ვადაში დაასრულეს. განსაკუთრებით მოულოდნელი ბუფალოს ოტავასთან ნაჩქარევი წარმატებაა. ამას არავინ ელოდა.

27 აპრილი

აღმოსავლეთი

ოტავა — ბუფალო 0:4

ბუფალო — ოტავა 4:3

2:0 1:2 1:1

1:0 რასმუსენი 8'29 (1); 2:0 ვარადა 10'17 (1); 2:1 იორკი 26'24 (1); 3:1 ვარადა 19'30 (2); 3:2 მაკიჩერნი 30'32 (2); 4:2 ჟიტნიკი 46'44 (1); 4:3 ემერსონი 54'24 (1)

დომინიკ ჰაშეკმა, როგორც იქნა, ჰუმანურობა გამოიჩინა და სერიის მეოთხე მატჩში მეტოქეებს თანაბრობისას გოლები გაატანინა (მანამდე ოტავა მხოლოდ რიცხვმრავლობაში გამოირჩეოდა), თუმც გამარჯვებისთვის ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. გოლები გოლებად, მაგრამ ჰაშეკმა 40 დარტყმა მოიგერია და სწორედ მისმა ფანტასტიკურმა თამაშმა გადაარჩინა ბუფალო ბოლო წუთებზე ოვერტაიმს.

მატჩის მეორე გმირი კი ბუფალოს ფორვარდი ვაცლავ ვარადა გახდა. მან დაბადების დღე (26 აპრილს იგი 23 წლის გახდა) 2 გოლით და 1 პასით გაილამაზა. ამგვარად, უკვე მეორე სეზონია, ბუფალო თავისზე მაღლა მდგომ გუნდს აგდებს პირველი რაუნდიდან (შარშან ფილადელფია იმსხვერპლა). ღრმა ანალიზის გაკეთება ჯერ ნაადრევია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — ამ სერიაში მხოლოდ დომინიკ ჰაშეკის (96,95 მოგერიებით დაასრულა სერია) დიდოსტატობამ როდი ითამაშა გადამწყვეტი როლი, წამყვანი სამეულების ბრძოლაც სრული ტრიუმფით დასრულდა. ჰეკამ, ვარადამ და დიქსონ უორდმა თავადაც კარგად ინავარდეს (ოთხ თამაშში 12 გოლიდან ნახევარი მათი დამსახურებაა) და ერთერთი საუკეთესო მეტოქის, ალექსეი იაშინის გაუვნებლებაც შეძლეს.

ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 2:2

პიტსბურგი — ნიუ ჯერსი 2:4

1:2 1:1 0:1

0:1 როლსტონი 1'38 (1); 1:1 ჰრდინა 2'50 (2); 1:2 მაკეი 19'18 (1); 1:3 ბრილინი 20'51 (2); 2:3 ბრაუნი 27'28 (1); 2:4 სტივენსი 42'50 (1)

ამ სერიაში ნიუ ჯერსიმ, როგორც იქნა, პირველმა გაიტანა და სწორედ ბრაიან როლსტონის მიერ უმცირესობაში შეგდებულმა შაიბამ შეასრულა გადამწყვეტი როლი — „ეშმაკებს“ თავდაჯერება დაუბრუნდათ და უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. ნიუ ჯერსის შამადგენლობაში საუკეთესო მაკეი (1+1) — ჰოლიკ (0+3) — ბრილინის (1+1) სამეული აღმოჩნდა, ხოლო მარტინ ბროდო, მისივე თქმით, სწორედ მეოთხე თამაშში შეეგუა „ჰინგვინთა“ სათამაშო მანერას და მიხვდა, რომ ისინი ნებისმიერი მდგომარეობიდან არ ურტყამდნენ და ცდილობდნენ, მაქსიმალურად გაეთამაშებინათ შაიბა.



REUTERS ბუფალოდან

გინდა მდგარა, გინდა წოლილა, ჰაშეკი მუდამ ჰაშეკია. აკი ოტაველმა დანიელ ალფრედსონმაც (მარცხნივ) ვერაფერი გააწყო ბუფალოს იმედთან

დასავლეთი

დალასი — ედმონტონი 4:0

ედმონტონი — დალასი 2:3

0:0 1:1 1:1 0:0 0:0 0:1

1:0 რ. სმიტი 24'47 (3); 1:1 ნუინდაიკი 39'22 (2); 2:1 მარჩანტი 46'33 (1); 2:2 ლანგებრუნერი 51'05 (2); 2:3 ნუინდაიკი 117'34 (3)

„სწორედ ახლა მივხვდი, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ბოსტონი 1990 წელს (მაშინ ედმონტონმა ფინალურ სერიაში ბოსტონს ოთხივე თამაში ერთმაბიანი სხვაობით მოუგო). ეს ისეთი სერია იყო, როცა შაიბის ერთი ასხლეტა წყვეტდა ყველა მატჩის ბედს. ამიტომაც ვამყობ ამ ბრძოლით“ — თქვა ედმონტონის კაპიტანმა კელი ბუშბერგერმა მატჩის შემდეგ. ეს რომ სრული სიმართლეა, ბოლო თამაშიც ადასტურებს — ძირითადი დროის 60 წუთი, კიდევ ორი ოცწუთიანი ოვერტაიმი და შესამე (!) დამატებითი დროის მიწურულს შემთხვევითი გოლი „მენავთობეებს“ ბოლო იმედს აკარგვინებს. დალასელი სერგეი ზუბოვის დარტყმის შემდეგ შაიბა გზად რამდენიმე მოთამაშეს შეეხო, მერე ჯო ნუინდაიკის ციგურას მოხვდა და გმირულად მებრძოლ ტომი სალოს (53 მოგერიება) კარში შევარდა.

და მაინც, დალასის უპირატესობა და გამარჯვება მთელი სეზონის განმავლობაში ეჭვს არ იწვევდა. „მენავთობეებმა“ ვერაფერი მოიფიქრეს ისეთი, რითაც დალასის უძლეველ დაცვას გაარღვევდნენ. როცა „ვარსკვლავები“ ორ შაიბაზე მეტს არ უშვებენ, მათი ძლევა შეუძლებელია.

დეტროიტი — ანაჰაიმი 4:0

ანაჰაიმი — დეტროიტი 0:3

0:0 0:1 0:2

0:1 ჰოლმსტრიომი 36'44 (3); 0:2 შენაჰანი 51'51 (3); 0:3 კოზლოვი 54'57 (2)

ანაჰაიმმა ეს სერია 14 აპრილს წააგო, როცა რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩში სენტ ლუისთან შინ დამარცხდა, დასავლეთში მეზუთე პოზიცია მეტოქეს დაუთმო და პლეი ოფის პირველ რაუნდში ჩემპიონს დაეჯახა. ასე რომ არ მომხდარიყო, ფინიქსს შეხვდებოდა. სასურველი მეტოქე არც ის იქნებოდა ანაჰაიმისთვის, მაგრამ... მესამე შეხვედრის წაგების შემდეგ „იხვებმა“ ყურები ჩამოყარეს, მით უმეტეს, რომ მათმა ლიდერმა, პოლ კარიამ ფეხი იტკინა. აბა, უმისოდ გუნდი რაღას გააკეთებდა...

ფინიქსი — სენტ ლუისი 3:1

სენტ ლუისი — ფინიქსი 1:2

0:0 1:2 0:0

1:0 რომი 25'58 (1); 1:1 ადამსი 31'00 (1); 1:2 დრეიკი 39'25 (3)

ამ სერიის ბედს, ეტყობა, მეკარეთა პაექრობა გადაწყვეტს. ჯერჯერობით ახალგაზრდა ფინიქსელი ნიკოლაი ხაბიბულინი აშკარად სჯობს თავის გამოცდილ კოლეგას, გრანტ ფიურს, რაც განსაკუთრებით ამ თამაშში გამოჩნდა.ბოლო წუთზე მასპინძლებს ოთხი (!) ჩინებული შესაძლებლობა ჰქონდათ მაგრამ ხაბიბულინმა გაამართლა თავისი მეტსახელი — „გაუვალი კედელი“ და მართლაც რომ აუღებელი შაიბები მოიგერია. თამაშის დამთავრებამდე 7 (!) წამით ადრე ძალიან კარგი შესაძლებლობა ჰქონდა „ბლუზმენთა“ ლიდერ პავოლ დემიტრას, მაგრამ კარის ცარიელ კუთხეში ვერ შეაგდო შაიბა. რაც შეეხება ფიურს, 36 წლის მეკარე ამჯერად ისე არ სცოდავდა, როგორც წინა ორ თამაშში, მაგრამ ფინიქსის ძლევისთვის მას მეტის გაკეთება მართებს.

სამველ ღარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ტოკიოდან

პრემიერის რეპეტიცია

იაპონიის პრემიერი კეიძო ობუტი დღეს აშშ-ში უნდა ჩაფრინდეს. სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის, პრემიერს საბეისბოლო მატჩზე დასწრება და საპატიო ტყორცნის გაკეთებაც მოუწევს. ფოტოზე მისი გუშინდელი რეპეტიციის ერთი მომენტი აუსახავთ. შშობლიურ სცენაზე სენსეი ობუტის თურმე ყველაფერი რიგიანად გამოსვლია...

«როლექსი» ტატისისთვის

„სენტ ლუის კარდინალზის“ მესამე ბეიზმენი ფერნანდო ტატისი ერთადერთი კარდინალია, ერთ შესვლაში ორი ჰოუმრანი რომ გაუხერხებია, და პირველი ლიგელი, ერთ შესვლაშივე რომ ორი დიდი სლემი მიითვალა. ერთიცა და მეორეც მან წინა კვირაში, დოდჯერსთა წინააღმდეგ მოიმოქმედა. ჰოდა, აბა, განათლებულ დასავლეთში ამაგი ვის დაჰკარგვია, ფერნანდო ტატისისთვის რომ დაეკარგათ? არც არავის, მეგობრებო, და ამის გამო, გუნდის მფლობელთა მიერ შეძენილი დიდი ოქროს „როლექსი“ მას, ხოლო ჩვენ... მისი გულწრფელი სიხარულით გახარება.

REUTERS სენტ ლუისიდან

სანამ ნატო აფრენს...

REUTERS სალონიკიდან

სანამ ჩრდილოატლანტიკელი ნატალია ადრიატიკის ცაში თავის ბალკანურ ოფოფებს აფრენს, ადრიატიკის წყალში დიდი აფრიანობა გაჩაღებულა... აგერ, ამ ფრანგ კაპიტანს ბერტრან პასსა (მარცხნივ) და მის შეგობრებს არც ეთნიკური წმენდები ადარდებთ და არც სანავთობო ემბარგო, ფოტოზე აღუბეჭდავ მეტოქეებთან ერთად „ხორვატიის თასის“ ეგიდით იქაურ ქარებს შერკინებიან და დაუმორჩილებლის დამორჩილებას ლამობენ. თანაც თურმე იმას გაიძახიან, ეგ რაა, მთავარი საგაისო „ამერიკის თასია“ და აფრიანობა იქ ნახეთო...

ლეინჯერმაც, წავედიო



REUTERS ბრისბენიდან

არა, ძმაო, ეგრე თუ გაგრძელდა, მსოფლიო სპორტს მოქმედი ლეგენდები აღარ შერჩებიან... „დენვერ ბრონკოსის“ დიად მეპასეს ჯონ ელვეის ჯერ პირზე გამოსამშვიდობებელი სიტყვები არ შეხმობოდა (აქაოდა, ამ სეზონის მერე ჩაოო), დიდი სპორტიდან წასვლის სურვილი ლიგის რაგბის ერთმა ურჩეულესმა მობურთალმა, ავსტრალიელმა ალან ლეინჯერმაც რომ გამოთქვა. ბრისბენში გადაღებულ ამ ფოტოზე ლეინჯერი მას მედიის წარმომადგენლებს ესაუბრება და თვალებზე მობჯენილ ცრემლებს ნაღდი მორაგბის გამძლეობით იკავებს...

REUTERS ბრიჯტაუნიდან

სემი გრიგალთმეებრძოლი

REUTERS ჩიკაგოდან

დომინიკელთა რესპუბლიკა შარშან ნაძირალა გრიგალებს გადაუთელავთ. აბა, მამულიშვილობა ახლა უნდაო და „ჩიკაგო კაბსის“ ბეისბოლისტ სემი სოსასაც უმალ სტიქიის მიერ გაპარტახებული ქვეყნის საშველად გაუწევია. გაუწევია და ისე მაგრად გარჯილა, რომ თავისიანებს, სულ შენი გამზრდელი დაილოცოსო, ასე აძახებინა. აი, გუშინ კი დომინიკელთა მავანმა მახვშმა, სემის რაღაც სამადლობელი ჯილდო ჩაუტანა და „ფლორიდა მერლინსთან“ შერკინების წინ საზეიმო ვითარებაში გადასცა.

თავო ჩემო...

ავსტრალიის მეკრიკეტეთა ნაკრები ვესტ ინდოეთში სტუმრობდა. უკანასკნელი, მეშვიდე მატჩისას, რომელსაც სამ-სამი მოგების მქონე მეტოქეებში უმჯობესი უნდა გაერკვია, სტუმართა მტყორცნელის, მაიკლ ბევანის მიერ ნასროლი ბურთი მასპინძელთა მეტაფელე ჯიმი ადამს შიგ თვალებს შუა მოხვდა... არ ვიცით ამის გამო, თუ რაღაც სხვა მიზეზთა გამოისობით, მაგრამ მატჩის მსვლელობაში აღელვებული ქომაგები ჩაერივნენ და ავსტრალიელებმა და ვესტინდოელებმა ეგრეც ვერ გაარკვიეს, თუ ვინ უფრო მაგარ კრიკეტს თამაშობს... დაზარალებულ ჯიმის კი პირველმა მისმა მწვრთნელმა, დენის უოთმა მიუსამძიმრა.

სანგარში მსხდომნი დაზავდნენ

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

ლატვია 0:0 ალბანეთი

ლატვია: კარავაევსი, სტეპანოვსი (შარანდო 83), ისაკოვსი, ლუკაშევიჩსი, ლობანოვსი, ბლაგონადეჟდინსი, ივანოვსი, ბულდერსი, რუბინსი, მიხალოფსი (დობრეკოვსი 69), შტოლცერსი (ლაიზანსი 60)

ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, შულკუ, ჯუნბა, ვატა (იუფი 77), ფაკაი, ჰახი, ბუში (ბალილი 88), კოლა, რაკლი (დალიპი 82), ტარე

აშკოლდს ულდრიკისი რიგიდან

ლატვია — ალბანეთი 0:0. არიან ჯუმბა (№4) და ალექსანდერს მიხოლაპსი უგოლოდ დაშორდნენ

ირმანდას პუჩისი რიგიდან

უგოლო ფრე სავსებით ლოგიკურია. მოგებას არც ჩვენ ვიმსახურებდით, არც ალბანელები. მატჩიც მეტად უინტერესო გამოდგა. თქვენ წარმოიდგინეთ, ლატვიის ნაკრების მეკარე, რომელსაც აქამდე ჩატარებულ ყველა თამაშში თანაგუნდელებთან შედარებით ყველაზე მეტი სამუშაო ჰქონდა და გუნდიც არაერთხელ გადაურჩენია, გუშინდელ მატჩში ერთხელაც არ გადამხტარა — სტუმრებმა კარავაევსს 90 წუთის განმავლობაში სულ სამ-ოთხჯერ დაურტყეს, ისიც საკმაოდ შორიდან. ბურთი პირდაპირ ხელებში მისდიოდა.

მაინც და მაინც არც მასპინძლებს უყოჩაღიათ. თუმცა კი, ფაქტობრივად, ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი აკლდათ, ასე რომ, მოსალოდნელიც იყო. მათ მხოლოდ სამჯერ შექმნეს რეალური სახიფათო მომენტი — პირველად მე-17 წუთზე, როცა მარცხენა ფლანგიდან შტოლცერსმა საჯარიმოს წინა ხაზთან მიანოდა ბურთი მიხოლაპსს, მაგრამ მან მეტად ორიგინალურად მოქმედება მოინდომა და ბურთს ფეხი ცუდად მიარტყა. მერე, 67-ე წუთზე შტოლცერსის შემცვლელმა იურის ლაიზანსმა დაახლოებით ოცი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა და სტრაკოშამ ცხრიანში დამიზნებული ბურთი კუთხურზე მოიგერია. ყველაზე დიდი საფრთხე კი ალბანელებს მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე შეექმნათ, მაგრამ ბულდერსმა ახლოდან მაინცდამაინც მეკარეს მოარტყა.

აი, სულ ეს გახლდათ, რისი აღნიშვნაც შეიძლებოდა. მეტოქეები შეტევის ნაცვლად უფრო დაცვაზე ფიქრობდნენ და თუ ალბანელების ასეთი ტაქტიკა გამართლებული იყო, მათ ფონზე ოდნავ უცნაურად მოგვეჩვენა ძოძუაშვილის გადაწყვეტილება, ლატვიელებმა ერთბაშად ექვსი ნომინალური მცველით ითამაშეს. თუმცა ქართველი მწვრთნელისაც გვესმის. პახარსი, ასტაფიევსი, ბაბიჩევსი, ზემლინსკი და ბლეიდელისი ხომ ტრავმირებულნი იყვნენ. ესენი კი ჩვენებურთათვის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ. კიდევ ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა, შარანდომ მინდორზე სულ შვიდი წუთი დაჰყო. მიხოლაპსმა და შტოლცერსმა კი იმდენად ცუდად ითამაშეს, რომ ძოძუაშვილს თავი შეაცვლევინეს. აქედან გამომდინარე, შედეგიც ლოგიკური იყო. თუ ბურთი ვერ გაიტანე, უპირატესობას გინდ ფლობდე, გინდ — არა.

მატჩის შემდეგ სტუმრები სიხარულს ვერ მალავდნენ, მოედნის ცენტრში შეიკრიბნენ და ყირამალა გადადიოდნენ. აკი ამბობდა კიდეც თამაშამდე ალბანელთა მწვრთნელი ასტრიდ ჰაფიზი, რიგაში ქულის წასაღებად ჩამოვედითო.

თამაშის დამთავრებისთანავე კი...

ასტრიდ ჰაფიზი: — შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა მოინდომეს და საჭირო ქულა მოვიპოვეთ. ახლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში წარმატების მიღწევის არც თუ ცუდი შანსი გვაქვს. აქამდე ჩატარებული ოთხი მატჩიდან სამი სტუმრად ვითამაშეთ. იმედი მაქვს, მომავალ მატჩებამდე ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა იქნება და უეფაც ნებას დაგვრთავს, საშინაო შეხვედრები ტირანაში ჩავატაროთ.

ლატვიის გუნდი კი, რასაც ველოდი, ის არ იყო. ვერ გამიგია, ჩვენსავით დაცვითი ფეხბურთი რატომ ითამაშეს.

რევაზ ძოძუაშვილი: — ხუთი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნა დაგვეტყო. მათ ნაცვლად ლიდერობა შტოლცერსსა და მიხოლაპსს უნდა ეტვირთათ, მაგრამ, თავადაც ნახეთ, ვერაფერი გააკეთეს. მიუხედავად ამისა, ყველა ფეხბურთელი მადლობას იმსახურებს, რაც შეეძლოთ, გააკეთეს. ალბანელებმა ერთხელაც დამარწმუნეს, რომ კარგი გუნდი ჰყავთ და ბევრი მეტოქის გამწარებაც შეუძლიათ.

EURO 2000

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

VI ჯგუფი

ავსტრია 7:0 სან მარინო

1:0 მეირლიბი (24), 2:0, 3:0 ვასტიჩი (42, 44), 4:0 მეირლიბი (53), 5:0 ამერჰაუზერი (71), 6:0 პერცოგი (82პ), 7:0 ვასტიჩი (84)

ავსტრია: ვოლფარტი, ჩერნი (კიცბიხლერი 71), ვინკლოფერი (როსეანო 80), შოპი (გლიდერი 71), ფაიერზინგერი, ნოიკირხნერი, მეირლიბი, პერცოგი, ვასტიჩი, პრესნიკი, ამერჰაუზერი

სან მარინო: ფ. გასპერონი, ჯენარი (ს. ბაკიოჩი 46), ვანუჩი, გობი, გუერა, დელა ბალდა, ბ. გასპერონი (მანჭაროლი 15), მუჩიოლი, მონტანა (ნ. ბაკიოჩი 78), სელვა, ძონძინი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

II ჯგუფი

ლატვია 0:0 ალბანეთი

VI ჯგუფი

ავსტრია 0:1 პოლანდია

0:1 პიბლინგერი (38ს.კ.)

IX ჯგუფი

ბელგია 4:0 ბოსნია

1:0 სონკი (45), 2:0, 3:0 კალუვე (50პ, 52), 4:0 რემაკლი (75)

REUTERS ბაგრებიდან

ხორვატია — იტალია 0:0. იტალიელთა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ (№3) ნაკრებში მეასედ ითამაშა

ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური მატჩები

ბაზელონა 2:2 ბობზილია

0:1 რონალდო (29), 1:1 ლეონ ენრიკე (34), 1:2 რივალდო (40), 2:2 კოკუ (63)

ბარსელონა: ბეხამი (არნაუ 46), რაიციგერი (ნადალი 80), ფ. დე ბური, აბელარდო, სერხი, გვარდიოლა (ხავი 46), კოკუ (როხერი 64), ლუის ენრიკე, ფიგუ, კლუივერტი (ანდერსონი 46), ზენდენი

ბრაზილია: როქერიო, ზე მარია (ფიდელისი 70), ოდვანი, შიდტი, ფლავიო კონსეისაო, რობერტო კარლოსი, ამორიზო (ჯოვანი 46), ემერსონი, რონალდო, რივალდო, რომარიო

ირლანდია 2:0 შვედეთი

1:0 კეანი (75), 2:0 კენედი (77)

ირლანდია: გივენი, კარი, სტონტონი, მაკლაფლინი, კანინგემი, ბრინი (ბეგბი 46), მაკატირი (კეანი 46), კინსელა (კილბენი 46), ქუინი (კინი 79), კონოლი (კასკარინო 71), კენედი (დაფი 79)

შვედეთი: კილშტედტი, კამარკი, ჰ. ანდერსონი, ბიორკლუნდი (იაკობსონი 46), ლუჩიჩი, შვარცი, მილდი (ალექსანდერსონი 46), დ. ანდერსონი, ბლომკვისტი, ლარსონი, პეტერსონი (იონსონი 82)

გერმანია 0:1 შოტლანდია

0:1 ატკინსონი (65)

გერმანია: ლემანი, ნოვოტნი, მათეუსი, ვიორნსი, შტრუნცი (იანკერი 86), ჰამანი (ბალაკი 57), იერგმისი (რამელო 46), ჰაინრიხი, ნოიეილი, ბირჰოფი (კირსტენი 57), ჰელდტი

შოტლანდია: სალივანი, ვეირი, ჰენდრი (რიჩი 66), ბოიდი, ჯემილი (ჯესი 57), დურანტი (ვინტერსი 72), ლამბერტი (კამერონი 84), ჯონსონი (ონილი 86), დავიდსონი (უაიტი 79), ატკინსონი, დოდსი

რუმინეთი 1:0 ბელგია

1:0 განეა (47)

რუმინეთი: სტელეა, კონტრა, ნანუ, ნასტასე, გალკა (ლინკარი 61), ფილიპესკუ, ფლორენტინი, მუნტიანუ (ჩობოტარუ 89), მოლდოვანი (განეა 46), ლუპესკუ (პილდანი 74), ვლადოიუ (როსუ 68)

ბელგია: დე ვილდე, დეფლენდრე, ვიდოვიჩი, დე ბეკი, გოორი, ბასეჯიო (კიმონი 64), სტალენსი, ტანგე (პიერი 58), ე. მპენზა (კავენსი 58), ვალემი, ბოფინი

ჰოლანდია 1:2 მაროკო

0:1 ჰაჯი (59), 0:2 ბასირი (69), 1:2 ვან ნისტელროი (90)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, ვან გასტელი, ვან ჰინტუმი, ზეედორფი (მულდერი 80), ბუსატა (ვინტერი 65), ვან ბრონკჰორსტი, მოლსი, ვან ნისტელროი, ოვერმარსი (ვან ფოსენი 46)

მაროკო: ფუამი, აბრამი, როსი, ნაიბეტი, ელ ჰადრიუ, რამზი (სელამი 90), ელ ხალეჯი, ჩიპო (ჩიბა 76), ჰაჯი, ბასირი (ზერუალი 87), ჰადა

დანია 1:1 ს. აფრიკა

1:0 სანდი (40), 1:1 მოშოუ (72)

დანია: შმაიხელი, კოლდინგი, პენრიკსენი, ჰელვეგი (ფრედრიკსენი 85), ჰაინცე, ტოფტინგი, გრავესენი (სტინილსენი 78), დალ ტომასონი (გოლდბეკი 60), გრონკიაერი (შონბერგი 78), იორგენსენი (მოლნარი 60), სანდი

ს. აფრიკა: ვონკი, ფიში, ისა, რადებე (მოკოენა 90), ნიატი, ფორტუნი (მოშოუ 58), მნგომენი, მკალელე, ხუმალო, ნდლენია (მუკანსი 81), მასინგა

პოლონეთი 2:1 ჩეხეთი

1:0 ტრეეზიაკი (16), 2:0 ვიშნიარეკი (49), 2:1 ლოკვენეი (79)

პოლონეთი: მატიშეკი, ვალდოხი, ლაპინსკი, სიადაჩკა, ზელინსკი, ჰაიტო, მიხალსკი, ივანი, ვიშნიარეკი, ნოვაკი, ტრეეზიაკი

ჩეხეთი: სრნიჩეკი, ნიკლი, ვოტავა, ნედვედი, რადა, ჩიფეკი, ნემეცი, პობორსკი, კუკა, კოლერი, გალაშეკი

საბერძნეთი 1:1 შვეიცარია

0:1 ჰაასი (20), 1:1 გეორგიატოსი (57)

მალტა 1:2 ისლანდია

0:1 გუდიონსონი (36), 1:1 კუტაიარი (45), 1:2 დადასონი (53)

სლოვენია 1:1 ფინეთი

0:1 პაატელაინენი (22პ), 1:1 ზაპოვიჩი (61პ)

უნგრეთი 1:1 ინგლისი

0:1 შირერი (22პ), 1:1 პრუტკა (79)

ხორვატია 0:0 იტალია

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პასტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კვლაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დეკაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29